პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
29 აპრილი ორშაბათი 2013
№099 (14 015) ფასი 80 თეთრი

ძიუდო. ბუდაპეშტი
ევროპის ჩემპიონატი

## ოთხი პირველი, სამი მეორე, ერთიც მესამე...

ეროვნული ბიბლიოთეკა
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

# ოქრომრავალი საქართველო

## გუნდური ოქროც ჩვენია




ძიუდოისტთა ნაკრები გუნდურ პირველობას ზეიმობს



დილა-დინამო 0:1.

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

# დინამომ ჩემპიონობას გორში მიუკაკუნა

პირველობის ფავორიტმა გორის ციხეც აიღო და საჩემპიონო სამი ქულაც

## დღევანდელი ლელო 20-გვერდიანია

ეროვნული ბიბლიოთეკა

● საქართველოს ჩემპიონატი. XXIX ტური

27.04. გორი. თ. ბურჯანაძე
5 000 მაყურებელი

**დილა 0**

**დინამო (თბ) 1**

0:1 ალვარო (86)

| დილა 4-4-2 | დინამო 4-5-1 |
|---|---|
| შეყრილაძე | გ. ლორია |
| ალადაშვილი | სეთურიძე |
| თომაშვილი | გველესიანი |
| კვახაძე | გ. კვარაცხელია |
| კვირკველია | გლიშიჩი |
| გოგუა | მერებაშვილი |
| გვალია | ძარია |
| ი. მაისურაძე | ხმალაძე |
| ლეონარდო | ალვარო |
| ჟუნიორი | გრაიციარი |
| მოდებაძე | დვალი |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| ვ. ივანაუსკასი | დ. უჰრინი |

**დილა**

71. გვალია — **არზიანი**
82. რამოსი — **გორელიშვილი**
85. თომაშვილი — **ილურიძე**
სათადარიგოები: მამალაძე, თოთაძე, ნ. ჯიშკარიანი, ბეჭვაია

**დინამო**

82. მერებაშვილი — **კოტო**
90. დვალი — **ტატანაშვილი**
90+5. ალვარო — **პაპავა**
სათადარიგოები: ზარქუა, ხიზანეიშვილი, მენდი, მილხრაუმი
გაფრთხილება: გლიშიჩი (48), გვალია (50), ალვარო (87)
არბიტრი: გ. ვადაჭკორია

I-VI ადგილები

# მიკელ ალვაროს საჩემპიონო აბრაგანი

## ადამიანები ყვითლებში და თამაში კულისებს მიღმა



მიკელ ალვარომ (მარცხნივ) დინამოსთვის უმნიშვნელოვანესი გოლი გაიტანა, ნათან ჟუნიორმა რეალური მომენტი ვერ გამოიყენა თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

უდიდესი ინტრიგა ახლდა თან „დინამო" — „დილას" საჩემპიონო ჯახს გორში. ორივე გუნდი განსაკუთრებით ემზადებოდა პრინციპული დაპირისპირებისთვის. დიდი იყო მოლოდინი გულშემატკივარშიც. თენგიზ ბურჯანაძის სახელობის სტადიონზე მაყურებლის სიმრავლე არავის უკვირს, თუმცა შაბათს აქ ანშლაგი ვიხილეთ. ადგილობრივ ქომაგთან ერთად ტრიბუნებზე მრავლად იყვნენ „დინამოს" გულშემატკივრებიც. საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი „დინამო" ამ ტიტულის კიდევ ერთხელ მოსაპოვებლად იბრძვის, ხოლო „დილას" წლეულს ჰქონდა ამბიცია კლუბის ისტორიაში პირველად მოეპოვებინა ქვეყნის ჩემპიონობა. გორელთა ამბიცია სწორედ ამ შეხვედრაში თეორიულად თუ არა, პრაქტიკულად მაინც უკვე დასრულდა. შესაბამისად „დინამოს" ჩემპიონობასაც ალბათ ვერაფერი შეუშლის ხელს. „დილას" რომ მოეგო, ან სულაც მარცხი არ ეწვნია, უმაღლესი ლიგის ფინიშზე ერთობ დაძაბული სამი ტური გველოდა, თუმცა **ალვაროს** მიერ შეხვედრის მიწურულს გატანილმა ულამაზესმა გოლმა ბოლო ტურების ინტრიგა ერთი დარტყმით მოკლა!

უშუალოდ მატჩის პირველი ტაიმი ნაკლებად, ხოლო მეორე საკმაოდ საინტერესო გამოდგა. მასპინძლებმა ე. წ. პირველ ნომრად ითამაშეს. გორელები შეტევების მრავალფაზიან განვითარებას ანიჭებდნენ უპირატესობას. „დინამო" კი სწრაფი საპასუხო იერიშებით ცდილობდა შედეგის მიღწევას. სტუმრები შორიდან დარტყმებსაც ხშირად მიმართავდნენ, ოღონდ ისინი **შეყრილაძისთვის** ძირითადად უხიფათოდ სრულდებოდა. თუ არ ჩავთვლით მე-13 წუთზე **გრაიციარის** შორეულ დარტყმას, რომელიც ხელიდან გაუვარდა მასპინძელთა გოლკიპერს, მაგრამ იქვე თვითონ განმუხტა ვითარება. მოედანზე თითქმის არ ჩანდა **დუშან უჰრინის** გუნდის გამოკვეთილი მოიერიშე **ჯაბა დვალი.** რამდენჯერმე **გიორგი მერებაშვილმა** კი სცადა შეტევის დასკვნითი ფაზის თავის თავზე აღება, მაგრამ საქმე არც მას გამოსდიოდა. შესვენებამდე ორივე გუნდში საუკეთესო რგოლებად დაცვის ხაზები უნდა მივიჩნიოთ. მათი შეცდომები მინიმალური იყო. პირველი ნახევრის ყველაზე ალსანიშნავი ეპიზოდი კი 45-ე წუთზე მოხდა — **გოგიტა გოგუას** მიერ მეკარის ბაქანში განხორციელებულ ფლანგურ ჩაწოდებას **ირაკლი მოდებაძე** თავურით გამოეხმაურა, თუმცა **გიორგი ლორიას** კარისკენ გაგზავნილი დარტყმა გოლკიპერის სწრაფმა რეაქციამ გაანეიტრალა.

შესვენების შემდეგ „დილამ" ბურთის კონტროლს უმატა. ამ ფონზე განსაკუთრებით მეორე ტაიმის დაახლოებით 15 წუთი „დინამოც" დაბნეული გამოიყურებოდა. 48-ე წუთზე **ირაკლი მაისურაძის** ჩაწოდებული ლორიამ ხელში ვერ შეიმაგრა, მაგრამ იქვე მყოფ მაისურაძესაც არ მისცა დამატების საშუალება და სტუმართა კარი გადარჩა. შვიდ წუთში გორელების სწრაფი კონტრიერიშისას **ჟუნიორმა** ბურთის მიღებისას ეფექტურად ჩამოიცილა მეურვე და მეკარესთან პირისპირ აღმოჩნდა, თუმცა ლორიას უკვე-ველარ აჯობა. ცოტა ხანში მაისურაძის მიერ საჯარიმოს მისადგომებიდან სახიფათო დარტყმულზე ისევ ლორიამ ივარგა. მოვლენათა განვითარებაში შეცვლების მეშვეობით ჩარევა მწვრთნელებმა გვიან გადაწყვიტეს. პირველად **ვალდას ივანაუსკასმა** შეუშვა მინდორზე ჯერ **ზურაბ არზიანი,** შემდეგ **მიხეილ გორელიშვილი.** ორივე მათგანი მალევე დაემუქრა მეტოქის კარს „თავისი წილი" ხიფათით. 77-ე წუთზე არზიანის მიერ კართან ჩაკიდებულზე მოდებაძემ ერთხელაც დაასწრო მცველებს თავით, მაგრამ „დინამოს" გოლკიპერი კიდევ ერთხელ აღმოჩნდა მოწოდების სიმაღლეზე. ცოტა ხანში გორელიშვილს შორიდან ძლიერად გასროლილზე ოდნავ უმტყუნა მიზანმა. აქვე ივანაუსკასმა ცენტრალური მცველი (**გულვერდ თომაშვილი**) მოხსნა თამაშიდან და შეტევა რისკის ფასად გააძლიერა. მისგან ეს ნაბიჯი მოსალოდნელიც იყო, რადგან „დილასთვის" წაგებასა და ყაიმს შორის სხვაობას დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა. ამასობაში კი მატჩის გადამწყვეტი ეპიზოდიც მოახლოვდა: „დინამოელთა" მიერ შეყრილაძის კართან ჩაწოდებული ბურთი **კახა ალადაშვილმა** უკუაგდო, თუმცა საჯარიმოს მისადგომებთან გადმოვარდნილი ბურთი ალვარომ ისე მოირგო ფეხზე, რომ უძლიერესი აბრაგანით ბრწყინვალე გოლი გაიტანა! ხუთწლიანი პაუზის შემდეგ „დინამო" ძალიან ახლოსაა ჩემპიონობასთან, „დილას" კი, მართალია, ამჯერად არ გაუმართლა, მაგრამ ყველაფერი არაა დაკარგული, ოღონდ ახლა მთავარია, გუნდის შემადგენლობის შენარჩუნება მოხერხდეს.

**მატჩის შემდეგ**

**დუშან უჰრინი** (დინამო): „რასაკვირველია ვიცოდით, რომ რთული თამაში გველოდა. მოგეხსენებათ, ორ ფრონტზე გვიწევს ასპარეზობა და ჩვენი ფეხბურთელები ცოტა გადაღლილები ჩანდნენ, გორის „დილა" კი უფრო მხნედ გამოიყურებოდა. მეორე ნახევარი ცუდად დავიწყეთ. საბოლოოდ მნიშვნელოვანი სამი ქულა მოვიპოვეთ და კიდევ უფრო მივუახლოვდით ჩემპიონობას."

**ვალდას ივანაუსკასი** (დილა): „დღეს მოედანზე თამაშობდა მხოლოდ ერთი გუნდი და ეს იყო „დილა", მაგრამ ქულები „დინამომ" მოიპოვა. ვულოცავ მათ, ვისაც ასე უნდოდა „დინამოს" ჩემპიონობა! სამწუხაროდ, ინტრიგა, რომელიც ჩემპიონატის ფინიშზე შესაძლებელია ძალიან გაზრდილიყო – ფაქტობრივად მოკვდა! ჩვენ წაგებას არ ვიმსახურებდით, მაგრამ ადამიანები ყვითლებში (მსაჯები – ვ.ბ.) სხვაგვარად მოქმედებენ. საერთოდაც ჩანს, რომ აქტიურად მიმდინარეობს კულუარული თამაშები. სამაგიეროდ, მე ვამაყობ ჩემი გუნდით, რომელიც დარწმუნებული ვარ, რომ ყველაზე ლამაზ ფეხბურთს თამაშობს დღეს საქართველოში!"

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

● U-19. მოსამზადებელი ეტაპი

# რუსეთთან გამარჯვება და მესამე ადგილი

27 აპრილს საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმა პორტუგალიის საერთაშორისო ოთხთა ტურნირზე კარი ომახიანად გამოიჯახუნა: ორი წაგების შემდეგ **გია ცეცაძის** გაწვრთნილებმა ბოლო მატჩში რუსეთი 1:0 დაამარცხეს.

რუსეთი არაოფიციალურ შეხვედრაშიც პრინციპული მეტოქეა. ამიტომაც არის სასიხარულო მეტოქის მთავარი მწვრთნელის **ვლადიმერ შერბაკის** ნათქვამი - დასაწყისში საქართველოს ნაკრები უპირატესობს ფლობდა, ჩვენ კი შეტევების ორგანიზება მხოლოდ მეორე ტაიმში დავიწყეთო, მაგრამ საგოლე მომენტი მანაც ვერ გაიხსენა.

სლავები ორჯერ გადაგვირჩნენ, პირველ შემთხვევაში **ბუდუ ზივზივაძის** დარტყმული ბურთი მეკარემ მოიგერია,



**გიორგი ფანცულაიამ** კი ძელს მოარტყა.

გამარჯვების გოლის გამტანი **ბაჩანა არაბული** გახლავთ: რუსებმა საკუთარ საჯარიმოში ხელით ითამაშეს, პენალტი კი გორის "დილას" თავდამსხმელმა გოლად გარდაქმნა – 1:0.

ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურმა ცნობაში მიუთითა, რომ ამჯერადაც გუნდის ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა მომენტების რეალიზაციის დაბალი მაჩვენებელი იყო. ამის თვალსაჩინო დასტური გახდა შეხვედრები პორტუგალიასთან (ჩვენებმა 8 რეალური საგოლე მომენტი შექმნეს, მაგრამ 0:2 წააგეს), სერბეთთან (1:2) და იგივე რუსეთთან, რომელთანაც გაცილებით დიდი ანგარიშით მოგებაც შეიძლებოდა.

**საქართველო – რუსეთი 1:0**

1:0 არაბული (51. პენ)
საქართველო 19: თებიძე, მთივლიშვილი, სანდოხაძე, ნ. ჭანტურია, უბილავა (77. გეგეჭკორი), დვალი, ცნობილაძე, ზივზივაძე, მარკოზაშვილი (77. სამუშია), ფანცულაია (90. გოროზია), არაბული
გაფრთხილება: ცნობილაძე

რუსეთისა და სერბეთის მსგავსად, ჩვენმა ნაკრებმაც 3 ქულა დააგროვა, მაგრამ ბურთების შეფარდებით მე-3 ადგილს დასჯერდა.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუგალია | 3 | 3 | 0 | 0 | 6:0 | 9 |
| რუსეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:2 | 3 |
| საქართველო | 3 | 1 | 0 | 2 | 2:4 | 3 |
| სერბეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 2:7 | 3 |

19-წლამდელები მაისში შეიკრიბებიან და სერბეთში მოემზადებიან, საიდანაც ბელგიაში, ელიტრაუნდზე გაემგზავრებიან და ევროპის ჩემპიონატზე გასასვლელად ინგლისს, შოტლანდიასა და ბელგიას შეხვდებიან.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

I-VI ადგილები

# ტორპედოს ვერცხლის პერსპექტივა

27.04. ქუთაისი. ტორპედო
2 000 მაყურებელი

ტორპედო 1
ზესტაფონი 0

1:0 კუხიანიძე (57.პენალტით)

| ტორპედო 4-2-3-1 | ზესტაფონი 4-3-2-1 |
|---|---|
| მიგინეიშვილი | რ. კვასხვაძე |
| რიგვავა | თორ. გრიგალაშვილი |
| ზ. ჭელიძე | ლოზანო |
| გ. გურული | კაკაკიშვილი |
| ტაბატაძე | თ. ღონღაძე |
| დათუნაიშვილი | იელიჩი |
| გიგაური | ბაბუნაშვილი |
| დოლიძე | აფციაური |
| კუხიანიძე | ბენაშვილი |
| ე. გრიგალაშვილი | რაჟამაშვილი |
| ბერიაშვილი | კვერნაძე |
| მწვრთნელი: გ. გეგუჩაძე | მწვრთნელი: კ. კაჭარავა |

**ტორპედო**

60. ბერიაშვილი - **ტუღუში**
72. დოლიძე - **ფირცხალავა**
90. ე. გრიგალაშვილი - **კაკუბაძე**

*სათადარიგოები: ქვილითაია, ცინცაძე, გოგიჩაიშვილი, გავაშელიშვილი*

**ზესტაფონი**

29. კაჭკაჭიშვილი – **შარიქაძე**
60. რაჟამაშვილი- **ბოტი გოა**
80. ბენაშვილი- **კუტალია**

*სათადარიგოები: მეშველიანი, რეკრუკი, ჭანტურიშვილი, გორგიაშვილი*

გაფრთხილება: რაჟამაშვილი (20), ბენაშვილი (43), კვასხვაძე (56), ფირცხალავა (79), ე. გრიგალაშვილი (88), კუტალია (89), მიგინეიშვილი (90), ბოტი გოა (90)

არბიტრი: თ. გვანცელაძე

„ტორპედოსა“ და „ზესტაფონს“ შორის ისეთი ლაზათიანი დაპირისპირებები გვაქვს ნანახი, რომ მათთან შედარებიით შაბათის დერბი ძალიან უსახურად მოგვეჩვენა: მოსაწყენ თამაშში ტემპი საშუალოზე დაბალი იყო და საგოლე მომენტებიც იშვიათად იქმნებოდა. სტუმრებისგან განსხვავებით, **გია გეგუჩაძის** გუნდისთვის შეხვედრა საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო, ქუთათურები საპრიზო ადგილებისთვის იბრძვიან და „დინამოს“ მიერ „დილას“ დამარცხების შემდეგ ვერცხლის მედლების მოპოვების შანსიც გაუჩნდათ. რაც შეეხება „ზესტაფონს“, მისი ერთადერთი მოტივაცია ზედა ექვსეულში პირველი გამარჯვების მოპოვება გახლდათ, თუმცა, მოქმედი ჩემპიონი ისევ დამარცხდა, თანაც, ფეროელებს ბოლო ექვსი შეხვედრაა (540 წუთი) გოლიც არ გაუტანიათ! ზესტაფონელთა მთავარმა მწვრთნელმა **კახა კაჭარავამ** წინა ტურში „დილასთან“ განცდილი მარცხის შემდეგ (0:3) ძირითადში რადიკალური ცვლილებები განახორციელა და იმ შემადგენლობიდან 7 ფეხბურთელი შეცვალა. გია გეგუჩაძე კი ნაცად შემადგენლობას დაეყრდნო, ერთი ეგაა, **გიორგი ონიანის** დაშავების შემდეგ დაცვაში მოუხდა კორექტივების შეტანა, **ზაზა ჭელიძის** გვერდით ცენტრალურ მცველად **გიორგი გურული** მოგვევლინა, განაპირა მცველებად კი **დავით რიგვავამ** და **ვაჟა ტაბატაძემ** იასპარეზეს. ქუთაისელებმა ამ მატჩში **ნიკა საბანაძეც** მოისაკლისეს და ამის გამო თავდასხმაში **გიორგი ბერიაშვილი** ეულად ირჯებოდა, რომელსაც სიღრმიდან **გიორგი კუხიანიძე** და **ელგუჯა გრიგალაშვილი** ეხმარებოდნენ. მასპინძელთაგან ყველაზე აქტიურად სწორედ ეს ტრიო ირჯებოდა.

შეხვედრა საშუალო ტემპში დაიწყო, გუნდებმა ერთმანეთის „დაზვერვას“ დიდი დრო მოანდომეს, საწყისი 15 წუთის მანძილზე კარის მიმართულებითაც არ დაურტყამთ. პირველი სახიფათო მომენტი სტუმრებმა შექმნეს, **თორნიკე აფციაურმა** ჯარიმიდან ბურთი მეკარისგან ახლო კუთხეში „მოჭრა“ და რომ არა მეკარე **ომარ მიგინეიშვილის** დამაჯერებელი თამაში, ანგარიშიც გაიხსნებოდა. თანდათან მასპინძლებმა ტერიტორიული უპირატესობა მოიპოვეს, მაგრამ კარში დარტყმამდე საქმე არ მიდიოდა. თანდათან ტორპედოელთა შეტევები უფრო და უფრო მწვავდებოდა, ელგუჯა გრიგალაშვილის დარტმის შემდეგ ბერიაშვილმა ბურთს ფეხი დაუხვედრა და **როინ კვასხვაძის** კარშიც მოათავსა, მაგრამ მსაჯმა თამაშგარე მდგომარეობა დააფიქსირა. ტაიმის ბოლო წუთებზე მეტოქეებმა ორ-ორი მომენტი გაცვალეს: **შოთა ბაბუნაშვილის** შორეულ დარტყმას მიგინეიშვილი აუღელვებლად დაუხვდა, სანაცვლოდ, ელგუჯა გრიგალაშვილმა ჯარიმიდან ზესტაფონელთა კარის ძელი შეაზანზარა. ამას **ლოსანოს** არაზუსტი თავური მოჰყვა, ბოლოს კი კვლავ ქუთაისელებმა ანერვიულეს მეტოქე, გრიგალაშვილის ჯარიმიდან ჩაწოდებულ ბურთს ბერიაშვილმა ნახტომში თავით შეუცვალა მიმართულება, მაგრამ სამიზნეს ააცილა.


ფოტო: www.fctorpedo.ge

მატჩის მეორე ნახევარი ქუთაისელთა აქტიურობით დაიწყო, ელგუჯა გრიგალაშვილი მარჯვნიდან შეიჭრა მეტოქის საჯარიმოში, მაგრამ მცველთან ჭიდილში დაეცა, რის გამოც ქუთაისელები პენალტს ითხოვდნენ. ამ ეპიზოდში მატჩის არბიტრ **თორნიკე გვანცელაძეს** სტუმრები არ დაუსჯია, მაგრამ „ზესტაფონი“ მოგვიანებით პენალტს მაინც ვერ გადაურჩა; კვასხვაძესთან პირისპირ გასული ბერიაშვილი სტუმართა კიპერმა წესების დარღვევით შეაჩერა და კუხიანიძემ თერთმეტმეტრიანი დარტყმით მასპინძლები დააწინაურა - 1:0. მალევე გრიგალაშვილმა და ბერიაშვილმა კარგი კომბინაცია გაითამაშეს, ამ უკანასკნელმა მეკარის ზაქანთან გამჭოლი გადაცემა გააკეთა, მაგრამ კუხიანიძემ ბურთს ვერ მიუსწრო. ტაიმის შუაწელიდან ზესტაფონელები გააქტიურდნენ, **თემურ ღონღაძის** ფლანგურ ჩაწოდებას შეცვლაზე შესული **ბოტი გოა** თავური დარტყმით აგვირგვინებდა, მაგრამ მიგინეიშვილი ბურთს ადგილზე დაუხვდა. მატჩის დასრულებამდე ზესტაფონლებმა კიდევ სამჯერ „გაისროლეს“ ქუთაისელთა კარისკენ, მაგრამ შარიქაძის, ბოტი დემელისა და იელიჩის დარტყმები მიზანს ასცდა და ანგარიში აღარ შეცვლილა. „ტორპედომ“ საჭირო სამი ქულა მოიპოვა, უმოტივაციოდ დარჩენილი „ზესტაფონი“ კი ზედა ექვსეულში კვლავაც პირველი მოგების მოლოდინშია.

**დავით კოხრეიძე,**
ქუთაისიდან

# უმოტივაციობის მოტივაცია

27.04. ივანწმინდა.
800 მაყურებელი

ჩიხურა 2
ზუგდიდი 1

1:0 გოცირიძე (7), 2:0 კირკიტაძე (12), 2:1 გაბედავა (70)

| ჩიხურა | ზუგდიდი |
|---|---|
| სომხიშვილი | მაქაცარია |
| ოდიკაძე | რ. ონიანი |
| საჯაია | აფაქიძე |
| რეხვიაშვილი | აქუბარდია |
| კაშია | კანია |
| დიღმელაშვილი | შ. ლომია |
| ლომაშვილი | ხუბუა |
| დ. ბოლქვაძე | ფარჯიკია |
| კირკიტაძე | ეხვაია |
| გოცირიძე | გაბედავა |
| დეკანოიძე | სიხარულია |
| მწვრთნელი ს. ფრუიძე | მწვრთნელი ე. ქომეთიანი |

**ჩიხურა**

74. კირკიტაძე — **ქიმაძე**

*სათადარიგოები: მწყერაშვილი, ბერიანიძე, გუშარაშვილი, ლ. ჭელიძე, ძამსაშვილი, ზაბახიძე*

**ზუგდიდი**

69. სიხარულია – **კობერიძე**
73. ფარჯიკია – **ქომეთიანი**
83. ეხვაია - **კუკავა**

*სათადარიგოები: ქირია, ბერიაშვილი, ქანთარია, ხუხია*

გაფრთხილება: გოცირიძე (55), ფარჯიკია (65), დეკანოიძე (79), აქუბარდია (90), გაძევება: საჯაია (75)

არბიტრი: გ. კიკაჩეიშვილი

სათაურად გამოტანილი ფრაზის დამაბნეველი უცნაურობა შეიძლება ასე აიხსნას: საჩემპიონო ექვსეულის ბოლოში „მტკიცედ“ დამკვიდრებული “ზუგდიდი” უკან ველარაფრით დაიხევს, წინ კი, ისიც უკეთეს შემთხვევაში, მხოლოდ და მხოლოდ ერთი ადგილით შეიძლება წაიწიოს, რასაც რაიმე განსაკუთრებული მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს.

საბედნიეროდ და სტუმართა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ სწორედ ეს ერთგვარი უმოტივაციობა აქციეს მეორე ტაიმში კომბინაციური, ლაღი, შეუბორკავი თამაშის მოტივაციად, რითაც მაყურებელიც ანერვიულეს და სიმპათიებიც დაიმსახურეს, თუმცა წარმატების მცდელობა არც პირველ ტაიმში აკლდათ.

„ჩიხურას“ სათამაშო სტრატეგიას კი სულ სხვა მოტივები განსაზღვრავდა: მას საპრიზო ადგილზე გასვლის შანსი გამარჯვებით უნდა შეენარჩუნებინა. თანაც ეს ყველაფერი ძალთა დაზოგვით, უდანაკარგოდ გაეკეთებინა „სიონთან“ სათასო განმეორებითი ნახევარფინალური ბატალიების წინ.

პირველი ამოცანა გუნდმა, ასე თუ ისე, შეასრულა, მეორე კი ვერა, რადგან გაძევებული **ედიკ საჯაია** დიდი დანაკლისი აღმოჩნდა მისთვის.

მიზნის მისაღწევად დასაწყისშივე შეუტიეს მრავალსვლიანი კომბინაციებით **დავით კირკიტაძემ, ვაჟა ლომაშვილმა, ბესიკ დეკანოიძემ** და **რევაზ გოცირიძემ.**

მე-7 წუთზე **დავით ბოლქვაძეს** ეუხეშნენ. დაზარალებულის მიერ დარტყმული ჯარიმიდან მცველების გამოტანილი ბურთი ლომაშვილმა არა მარტო საჯარიმოში ჩააბრუნა, არამედ ზედ ფეხზე დაუსვა გოცირიძეს, რომელმაც მცირე მანევრის შემდეგ აუღებელი დაარტყა – 1:0

მე-12 წუთზე კი გოლის გამტანმა თვითონ იკისრა ასისტენტობა, უზუსტესი პასით მეკარეს შეატოვა კირკიტაძე, რომელმაც ჩინებულად შეირგო მომენტი.

მე-15 წუთზე სტუმრებმაც სცადეს გატანა, მაგრამ **აკაკი ფარჯიკიას** დარტყმას მედგრად დაუხვდა “ზუგდიდის” ყოფილი მეკარე **გიორგი სომხიშვილი.**

23-ე წუთზე ანგარიში გაიზრდებოდა, დეკანოიძის დარტყმა ოდნავ ძლიერი რომ ყოფილიყო, ხოლო 26-ე წუთზე მოხდა ის, რისთვისაც მაყურებელს უყვარს ფეხბურთი: **დავით ოდიკაძემ** ზუსტად უპასა კარგ მდგომარეობაში მყოფ კირიტაძეს. ამ უკანასკნელის მაღალი ტრაექტორიით ჩაწოდებული ბურთი მკერდიდან ფეხზე მოირგო დეკანოიძემ, ოსტატურად გადაუგდო მცველს თავზე და შეუჩერებლად, ყუმბარისებურად დაარტყა. გოლის მოლოდინში ფეხზე წამომდგარი მაყურებელი **არჩილ მაქაცარიამ** გააწბილა – უიმედო მდგომარეობა განმუხტა ბრწყინვალე ნახტომით „ცხრიანში“ წასული ბურთის კუთხურზე მოგერიებით.

28-ე წუთზე უკვე ეხვაიას მართებდა გატანა, მაგრამ ააცილა; 30-ე წუთზე ბოლქვაძემ გააცუდა მომენტი; 35-ე წუთზე ლომაიას ნაჯარიმალი მუშტებით გამოიტანა სომხიშვილმა; 39-ე წუთზე **შოთა ლომიასა** და **ირაკლი ეხვაიას** გაუფუჭდათ „სამიზნეები“, ხოლო მე-40 წუთზე დეკანოიძეს ორჯერ დაასწრო ზუგდიდელმა გოლკიპერმა.

მეორე ტაიმში „ჩიხურამ“ საქმე გაკეთებულად ჩათვალა და ძალთა დაზოგვით, მხოლოდ შიგადაშიგ „იჩხვლიტებოდა“ მწარედ, სტუმრები კი გაცილებით ენერგიულები გახდნენ.

56-ე წუთზე მაქაცარიამ კიდევ ერთი გარდაუვალი საგოლე დუელი მოუგო დეკანოიძეს, მერე ოდიკაძესაც არ დაანება გატანა, ხოლო 63-ე წუთზე, ბოლქვაძის თითქმის ორმოცმეტრიანი დიდებული რეიდის შემდეგ მეკარის მოქმედების შეფასება მხოლოდ ერთადერთი სიტყვით შეიძლება – ყოჩაღ!

მანამდე, მე-6 წუთზე, ეხვაია-გაბედავას შეტევა ძლივს განმუხტეს საჩხერელმა მცველებმა.

70-ე წუთზე ზუგდიდელთა მიზანსწრაფვას მაინც მოჰყვა გოლი: სიხარულია-კობერიძის მწვავე კომბინაცია **გიორგი გაბედავას** ზუსტი დარტყმით დასრულდ და — 2:1.

დარჩენილ დროში, მით უმეტეს 75-ე წუთის შემდეგ, როცა საჯაია გააძევეს საჯარიმო მოედნის გარეთ (მისი უხეშობა მსაჯმა „უკანასკნელი იმედის“ ჯარიმად შეაფასა) „ჩიხურა“, უმეტესწილად, ანგარიშის შენარჩუნებაზე ზრუნავდა, სტუმართა მხრიდან კი ანგარიშის გაქვითვისთვის რამდენიმე თავგამოდებულ მცდელობას შედეგი აღარ მოჰყოლია.

**მატჩის შემდეგ**

**ელგუჯა ქომეთიანი:** “ყოველთვის არ გამოგვდის ჩანაფიქრი, რასაც ახალი გუნდის მშენებლობის პროცესში ვახორციელებთ, მაგრამ იმედისმომცემი წინსვლა მაინც შეინიშნება და ეს აზრი ამ შეხვედრამაც განამტკიცა. მეორე ტაიმში ბიჭებს ვთხოვე, უბრალოდ, უკეთესი ფეხბურთი ეთამაშათ. მათაც თხოვნა შეასრულეს. ანგარიშის გათანაბრებაც შეგვეძლო და თამაშის მთლიანად შემოტრიალებაც, თუმცა „ჩიხურამ“ მაინც დამსახურებულად გაიმარჯვა. ვულოცავ და შემდგომ წარმატებებს ვუსურვებ.”

**სოსო ფრუიძე:** “აუტსაიდერობის მიუხედავად “ზუგდიდი” სულაც არ არის ხელწამოსაკრავი გუნდი. ერთგვარად შეგვბოჭა მისმა პოტენციურმა ძალამ. 2:0-ის შემდეგ საგრძნობლად მოვდუნდით, მაგრამ მთავარი დასახული ამოცანა მაინც შევასრულეთ”.

**თამაზ ლაშხი**
საჩხერიდან

**I-VI ადგილები**

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშვ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | დინამო (თბ) | 29 | 21 | 6 | 2 | 74 | 20 | 69 |
| 2 | დილა | 29 | 20 | 2 | 7 | 50 | 20 | 62 |
| 3 | ტორპედო | 29 | 17 | 7 | 5 | 48 | 21 | 58 |
| 4 | ჩიხურა | 29 | 16 | 6 | 7 | 43 | 29 | 54 |
| 5 | ზესტაფონი | 29 | 11 | 6 | 12 | 31 | 28 | 39 |
| 6 | ზუგდიდი | 29 | 10 | 6 | 13 | 29 | 44 | 36 |

**XXX ტური**

**4 მაისი. შაბათი**

ზუგდიდი-დილა
დინამო (თბ)-ტორპედო
ზესტაფონი-ჩიხურა

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ჩისკო (დინამო თბ) | 19 |
| დვალი (დინამო თბ) | 17 |
| ს. ლომია (მერანი) | 13 |

საქართველოს ჩემპიონატი. XXIX ტური

VII-XII ადგილები

27.04. მცხეთა. მცხეთა პარკი
1 000 მაყურებელი

**ვიტ ჯორჯია 3**
**დინამო (ბთ) 2**

1:0 კუხალეიშვილი (2. კორიფაძის პასით), 2:0 ჯანელიძე (12), 2:1 გურული (23), 2:2 ყვანია (69), 3:2 ლობჯანიძე (85).

| ვიტ ჯორჯია 4-2-3-1 | დინამო 4-2-3-1 |
|---|---|
| დაუშვილი | პიცანი |
| ხურცილავა | ფარტენაძე |
| ადამაძე | გ. ყვანია |
| კასრაძე | ზ. ლობჟანიძე |
| იაშვილი | ქორიძე |
| ვასაძე | გოგიტიძე |
| გურეშიძე | ა. მუჯირი |
| კორიფაძე | ს. გურული |
| ჯანელიძე | კომააძე |
| ჯავაშვილი | კიკნაველიძე |
| კუხალეიშვილი | ჩიმააკაძე |
| მწვრთნელი ზ. ბერიძე | მწვრთნელი გ. გურული |

**ვიტ ჯორჯია**

60. კუხალეიშვილი – **ე. ლობჯანიძე**
71. იაშვილი – **სოფრომაძე**
76. კასრაძე - **გოგიაშვილი**
*სათადარიგო: რეჭია, ტეტუნაშვილი, ლიბრაძე, დავლაშელიძე*

**ბათუმი**

35. გოგიტიძე - **თევდორაძე**
83. ქორიძე - **მაკარიანი**
87. გურული - **ბერიძე**
*სათადარიგო: მამინაშვილი, ვარშანიძე, ბაჯელიძე,*
გაფრთხილებები: ქორიძე (12), ჩიმაკაძე (59), ხურცილავა (86).
არბიტრი: აბდულა ბასლეპლო

# ბოლო წუთებზე მოპოვებული გამარჯვება

უმაღლეს ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად ბრძოლა გადამწყვეტ ფაზაში შევიდა და დაძაბულობა პიკს აღწევს. გუნდები მოსაგებად თავს არ ზოგავენ. "ვიტ ჯორჯიასა" და ბათუმის "დინამოს" შეხვედრა ამის მაგალითად გამოდგება - გამარჯვებულის ვინაობა ბოლო წუთებამდე უცნობი იყო. საქართველოს ჩემპიონატში იშვიათად იხილავთ ასეთ შედეგიან, სწრაფ, ლამაზ და დამაინტრიგებელ სანახაობას:

ბოლნისში მოგებული პრინციპული შეხვედრის შემდეგ, "ვიტ ჯორჯია" მადაზე მოვიდა. **ზურაბ ბერიძის** განვრთნილებმა თამაში სწრაფად დაიწყეს, რგოლები, ფლანგებისა და ცენტრის ფეხბურთელები ერთმანეთთან კარგად ურთიერთქმედებდნენ, ბათუმელებმა კი საწყის წუთებში მეტოქეს ალღო ვერ აუღეს.

ვიტელებს ილბალმა მალე გაუღიმა: კუთხურიდან **გიორგი კორიფაძის** მოწოდებულ ბურთს თავით **ლევან კუხალეიშვილი** შეწვდა და ანგარიში გახსნა – 1:0.

ბათუმელები შოკიდან გამოსულები არ იყვნენ, როდესაც მეორე გოლიც მიიღეს: **ვაჟა ქორიძემ** საჯარიმოში **დავით ხურცილავა** მოცელა, პენალტი კი **გიორგი ჯანელიძემ** გოლად აქცია – 2:0.

მალე ბათუმელთა კარი მესამედაც შეირხა: მე-15 წუთზე **ლაშა კასრაძემ** საჯარიმო დარტყმა ზუსტი თავურით დაავვირგვინა, მაგრამ არბიტრმა წესის დარღვევა დააფიქსირა.

ბათუმელები მხოლოდ ამის შემდეგ გამოფხიზლდნენ, 23-ე წუთზე კი სხვაობა შეამცირეს: კუთხურიდან მოწოდებული ბურთი **ბესიკ ჩიმაკაძემ** კარში ზუსტად გაგზავნა, თუმცა დარტყმამდე წააქციეს. მსაჯმა იჩქარა და პენალტი დანიშნა, რომელიც **სანდრო გურულმა** გამოიყენა – 2:1.

ამის შემდეგ მატჩი პინგ-პონგს დაემსგავსა, ბურთი მოედნის ცენტრში არ ჩერდებოდა და ორივე კართან მრავალი მომენტი შეიქმნა. 24-ე წუთზე მეკარესთან პირისპირ კუხალეიშვილი გადიოდა, მაგრამ ლაინსმენმა **ივანე მაჩიტიძემ** თამაშგარე დააფიქსირა. ამან "ვიტ ჯორჯიას" პრეზიდენტი **გურამ რუხაძე** განარისხა, ჯერ ლოჟიდან დაუყვირა, "მაჩიტიძე, შე ნაგავო, მსაჯობას დაგამთავრებინებ!", მერე ლაინსმენს ტრიბუნის დამცავი მოაჯირიდან მიუახლოვდა და არ ცხრებოდა. მსაჯთა დამკვირვებელ **მერაბ მალალურაძესაც** მიაძახა, მერაბ, შენი ჩამოსვლისას სულ ასე რატომ ხდებაო.

მსაჯობაზე პრეტენზიები ლამის ყველა გუნდისგან ისმის და ერთხელ და სამუდამოდ უნდა გაირკვეს, ვის რა პრეტენზია აქვს და რამდენად საფუძვლიანია ეს ბრალდებები? იმიტომაც, რომ გავიგოთ, რუხაძე და კიდევ ბევრი გუნდის წარმომადგენელი წყობილებიდან რას თუ ვის გამოჰყავს.

...ტაიმის მიწურულს ტემპი ოდნავ დაეცა, თუმცა მომენტები კვლავაც იქმნებოდა. ვიტელებიდან შანსებით **გურამ ადამაძემ** და ჯანელიძემ ვერ ისარგებლეს, ბათუმელთაგან კი - **ნოდარ კიკნაველიძემ** (რომელიც ძალიან აქტიური გახლდათ). მარჯვენა ფლანგიდან **მირზა ფარტენაძეს** ჩაწოდებული ბურთი კი კარისკენ აიჭრა და რომ არა მეკარე **ნიკა დაუშვილის** მშვენიერი რეაქცია, ანგარიში პირველ ტაიმშივე გათანაბრდებოდა.

მომენტებით დახუნძლული იყო მეორე ნახევარიც. ბათუმელებმა ანგარიში 69-ე წუთზე გაათანაბრეს: **ამირან მუჯირის** ჩაწოდებული კუთხურის შემდეგ, **გიგა ყვანია** კარგად გაიხსნა და ახლო მანძილიდან თავური დარტყმით ბადე შეარხია – 2:2.

გოლმა ბათუმელებს ფრთები შეასხა და დაწინაურების შანსიც მიეცათ: მარცხენა ფლანგიდან კიკნაველიძე საჯარიმოში ისეთი სისწრაფით შეიჭრა, რომ არა დამცავი ბადე, მცხეთის სალობიეში შევარდებოდა, მანამდე კი კარში დარტყმა მოასწრო – თუმცა, მიზანს მცირე მანძილით ააცილა.

79-ე წუთზე **ელგუჯა ლობჯანიძის** გადაცემა კართან ახლოს მყოფმა **გურამ გურეშიძემ** ვერ შეიფერა.

უფრო რეალური საგოლე მომენტი 82-ე წუთზე ბათუმელთა შემტევ გურულს ჰქონდა: მარცხენა ფლანგიდან ჩაწოდებით, ის კიკნაველიძემ მეკარესთან პირისპირ დატოვა, მაგრამ ბურთს ქუსლი ცუდად წაჰკრა და დაუშვილმა თავისიანები კიდევ ერთხელ გადაარჩინა.

მომენტების გაფლანგვისთვის ბათუმელები მწარედ დაისაჯნენ. სწრაფი კონტრშეტევა მარჯვენა ფლანგიდან კორიფაძემ ჩინებულად გააგრძელა და მეკარესთან პირისპირ ლობჯანიძე დატოვა, რომელმაც სტუმრებს გადამწყვეტი ბურთი გაუტანა და საბოლოო ანგარიში დააფიქსირა – 3:2.

**მერაბ მამულაშვილი**
მცხეთა-თბილისი

27.04. თბილისი. ბასა
1 000 მაყურებელი

**სიონი 6**
**კოლხეთი 2**

0:1 როსინი (5), 1:1 კლიმიაშვილი (23), 2:1 ლექვთაძე (49, ახალაიას პასით), 3:1 ახალაია (57, ფოფხაძის პასით), 4:1 სვანიძე (60, კლიმიაშვილის პასით), 5:1 უგრეხელიძე (63, კლიმიაშვილის პასით), 5:2 ბუხაიძე (70), 6:2 უგრეხელიძე (73, კლიმიაშვილის პასით)

| სიონი 4-4-2 | კოლხეთი 4-4-2 |
|---|---|
| მერლანი | ხარშილაძე |
| ფოფხაძე | გ. კილასონია |
| სვანიძე | ჩადუნელი |
| ქემოკლიძე | ცხვიტარია |
| ელიავა | კაკულია |
| კლიმიაშვილი | გულუა |
| ჰაიდუჩეკი | როსინი |
| მანწკავა | ჯანაშია |
| ლექვთაძე | ქორჩილავა |
| მიქაუჩაძე | ბუხაიძე |
| ახალაია | კვანტალიანი |
| მწვრთნელი ა. ჯოლაძე | მწვრთნელი ს. ფილია |

**სიონი**

63. მანწკავა – **ჯოჯუა**
65. ახალაია - **უგრეხელიძე**
65. ლექვთაძე – **უგულავა**
*სათადარიგო: ვ. ლობჟანიძე, ნემსაძე, ბიბილეიშვილი, ხურციძე*

**კოლხეთი**

37. ქორჩილავა – **მ. ლორია**
62. კაკულია – **სიჭინავა**
*სათადარიგო: ბუბუტეიშვილი, ბარამიძე, ნაზრია, ხოშტარია, ქვარიანი*
გაფრთხილება: გულუა (25), კლიმიაშვილი (28), ჩადუნელი (38), როსინი (43), ფოფხაძე (45)
მსაჯი: ა. კრიჭაშვილი

# ძველი ახალაია?

ბოლნისელებმა დამაჯერებელი ანგარიშით კი გაიმარჯვეს, თუმცა "სიონის" ხელმძღვანელობასა და ქომაგებს ცალი ყური მცხეთისკენ ჰქონდათ და შეიტყვეს რა, რომ "ვიტ ჯორჯიამ" მატჩის ბოლოსკენ მოახერხა გამარჯვების გოლის გატანა, ორმაგად ველარ გაიხარეს.

ფოთის "კოლხეთმა" შეხვედრა რიხით დაიწყო, "სიონის" საჯარიმოში შექმნილი არეულობითა და მასპინძელთა მცველების უნიათობით კარგად ისარგებლა **როსინიმ** – ახლოდან გადაგზავნა ბურთი ბადეში.

"სიონი" თანდათან დაეუფლა უპირატესობას. **ლადო ახალიას** დარტყმა **მიხეილ ხარშილაძემ** კუთხურზე მოიგერია, იყო სხვა სახიფათო მომენტებიც, ანგარიშის გათანაბრება კი **ირაკლი კლიმიაშვილმა** მოახერხა კუთხურიდან – ახლო ძელთან ჩაახვია ბურთი, **ალექსანდრე ქორჩილავა** კი შეეცადა თავით მოგერიებას, მაგრამ ვერაფერი მოახერხა – 1:1.

ბოლნისელები ზეწოლას განაგრძობდნენ, **კოკა მიკუჩაძეს** ორჯერ ჰქონდა საგოლე შანსი – ჯერ იყო და მცველმა დააფარა ახლო მანძილიდან დარტყმას, მერე კი ბურთი ხარიხამ აისხლიტა.

კლიმიაშვილმა ხელმეორედაც სცადა სტანდარტული სიტუაციიდან ენახა ხეირი, მაგრამ მისი საჯარიმო დარტყმა ხარშილაძემ კუთხურზე მოიგერია.

მეორე ტაიმი ახალი დაწყებული იყო, "სიონმა" სწრაფი იერიში რომ განახორციელა, მარცხენა ფლანგზე ახალაიამ გაილაღა, ჩინებულადაც ჩააწოდა **ირაკლი ლექვთაძეს**, რომელმაც თავურით დააწინაურა ბოლნისელები – 2:1.

"სიონს" ნიათი მოემატა და მალე კიდევ ერთხელ გაუტანა "კოლხეთს" – **დაჩი ფოფხაძის** ჩაწოდება თავურით ახალაიამ დააგვირგვინა. ჩვენ ვიხილეთ რამდენიმე წუთიანი ეპიზოდი, რომელმაც ის ახალაია გაგვახსენა, **ივო შუშაკის** განვრთნილ "დინამოში" რომ ბრწყინავდა.

3:1-ის შემდეგ ყველაფერი უკვე ნათელი იყო, "სიონი" უპირატესობას ვერ გაფლანგავდა თუნდაც იმიტომ, რომ ეს "კოლხეთი" ორბურთიანი ჩამორჩენის ამომქაჩველი ნამდვილად არ არის.

**დავით სვანიძემ** თავურით გაიტანა, **ვლადიმერ უგრეხელიძე** კი ორჯერ გავიდა მეკარესთან პირისპირ და ორივეჯერ გამოიყენა შანსი. რაც შეეხება "კოლხეთის" გოლს მეორე ტაიმში, **პაატა ცხვიტარიას** 11-მეტრიანი **მირზა მერლანმა** მოიგერია, დამატებაზე კი **გიორგი ბუხაიძემ** იმარჯვა.

**დავით თავართქილაძე**

27.04. მარტვილი. ცენტრალური მაყურებელი

**მერანი 1**
**მეტალურგი 0**

1:0 იობაშვილი (35. ბუკიას პასით)

| მერანი 4-2-3-1 | მეტალურგი 4-3-3 |
|---|---|
| შეროზია | ალავიძე |
| ლ. ღონღაძე | ჯაფარიძე |
| იობაშვილი | გავაშელიშვილი |
| ქარქუზაშვილი | ინწკირველი |
| ხუბუა | სუხიაშვილი |
| დიდავა | რაზმაძე |
| ბუკია | ქავთარაძე |
| მელიავა | დობროვოლსკი |
| კუჭუხიძე | ფიფია |
| ს. ლომია | ახალკაცი |
| კრისი | სიხარულიძე |
| მწვრთნელი: მ. ჟვანია | მწვრთნელი: გ. ყიფიანი |

**მერანი**

55. კუჭუხიძე - **ტორონჯაძე**
65. ს. ლომია - **შარვაძე**
75. კრისი - **ზაქრაძე**
*სათადარიგოები: მუჯირიშვილი, ქათამაძე, ი. მონიავა, გეგია*

**მეტალურგი**

46. ქავთარაძე - **დ. საჯაია**
68. სუხიაშვილი - **გენაძე**
80. დობროვოლსკი - **ხაბელაშვილი**
*სათადარიგოები: ბედიაშვილი, ზ. ლობჯანიძე, მახვილაძე*
გაფრთხილება: ქარქუზაშვილი (10), რაზმაძე (16), სუხიაშვილი (43), შეროზია (90)
არბიტრი: თ. ხუჭუა

# მერანის მარტვილობა დასრულდა

ჰაერივით საჭირო გამარჯვება ლიდერთან

რუსთავის "მეტალურგს" სატურნირო მდგომარეობიდან გამომდინარე, არავითარი ამბიცია არ გააჩნია. თუმცა, ამის მიუხედავად, უმოტივაციოდ დარჩენილი ქვემოქართლელები არავის არაფერს ჩუქნიან და ბოლომდე "სამართლიანი თამაშის" პრინციპებს იცავენ. ასე მოხდა მარტვილშიც: მათ მთელი 90 წუთის განმავლობაში ფარხმალი არ დაუყრიათ, ბოლომდე იბრძოლეს და გვარიანად ანერვიულეს ადგილობრივი გულშემატკივრები.

რა შეიძლება ითქვას "მერანზე"? ეს გუნდი უმაღლეს ლიგაში მეორე სეზონს ატარებს. ამ ხნის მანძილზე მარტვილელებს არც შინ და არც სტუმრად რუსთაველებისთვის არასოდეს მოეგოთ. და აი, ფინიშის სწორზე ურთიერთშეხვედრებში პირველი სამი ქულა ჩაიწერეს. პრინციპულ მეტოქესთან მოპოვებული გამარჯვებით ისინი გასავარდნ ზონას დასცილდნენ და ამჟამად, თავს გაცილებით კომფორტულად გრძნობენ. თავიდანვე ვთქვათ, რომ ამ გამარჯვებაში ლომის წილი **ვალერი იობაშვილს** მიუძღვის, რომელმაც 35-ე წუთზე **ცოტნე ბუკიას** მოზომილი გადაცემით ისარგებლა და ვარდნაში შესრულებული დარტყმით, თავისიანებს სასიცოცხლო მნიშვნელობის მატჩი მოაგებინა.

მივყვეთ თანმიმდევრულად: შეხვედრა საინტერესოდ და დაძაბულად წარიმართა. პირველი სახიფათო მომენტი სტუმრებმა შექმნეს, **დენის დობროვოლსკის** ჩამოწოდებულ ბურთს **ალექსანდრე ინწკირველი** გამოეხმაურა, თუმცა მიზანმა უმტყუნა. რამდენიმე წუთში ანალოგიური მომენტი შეიქმნა, უკვე საპირისპირო კართან: ცოტნე ბუკიას დიაგონალურ გადაცემას **გივი ქარქუზაშვილმა** შეაგება თავი, თუმცა უშედეგოდ. იქვე **კრისი ბანებას** მიეცა ანგარიშის გახსნის შესაძლებლობა, თუმცა **მიხეილ ალავიძემ** ახლო კუთხეში წასული ბურთი ხელთ იგდო. ცოტა ხანში, ზედიზედ ორჯერ შეეძლო გატანა **რომან ახალკაცს**, თუმცა პირველ ეპიზოდში ბურთი ბადეს გარედან შეეხო, მეორედ კი **ჯონი შეროზიამ** ივარგა.

მარტვილელები ნელ-ნელა ქვედა ექვსეულის ლიდერს გაუთამამდნენ: აღსანიშნავია გივი ქარქუზაშვილის ყუმბარისებული დარტყმა, მეკარემ ძლივს რომ მოიგერია და კრისის მეტოქის საჯარიმოში მორიგი უხეირო თამაში. თითქოს ამის ლოგიკური გაგრძელება იყოო ვალერი იობაშვილის გოლი, რომელმაც მასპინძლებს ფრთები შეასხა და ალაფრთოვანა. ტაიმის დასრულებამდე მათ კიდევ არაერთი ბურთის გატანის შანსი მიეცათ. დასამახსოვრებელია, **საბა ლომიას** ჩაწოდება, რომელსაც "მერანის" ლეგიონერი კრისი კი გამოეხმაურა, თუმცა დარტყმა ოდნავ არაზუსტი გამოუვიდა.

შესვენების შემდეგ, მოედანზე მდგომარეობა რადიკალურად არ შეცვლილა, კვლავ გარდამავალი უპირატესობა და ნაკლები საგოლე მომენტი. თუმცა, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ "მერანის" თითოეული ფეხბურთელი ბევრს დარბოდა, ცდილობდა მაქსიმუმი დაედო, რათა გუნდის გამარჯვებაში საკუთარი წვლილი შეეტანა. მატჩის განახლებისთანავე გუნდებმა მომენტები გაცვალეს: ჯერ **ღონღაძემ** გაისროლა შორი მანძილიდან, შემდეგ კი **ფიფიამ**.

ამის შემდეგ, თამაში ძირითადად მოედნის ცენტრის სიახლოვეს მომდინარეობდა, რუსთაველები მარცხს არ ეგუებოდნენ. **გიორგი ყიფიანმა** შეხვედრის გადასარჩენად ცვლილებებს მიმართა, შედარებით ინერტული **ქავთარაძის, სუხიაშვილისა** და დობროვოლსკის ნაცვლად: **საჯაია, გენაძე** და **ხაბელაშვილი** გამოიყვანა. ვერ ვიტყვით ამ ფეხბურთელებმა ციდან ვარსკვლავები მოკრიფესო, თუმცა თამაში მაინც გაამწვავეს. ძირითადად მათი უპირატესობა ბურთზე კონტროლსა და დიდოსტატურ გადაცემებს ეფუძნებოდა, მაგარამ ამის იქით ისინი ვერ მიდიოდნენ, რაც რასაკვირველია, მერანელთა მცველების დამსახურებაა. და მაინც, ანგარიშის გათანაბრების შანსი ქარს გაატანეს იმავე ფიფიამ და შეცვლაზე შემოსულმა გენაძემ.

მატჩს უექსცესოდ არ ჩაუვლია, პირველი გაუგებრობა 88-ე წუთზე მოხდა, როდესაც **მამუკა ტორონჯაძის** წინააღმდეგ **ლუკა რაზმაძემ** დაარღვია თამაშის წესები, ამ უკანასკნელმა მეტოქის ფეხბურთელს ფეხი სახეში მოარტყა. მთავარმა არბიტრმა **თემურ ხუჭუამ** თამაში უმალვე გააჩერა, ჯარიმა დანიშნა და ხელი ბარათისკენ წაიღო, თუმცა უკანასკნელ წამს ალბათ გაახსენდა , რომ ეს რაზმაძისათვის მეორე ყვითელი ბარათი იქნებოდა და გადაწყვეტილება უმალვე შეცვალა, რუსთაველთა კაპიტნის გაძევებისაგან თავი შეიკავა. ბოლოსკენ უკვე "მეტალურგის" ფეხბურთელებმა და ხელმძღვანელობამ არ დამალეს უკმაყოფილება არბიტრის მისამართით, მათი აზრით, გავაშელიშვილის წაქცევისათვის ხუჭუას ჯარიმა უნდა დაენიშნა მოწინააღმდეგის საჯარიმოს სიახლოვეს დამატებული სამი წუთის ნაცვლად კი ორი წუთი ათამაშა. ვნებათაღელვა ადგილობრივი სამართალდამცავების ჩარევის შედეგად განიმუხტა.

"მერანმა" მონდომებისა და ბრძოლისუნარიანობის ხარჯზე დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა და კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ უმაღლეს ლიგაში ადგილს ნამდვილად იმსახურებს.

**ბესიკ გვაზავა**
მარტვილიდან

VII-XII ადგილები

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშვ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | მეტალურგი | 29 | 12 | 7 | 10 | 27 | 30 | 43 |
| 8 | მერანი | 29 | 9 | 3 | 17 | 28 | 48 | 30 |
| 9 | ვიტ ჯორჯია | 29 | 7 | 8 | 14 | 23 | 40 | 29 |
| 10 | სიონი | 29 | 7 | 7 | 15 | 26 | 47 | 28 |
| 11 | დინამო (ბთ) | 29 | 7 | 5 | 17 | 35 | 52 | 26 |
| 12 | კოლხეთი | 29 | 2 | 7 | 20 | 17 | 52 | 13 |

**XXX ტური**

**4 მაისი, შაბათი**

კოლხეთი–მერანი
მეტალურგი–ვიტ ჯორჯია
დინამო (ბთ)–სიონი

ფუტსალი. უეფას თასი

# პირველად ისტორიაში: ევროპული თასი აზიაში გაემგზავრა

**მატჩი მესამე ადგილისთვის.**

28 აპრილი, თბილისი. სპორტის სასახლე. 6000 მაყურებელი

**იბერია–ბარსელონა 1:4**

0:1 ლოსანო (2), 0:1 აიკარდო (7), 1:2 ფაბინიო (12), 1:3 აუგუშტო (21. ავტოგოლი), 1:4 ლოსანო (28).

**იბერია:** სელიო – რაფა, ავგუშტო, პერიჩი, ფაბინიო – აკოპოვი (მ), ლუსიო, ძაბირაძე, ფუსტე, ალთუნაშვილი (კ), მარსელო, კუმანო.

*მთავარი მწვრთნელი:* ალექსანდრე სარქისიანი

ბარსელონა: სედანო, გაბრიელი, იგორი, ლოსანო, ვილდე –კრისტიანი (მ), აიკარდო, ფერნანდაო, ტორასი, ლინი, ტოლრა, საადი.

*მთავარი მწვრთნელი:* მარკ კარმონა

გაფრთხილებები: ფაბინიო (23), გაბრიელი (24), მარსელო (33).

არბიტრი: ო. ჩერნი (ჩეხეთი)

"იბერიასთვის" უეფას თასზე საიუბილეო 50-ე მატჩი უიღბლო გამოდგა - საქართველოს ჩემპიონმა ფინალში თამაშის უფლება მოსკოვის "დინამოს" დაუთმო, გუშინ კი ქართველი მაყურებლის თვალში რეაბილიტაციას შეეცადა.

თავის მხრივ, არანაკლები მოტივაცია ჰქონდა "ბარსელონას", რომელმაც წინა გათამაშებიდან მოყოლებული 11-მატჩიანი მოგებების სერია ალმატის "ყაირატთან" შეწყვიტა. აღსანიშნავია, რომ ბოლო 12 წელიწადში მხოლოდ მესამე შემთხვევა იყო, როდესაც ესპანეთის წარმომადგენელი ფინალში ვერ გავიდა.

სამწუხაროდ, საქართველოს ჩემპიონმა ევროპის აწ უკვე ყოფილ საუკეთესო კლუბთანაც ვერაფერი გააწყო და 1:4 დამარცხდა. კლასში კატალონიელთა უპირატესობა იგრძნობოდა და მის წინააღმდეგ იბერიელები ვერაფერს გახდნენ.



**ფინალი.**

28 აპრილი. თბილისი. სპორტის სასახლე. 6000 მაყურებელი

**ყაირატი–დინამო (მოსკოვი) 4:3**

1:0 პოპოვი (11. ავტოგოლი), 1:1 სერგეევი (19), 2:1 ლეო სანტანა (23), 3:1 ფუმასა (29), 4:1 იგუიტა (33), 4:2 სირილო (35), 4:3 ტატუ (37).

**დინამო:** პოპოვი, რომულო, ფუკინი, ტატუ, პულა – გუსტავო (მ), კობზარი, ნანდო, სერგეევი, სირილო, დიეგინიო, სუჩილინი.

*მთავარი მწვრთნელი:* ფაუსტინო პერესი

ყაირატი: იგუიტა, ლეო სანტანა, ფუმასა, ლეო, ჟოანი – ხალიავინი (მ), ჟამანკულოვი, სულეიმანოვი, ელგარტი, ალეშანდრე, ეულერი, ბეტაო.

*მთავარი მწვრთნელი:* კაკაუ

პირველი არბიტრი: ფ. მასინი (იტალია)

გაფრთხილებები: ნანდო (39), ეულერი (39).

არბიტრი: ფ. მასინი (იტალია)

უეფას ფუტსალის თასის ფინალში ერთმანეთს ორი ღირსეული გუნდი დაუპირისპირდა, რომელთა მწვრთნელები, **ფაუსტინო პერესი** ("დინამო") და **კაკაუ** ("ყაირატი") მეგობრები არიან. რუსული კლუბი ფინალში მეხუთედ გავიდა და ესპანური "ინტერვიუს" რეკორდი გაიმეორა, ყაზახური კი – პირველად.

პერესი ორჯერ უკვე იყო გამარჯვებული გუნდის დამრიგებელი: ესპანურმა "კასტელანომ" 2001/02 და 2002/03 წლების სეზონში თასი მისი ხელმძღვანელობით ასწია. გასულ სეზონში კი ფინალში მოსკოვის "დინამო" გაიყვანა, რომელმაც "ბარსელონასთან" 1:3 წააგო.

კაკაუმ "ყაირატი" თებერვალში ჩაიბარა, მანამდე კი წლების განმავლობაში ამ გუნდის მოთამაშე გახლდათ. მანამდე კი ზემოთ ნახსენებ "კასტელანოში" გამოდიოდა.

სხვათა შორის, რამდენიმე წლის წინ, ყაზახური კლუბის ლიდერები **ჟოანი, ლეო სანტანა და ლეო** გუშინდელი მეტოქის ფორმით თამაშობდნენ. აქვე იმასაც გეტყვით, რომ ფუმასას მსგავსად, "ყაირატის" კიდევ ერთი ლიდერი ჟოანი 2007 წელს "იბერია სტარში" გამოდიოდა. ის მოსკოვის "დინამოდან" შარშან გაუშვეს და განსაკუთრებული მოტივაცია ამოძრავებდა.

ფინალში მოსკოვის "დინამოს" მეკარე **გუსტავო** დაუბრუნდა, რომელმაც ნახევარფინალი დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვა. მაგრამ **ალექსეი პოპოვი** "იბერიასთან" ჩინებული თამაშით გუნდს ფინალში გასვლაში დაეხმარა და პერესი მაინც მას ენდო – შეხვედრის მსვლელობამ გამოჩინა, რომ მოსკოველთა მთავარი მწვრთნელი არჩევანში შეცდა.

სწორედ პოპოვის ბრალი იყო ალმატელების პირველი ორი გოლი, რამაც "ყაირატს" ფრთები შეასხა, მოსკოველები აანერვიულა და საბოლოოდ, მიუტევებელი შეცდომები დააშვებინა.

პერესი მზად იყო იმისთვისაც, რომ "ყაირატი" მეკარე **იგუიტას** მეხუთე მოთამაშედ გამოიყენებდა, როგორც ეს "ბარსელონასთან" მოხდა. მისი ვარაუდი გამართლდა, კაკაუმ კვლავ აგრესიული ტაქტიკა ამჯობინა, ფაქტობრივად, "ყაირატის" მეკარე მუდამ შეტევაში ერთვებოდა, მაგრამ პერესმა მისი როლის წინააღმდეგ ეფექტური კონტრზომები ვერ მოიფიქრა: იგიტა კოლუმბიელი მოგვარესავით რისკიანად კი თამაშობდა, მაგრამ ამან გაამართლა და ყაზახთა გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანა – მან არა მხოლოდ ჩინებულად იმეკარევა, არამედ საკუთარი კარიდან "დინამოს" გაუტანა კიდეც. შეხვედრის ქცერა ნამდვილი სიამოვნება იყო. ალმატელთა გამარჯვებას არავინ ელოდა, მაგრამ კაკაუს გუნდმა დამსახურებულად ალმართა ფუტსალის უეფას თასი.

საორგანიზაციო კომიტეტი საზეიმო განწყობის შექმნისთვის საგანგებოდ ტყუილად არ ემზადებოდა – დაჯილდოების ცერემონიალიც ლამაზი გამოდგა, ევროპული თასი კი, პირველად უეფას ისტორიაში, აზიაში გაემგზავრა.

**მერაბ მამულაშვილი**



## საინტერესო ამბები

სპორტის სასახლეში უეფას ფუტსალის ოთხთა ფინალის მატჩებზე, ნახევარფინალურ შეხვედრებზე დასწრების რეკორდი დამყარდა - 7200 მაყურებელი.

27 აპრილი უეფას ფუტსალის თასის ოთხთა ფინალზე დასვენების დღე იყო. თუმცა, სპორტის სასახლეში დილიდან აქტიურობა შეიმჩნეოდა – გუნდებმა ივარჯიშეს, მწვრთნელებმა პრესკონფერენციები გამართეს, სპორტის სასახლემ კი ერთ სახალისო შეხვედრას უმასპინძლა. უეფას წარმომადგენლებმა, მონაწილე გუნდების მწვრთნელებმა, მსაჯებმა და ქართულმა მხარემ ბურთი ამხანაგურად გააგორეს – შედეგი სასტიკად გასაიდუმლოებულია.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის, **ზვიად სიჭინავას** თქმით, **მიშელ პლატინი** ფუტსალის ტურნირს მეორედ დაესწრო. მაგრამ უეფას პრეზიდენტმა "იბერიასა" და მოსკოვის "დინამოს" შეხვედრის პირველი ტაიმის მერე სპორტის სასახლე დატოვა.

თბილისში იმყოფებოდნენ ფუტსალში ევროპისა და მსოფლიოს ყველაზე ტიტულოვანი სპეციალისტები, **ვენაციო ლოპესი** და **ხავიერ ლოსანო.** ეს უკანასკნელი ახლა მსოფლიოში უძლიერეს ლიგად მიჩნეული ესპანური ფუტსალის ლიგის პრეზიდენტია, წლების წინათ კი კლასიკურ ფეხბურთში საქმიანობდა და მადრიდის "რეალის" სელექციონერიც გახლდათ.

**მერაბ მამულაშვილი**

# გაუფილტრავი ლუდი – ლუდის მოყვარულთა ფავორიტი

გაუფილტრავი ლუდი - ეს ყველა ლუდის მოყვარულისთვის იმდენად ნაცნობი და ჩვეულებრივი სიტყვათა შეთანხმებაა, რომ ძნელად თუ უფიქრდება ვინმე, რას ნიშნავს ეს ტერმინი ისტორიულ, მეცნიერულ და თუნდაც ტექნოლოგიურ კონტექსტში. ამ შემთხვევაში, როცა საქმე გაუფილტრავ ლუდს ეხება, ხშირია არასწორი აღქმა და წარმოდგენა ქართველებში, რისი მიზეზიც, ხშირად უბრალოდ ინფორმაციის არარსებობაა...

ლუდი წყურვილს მშვენიერებად აქცევს - გვეუბნება უძველესი გერმანული ანდაზა... და ეს მართალიცაა, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე გერმანული ტექნოლოგიებითა და გერმანული სიწმინდის ტრადიციით მოხარშულ ლუდს ეხება. მართალია, მეცნიერულად დამტკიცებულია და არაერთი ცნობილი ისტორიკოსისა და მკვლევრის ნაშრომიც ადასტურებს ამას, რომ ლუდის ხარშვა ჯერ კიდევ შუამდინარეთის ქალაქებსა და ძველ ეგვიპტეში იცოდნენ, ეს სასმელი მსოფლიო მასშტაბით პოპულარული სწორედ ევროპელი (გერმანელი, ბელგიელი, ჩეხი) მელუდეების მეცადინეობით გახდა.

დღეს მსოფლიოში, შუასაუკუნეების დროს შემუშავებული გერმანული სიწმინდის კანონის თანახმად, ლუდის ხარშვისთვის მხოლოდ ოთხი ინგრედიენტი - ალაო, სვია, საფუარი და წყალი - გამოიყენება. თუმცა, მიუხედავად ამისა, მისი დამზადების სპეციფიკისა და ხარშვის დროს გამოყენებული სხვადასხვა ტექნოლოგიიდან გამომდინარე, ლუდი ერთადერთი სასმელია, რომელიც ყველა სახის აღწერილობას ესადაგება, დაწყებული რბილიდან მაგრამდე, ღიადან მუქამდე, ფაქიზიდან უხეშამდე, მტკიცედან ჰაეროვნამდე, არაჩვეულებრივიდან ორდინალურამდე, ელეგანტურიდან მიწიერამდე, მსუბუქიდან ძლიერამდე...

გაუფილტრავი ლუდი, რომელსაც გერმანულ ენაში სპეციალური ტერმინით - Kellerbiers - აღნიშნავენ, რაც პირდაპირ თარგმანში სარდაფის ლუდს ნიშნავს, ჩვეულებრივი ლაგერის ტიპის ლუდია, რომელსაც არომატი სპეციალური სვიისგან აქვს მინიჭებული. ასეთი ლუდი სხვადასხვა სიძლიერისაა და როგორც წესი, მას ალკოჰოლის საშუალო გრადუსი აქვს 5.5-დან 6.5-მდე. უფრო ხშირად, გაუფილტრავ ლუდები მუქი ქარვისფერია, ამ ფერს მათ შედარებით მუქი ფერის ალაო (ე.წ. მიუნხენური ალაო) ანიჭებს, რომელსაც მოწითალო შეფერილობა გააჩნია.

ძველად, ორიგინალურ, ანუ ნამდვილ გაუფილტრავი ლუდს გაზიანობა დიდხანს არ მიჰყვებოდა, რადგან, ის სუფრაზე, როგორც წესი, თავლია მდგომარეობაში მოჰქონდათ, ძირითადად ხის კათხებში, როდესაც გაფუების პროცესი ჯერ კიდევ მიმდინარეობდა. ტრადიციული გაუფილტრავი ლუდი მუქი და მღვრიე შეფერილობით გამოირჩევა, რადგან დაუდუღებელი ექსტრაქტი ვერ იჭერს გაზს და ლუდში შემავალი ნივთიერებები ადვილად შედის რეაქციაში ჟანგბადთან და იჟანგება.



გაუფილტრავი ლუდი საუკეთესოა აპეტაიზერ სასმელებს შორის და მისი სადილის წინ მიღება ყველაზე მეტად არის რეკომენებული. დასავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნებში, სადაც ლუდის ხარშვის კულტურა მაღალ დონეზეა განვითარებულ, გაუფილტრავ ლუდს, როგორც წესი, მცირე ზომის ლუდხანებში ხარშავენ, სადაც ძირითადად თიხის ან ხის კათხებს იყენებენ, შუშისა და თუნუქის ნაცვლად.

გაუფილტრავი ლუდი საუკეთესოა მადის გამაძლიერებელ სასმელებს შორის და მისი სადილის წინ მიღება ყველაზე მეტად არის რეკომენდებული. დასავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნებში, სადაც ლუდის ხარშვის კულტურა მაღალ დონეზეა განვითარებულ, გაუფილტრავ ლუდს, როგორც წესი, მცირე ზომის ლუდხანებში ხარშავენ, სადაც ძირითადად თიხის ან ხის კათხებს იყენებენ, შუშისა და თუნუქის ნაცვლად. ®

ლეგიონის უქმეები

# ჰერტას კობიაშვილმა მოაგებინა, ილიჩევეცს ოქრიაშვილმა უშველა



თორნიკე ოქრიაშვილი

| ფეხბურთელი | ას. | კლუბი | მეტოქე | შედ. | შენიშ. | თ | გ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ჰოლანდია. ერედივიზიე. XXXII ტური** | | | | | | | |
| გურამ კაშია | 25 | ვიტესი | ვილემ II | შ 3:1 | 90 წთ, გაფ. | 32 | 2 |
| ვაკო ყაზაიშვილი | 20 | ვიტესი | ვილემ II | შ 3:1 | არ უთამ. | 4 | - |
| **რუსეთი. პრემიერლიგა. XXVI ტური** | | | | | | | |
| ჯანო ანანიძე | 20 | სპარტაკი მ. | ანჟი | შ 2:0 | სათად. | 12 | 2 |
| საბა კვერკველია | 21 | რუბინი | ცსკა | შ 2:0 | 90 წთ | 2 | - |
| ნუკრი რევიშვილი | 26 | კრასნოდარი | ალანია | ს | დღეს | 4 | - |
| გია გრიგალავა | 23 | ვოლგა | კრილიაKA | შ 1:1 | არ უთამ. | 19 | 1 |
| ალექს. ამისულაშვილი | 30 | კრილია | ვოლგა | ს 1:1 | 90 წთ | 6 | - |
| აკაკი ხუბუტია | 27 | მორდოვია | დინამო | ს 1:3 | 90 წთ, გაფ. | 7 | - |
| გიორგი ჭანტურია | 19 | ალანია | კრასნოდარი | შ | დღეს | 2 | - |
| მამუკა კობახიძე | 20 | ალანია | კრასნოდარი | შ | დღეს | - | - |
| **უკრაინა. პრემიერლიგა. XXVI ტური** | | | | | | | |
| ჯაბა კანკავა | 27 | დნიპრო | დინამო კ. | ს 0:2 | არ უთამ. | 13 | 1 |
| ალექსანდრე კობახიძე | 26 | დნიპრო | დინამო კ. | ს 0:2 | სათად. | 2 | - |
| დავით თარგამაძე | 23 | ილიჩევეცი | ჩერნომორეცი | ს 1:1 | 76-ე წთ-დან | 24 | 1 |
| თორნიკე ოქრიაშვილი | 21 | ილიჩევეცი | ჩერნომორეცი | ს 1:1 | 90 წთ გოლი | 23 | 4 |
| გიორგი ჯგერენაია | 19 | ილიჩევეცი | ჩერნომორეცი | ს 1:1 | არ უთამ. | - | - |
| ჯაბა ლიპარტია | 25 | ზარია | კარპატი | ს 0:2 | 64-ე წთ-დან | 24 | 1 |
| უჩა ლობჟანიძე | 26 | კრივბასი | მეტალურგი დ | შ 1:1 | მე-80 წთ-მდე20 | - | |
| მურთაზ დაუშვილი | 23 | კარპატი | ზარია | შ 2:0 | 90 წთ | 18 | - |
| ლევან ყენია | 22 | კარპატი | ზარია | შ 2:0 | არ უთამ. | 16 | 3 |
| **თურქეთი. სუპერლიგა. XXXI ტური** | | | | | | | |
| ზურაბ ხიზანიშვილი | 31 | კაისერი | ფენერბახჩე | ს 1:2 | 90 წთ | 26 | - |
| **პოლონეთი. ექსტრაკლასა. XXIV ტური** | | | | | | | |
| ვლადიმერ დვალიშვილი | 26 | ლეგია | პიასტი | ს 0:0 | 90 წთ გაფრ | 9 | 4 |
| ნიკა ძალამიძე | 21 | იაგელონია | ლეხი | შ | დღეს | 15 | 4 |
| **დანია. სუპერლიგა. XXIX ტური** | | | | | | | |
| მათე ვაწაძე | 24 | ორჰუსი | კოპენჰაგენი | ს 0:0 | ტრავმა | 14 | 3 |
| დავით დევდარიანი | 25 | ორჰუსი | კოპენჰაგენი | ს 0:0 | 69-ე წთ-მდე | 22 | 3 |
| დავით სხირტლაძე | 20 | ორჰუსი | კოპენჰაგენი | ს 0:0 | 90 წთ. გაფ | 16 | 1 |
| **ფინეთი. ვეიკაუსლიგა. III ტური** | | | | | | | |
| ირაკლი სირბილაძე | 30 | ინტერი | იარო | შ | დღეს | 1 | - |
| **გერმანია. II ბუნდესლიგა. XXXI ტური** | | | | | | | |
| ლევან კობიაშვილი | 35 | ჰერტა | ზტ. პაული | ს 3:2 | 90 წთ სგ პასი | 9 | - |
| ალექსანდრე იაშვილი | 35 | ბოხუმი | ზანდჰაუზენი | ს 1:0 | არ უთამ. | 25 | - |
| ნიკოლოზ გელაშვილი | 27 | ბოხუმი | ზანდჰაუზენი | ს 1:0 | არ უთამ. | 11 | 1 |
| **იტალია. სერია B. XXXIX ტური** | | | | | | | |
| ლევან მჭედლიძე | 23 | ემპოლი | ჩეზენა | შ 1:0 | სათად. | 13 | - |
| ირაკლი შეყილაძე | 20 | ემპოლი | ჩეზენა | შ 1:0 | არ უთამ. | 8 | - |
| **საფრანგეთი. ლიგა 2. XXXIV ტური** | | | | | | | |
| გიორგი მაკარიძე | 23 | ლე მანი | არლი | შ 0:0 | 90 წთ | 5 | - |
| **აზერბაიჯანი. პრემიერლიგა. XXVIII ტური** | | | | | | | |
| გიორგი ლომაია | 33 | ინტერი | ნეფთჩი | ს 0:2 | 90 წთ | 20 | - |
| რევაზ თევდორაძე | 25 | ინტერი | ნეფთჩი | ს 0:2 | არ უთამ. | 6 | - |
| ვალერი აბრამიძე | 33 | ინტერი | ნეფთჩი | ს 0:2 | სათად. | 13 | - |
| ილია კანდელაკი | 31 | ინტერი | ნეფთჩი | ს 0:2 | 90 წთ | 21 | - |
| ბაჩანა ცხადაძე | 25 | ინტერი | ნეფთჩი | ს 0:2 | 88-ე წთ-მდე | 24 | 7 |
| გიორგი ადამია | 32 | ინტერი | ნეფთჩი | ს 0:2 | არ უთამ. | 5 | 1 |
| გიორგი ფოფხაძე | 26 | ბაქო | სიმურგი | შ 2:1 | 90 წთ, გაფ. | 16 | - |
| ირაკლი ბერაია | 29 | თურანი | რავანი | ს 0:1 | სათად. | 17 | 1 |
| დავით ჯანელიძე | 23 | თურანი | ქიაფაზი | ს 1:0 | 90 წთ | 10 | - |
| ნიკოლოზ მაისურაძე | 23 | თურანი | ქიაფაზი | ს 1:0 | 85-ე წთ-მდე | 15 | - |
| **სამხრეთ აფრიკა. XXVII ტური** | | | | | | | |
| გიორგი ნერგაძე | 30 | მოროკა | მარიცბურგი | ს 1:0 | 90 წთ გოლი | 23 | 1 |

ბერლინის "ჰერტამ", რომელმაც უკვე გაინაღდა პირველი ბუნდესლიგის საგზური, გასულ ტურში **ლევან კობიაშვილის** საგოლე გადაცემით მოიგო. "ზანკტ პაულისთან" გასვლით შეხვედრაში დედაქალაქელებმა 3:2 გაიმარჯვეს. მატჩის ბოლო წუთზე კობის დახმარებით გამარჯვების გოლი **სანდრო ვაგნერმა** გაიტანა. კობიაშვილმა მარცხენა მცველის პოზიციაზე ითამაშა.

**თორნიკე ოქრიაშვილმა** "ილიჩევეცს" ქულა მოუტანა. ქართველმა ნახევარმცველმა ოდესის "ჩერნომორეცთან" გასვლითი მატჩის 79-ე წუთზე თერთმეტმეტრიანი გაიტანა, რომელიც, სხვათა შორის, თავადვე მოიპოვა.

ჰოლანდიის ერედივიზიეში მორიგი სამი ქულა მოიპოვა არნემის "ვიტესმა". **გურამ კაშიასა და ვაკო ყაზაიშვილის** გუნდი ჩემპიონატის დასრულებამდე ორი ტურით ადრე მეოთხე ადგილზეა, თუმცა ჯერ არ დაუკარგავს მეორე საფეხურისა და ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვების შანსი.

რუსეთის პრემიერლიგაში ქართველების უმრავლესობა ვერაფრით გამოირჩევა, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, მათ თამაშის საშუალება არ ეძლევათ. თუმცა არის რამდენიმე სასიამოვნო გამონაკლისი, რომელთა რიცხვსაც **საბა კვერკველია** შეემატა. ახალგაზრდა ქართველი მცველი ზედიზედ მეორე ტურია, შეუცვლელად თამაშობს ყაზანის "რუბინის" ძირითად შემადგენლობაში.

აუცილებლად უნდა გავუსვათ ხაზი **გიორგი მაკარიძის** ბოლოდროინდელ ამბებსაც. მართალია, მისი "ლე მანი" მეტად არასახარბიელოდ ასპარეზობს, სამაგიეროდ, ქართველმა მეკარემ მყარად დაიბრუნა ადგილი ფრანგული კლუბის სასტარტო შემადგენლობაში.

აზერბაიჯანის პრემიერლიგაში **კახა ცხადაძის** "ინტერმა" ქვეყნის მოქმედ ჩემპიონ "ნეფთჩისთან" უპრინციპულესი მატჩი დათმო და არა მხოლოდ ჩემპიონობის შანსი გაუშვა ხელიდან, არამედ მეორე ადგილიც სათუო გაიხადა – "ინტერი" "ნეფთჩის" 7, ხოლო "ყარაბახს" 4 ქულით ჩამორჩება.

**ლევან ჯანეზაშვილი**



გურამ კაშიას და მის „ვიტესს" ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვების შანსი ისევ აქვს

საფრანგეთი. ლიგა 1. XXXIV ტური



ლილმა სამბურთიანი უპირატესობა ვერ შეინარჩუნა

# სოშოს მცირე სასწაული

**ლილი–სოშო 3:3**

**გოლები:** 1:0 კალუ (26), 2:0 კალუ (45), 3:0 ბაშა (48), 3:1 კანტე (73), 3:2 ნოგეირა (84), 3:3 ნოგეირა (87).

**ლორიანი–მარსელი 0:1**

**გოლი:** 0:1 ვალბუენა (25).

**გაძევება:** ოდარი (90. ლორიანი), ა. აიუ (90. მარსელი).

**აიაჩო–მონპელიე 2:1**

**გოლები:** 0:1 მუნიე (56), 1:1 დელორტი (82-პენ), 2:1 ოლიეჩი (90).

**გაძევება:** ფ. დიავარა (47. აიაჩო), ელ კაუტარი (81. მონპელიე).

**ბრესტი–რენი 0:2**

**გოლები:** 0:1 დუკურე (28), 0:2 მონტანიო (37).

**ლიონი–სტ. ეტიენი 1:1**

**გოლები:** 0:1 ზუმა (29), 1:1 გურკუფი (54).

**ნიცა–ტრუა 3:1**

**გოლები:** 0:1 იატარა (21), 1:1 სიველი (34), 2:1 ცვიტანიჩი (45), 3:1 ბრუინსი (77).

**ევიანი–პსჟ 0:1**

**გოლი:** 0:1 პასტორე (50)

**გაძევება:** ვერატი (81. პსჟ), ბექჰემი (90.პსჟ), ხელიფა (90. ევიანი)

**ბორდო-რეიმსი 0:0**
**ბასტია-ტულუზი 0:0**
**ვალანსიენი-ნანსი 0:0**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პსჟ | 34 | 22 | 7 | 5 | 61-20 | 73 |
| 2. მარსელი | 34 | 19 | 7 | 8 | 38-32 | 64 |
| 3. ლიონი | 34 | 17 | 9 | 8 | 55-36 | 60 |
| 4. სტ. ეტიენი | 34 | 15 | 13 | 6 | 56-28 | 58 |
| 5. ლილი | 34 | 15 | 12 | 7 | 53-35 | 57 |
| 6. ნიცა | 34 | 16 | 9 | 9 | 51-41 | 57 |
| 7. ლორიანი | 34 | 13 | 11 | 10 | 53-52 | 50 |
| 8. მონპელიე | 34 | 14 | 6 | 14 | 51-45 | 48 |
| 9. ბორდო | 34 | 11 | 15 | 8 | 35-30 | 48 |
| 10. რენი | 34 | 13 | 6 | 15 | 46-49 | 45 |
| 11. ტულუზი | 34 | 10 | 12 | 12 | 40-42 | 42 |
| 12. ვალანსიენი | 34 | 10 | 11 | 13 | 42-48 | 41 |
| 13. ბასტია | 34 | 11 | 7 | 16 | 44-62 | 40 |
| 14. რეიმსი | 34 | 9 | 11 | 14 | 31-38 | 38 |
| 15. აიაჩო | 34 | 9 | 13 | 12 | 37-46 | 38 |
| 16. ნანსი | 34 | 8 | 11 | 15 | 33-49 | 35 |
| 17. ევიანი | 34 | 8 | 10 | 16 | 39-50 | 34 |
| 18. სოშო | 34 | 8 | 10 | 16 | 37-55 | 34 |
| 19. ბრესტი | 34 | 8 | 5 | 21 | 29-53 | 29 |
| 20. ტრუა | 34 | 5 | 13 | 16 | 39-59 | 28 |

შენიშვნა: "აიაჩოს" – 2 ქულა

**ბომბარდირები:** 27 – იბრაჰიმოვიჩი (პარი სენ ჟერმენი); 19 – ობამეიანი (სენტ ეტიენი); 15 – ალიადიერი (ლორიანი), ცვიტანიჩი (ნიცა); 14 – გომისი (ლიონი).

ლიგა 1-ის 34-ე ტური პარასკევს დაიწყო. ერთი შეხედვით ჩვეულებრივი შეხვედრა, საბოლოოდ სეზონის ერთ-ერთ საუკეთესო მატჩად იქცა. თავიდან ყველაფერი გეგმის მიხედვით მიდიოდა და ფავორიტი "ლილი" პირველი ტაიმის შემდეგ ორბურთიანი სხვაობით იგებდა – დუბლი **სალომონ კალუმ** შეასრულა. მეორე ტაიმის დებიუტში თავი **მარკო ბაშამაც** გამოიჩინა და ანგარიში გამანადგურებელი გახადა. "ლილს", ამ ტურამდე ჩატარებულ უკანასკნელ 10 შეხვედრაში 8 მოგება, 1 ფრე და 1 მარცხი ჰქონდა განცდილი და მე-9 გამარჯვებაც თითქოს უკვე ჯიბეში ჰქონდა...

3:0-ზე სტუმართა ყველაზე ოპტიმისტი გულშემატკივარიც კი ვერ ივარაუდებდა იმას, რაც შეხვედრის ბოლო 17 წუთში მოხდა. 73-ე წუთზე 33 წლის **სედრიკ კანტემ ვინსენტ ნოგეირას** პასი მიიღო და სეზონში თავისი პირველი გოლი გაიტანა. 83-ე და 87-ე წუთებზე, ნოგეირამ დუბლი შეასრულა და არა მარტო ამ მატჩის, ტურის გმირიც გახდა.

მართალია, "სოშომ" გასავარდნი ზონა ვერ დატოვა, მაგრამ დაუგეგმავი ქულა რომ მოიპოვა ესეც ფაქტია და ვინ იცის, ეს ერთი ქულა, სეზონის ბოლოს რამხელა მნიშვნელობას შეიძენს. იგივე შეგვიძლია ვთქვათ "ლილზე", რომელმაც ძალიან მნიშვნელოვანი ორი ქულა დაკარგა.

ტურის ცენტრალური მატჩი კი "სტად ჟერლანზე" გაიმართა. მოსისხლე მტრებმა, "ლიონმა" და "სენტ ეტიენმა" ქულები გაიყვეს. "ლილის", "ლიონის" და "სენტ ეტიენის" ფრეებით "ნიცამ" და "მარსელმა" ისარგებლეს. ორივე ზღვისპირულმა გუნდმა მოიგო – "მარსელმა" უახლოეს მდევარს 4 ქულით გაასწრო, "ნიცა" კი ქულებით "მწვანეებს" წამოეწია.

**ჰოლანდია**

**ერედივიზიე. XXXII ტური**

**ჰერენვენი-ალკმაარი 0:4**

**გოლები:** 0:1 ალტიდორი (29), 0:2 ბეერენსი (32), 0:3 გუდმუნდსონი (62), 0:4 ალტიდორი (65).

**პსვ-გრონინგენი 5:2**

**გოლები:** 1:0 მატავუი (4), 2:0 მერტენსი (6-პენ), 3:0 ლენსი (13), 4:0 ვან ბომელი (41), 5:0 ლენსი (45), 5:1 დე ლეუვი (56), 5:2 დე ლეუვი (75).

**დენ ჰააგი-ვენლო 1:1**

**გოლები:** 0:1 ნვოფორი (14), 1:1 ვან დუინენი (84).

**როდა-ვაალვაიკი 3:1**

**გოლები:** 1:0 ზოეტი (50-საკ. კარში), 2:0 მალკი (64), 3:0 გაი რამოსი (70-საკ. კარში), 3:1 ბუხარი (89).

**ბრედა-აიაქსი 0:2**

**გოლები:** 0:1 სიგტორსონი (47), 0:2 გილისენი (52-საკ. კარში).

**ტვენტე-ნაიმეგენი 5:2**

**გოლები:** 1:0 დუგლასი (3), 2:0 კასტაინოსი (22), 3:0 ჩადლი (47), 3:1 ვან დერ ველდენი (50), 4:1 ბენგტსონი (59), 4:2 ფალკენბურგი (90), 5:2 ფ. გუტიერესი (90).

**ფეიენოორდი-ჰერაკლესი 6:0**

**გოლები:** 1:0 გოოსენსი (19), 2:0 პელე (30), 3:0 იმერსი (33), 4:0 პელე (45-პენ), 5:0 შაკენი (55), 6:0 გოოსენსი (68).

**გაძევება:** პასვეერი (44. ჰერაკლესი).

**ზვოლე-უტრეხტი 1:2**

**გოლები:** 0:1 ასარე (2), 1:1 ბროერსი (18), 1:2 პაპოტი (55).

**ვიტესი-ვილემ II 3:1**

**გოლები:** 1:0 ჰავენაარი (9), 2:0 ბონი (25), 3:0 ვან გინკელი (46), 3:1 სნეიდერსი (78).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. აიაქსი | 32 | 20 | 10 | 2 | 76-31 | 70 |
| 2. პსვ | 32 | 21 | 3 | 8 | 98-38 | 66 |
| 3. ფეიენოორდი | 32 | 20 | 6 | 6 | 63-36 | 66 |
| 4. ვიტესი | 32 | 19 | 7 | 6 | 66-38 | 64 |
| 5. ტვენტე | 32 | 16 | 10 | 6 | 56-31 | 58 |
| 6. უტრეხტი | 32 | 17 | 6 | 9 | 48-39 | 57 |
| 7. ჰერენვენი | 32 | 11 | 9 | 12 | 48-58 | 42 |
| 8. გრონინგენი | 32 | 12 | 6 | 14 | 36-51 | 42 |
| 9. ჰერაკლესი | 32 | 9 | 10 | 13 | 57-67 | 37 |
| 10. დენ ჰააგი | 32 | 8 | 13 | 11 | 45-59 | 37 |
| 11. ნაიმეგენი | 32 | 10 | 7 | 15 | 41-60 | 37 |
| 12. ალკმაარი | 32 | 9 | 9 | 14 | 52-52 | 36 |
| 13. ზვოლე | 32 | 9 | 9 | 14 | 38-49 | 36 |
| 14. ბრედა | 32 | 9 | 8 | 15 | 35-52 | 35 |
| 15. ვაალვაიკი | 32 | 7 | 10 | 15 | 34-45 | 31 |
| 16. როდა | 32 | 6 | 12 | 14 | 47-64 | 30 |
| 17. ვენლო | 32 | 5 | 9 | 18 | 32-62 | 24 |
| 18. ვილემ II | 32 | 4 | 8 | 20 | 31-71 | 20 |

**ბომბარდირები:** 31 – ბონი (ვიტესი); 26 – პელე (ფეიენოორდი); 24 – ფინბოგასონი (ჰერენვენი); 23 – ალტიდორი (ალკმაარი); 17 – მალკი (როდა); 15 – მერტენსი (პსვ ეინდჰოვენი)

**ტატო ბაციკაძე**

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი. XXXIII ტური

# ატლეტიკომ რეალს ისევ ვერ მოუგო

მადრიდის "ატლეტიკომ" თანაქალაქელს ბოლოს 1999 წელს, "სანტიაგო ბერნაბეუზე" მოუგო. იქიდან მოყოლებული, ლა ლიგაში 24 დერბი გაიმართა, რომელთაგანაც 18 "რეალმა" მოიგო, 6 მატჩი კი ფრედ დასრულდა. თითქოს, "როხიბლანკოს" ეს უიღბლო სერია რიგით 25-ე შეხვედრაში უნდა დასრულებულიყო, რადგან "სამეფო კლუბი" დორტმუნდის "ბორუსიასთან" გასამართ შეხვედრაზე ფიქრობდა და "ატლეტიკოსთვის" ნაკლებად ეცალა.

"ვისენტე კალდერონზე" შეკრებილი პუბლიკის გასახარად, მასპინძლები უკვე მე-4 წუთზე დაწინაურდნენ – გოლი, რა თქმა უნდა, **რადამელ ფალკაომ** გაიტანა. სხვათა შორის, **დიეგო ლოპესი** კოლუმბიელის საყვარელი ოპონენტია: ფალკაომ "რეალის" მეკარეს მე-5 შეხვედრაში მე-9 გოლი გაუტანა! 5-ჯერ ლოპესის კარი ფორვარდმა "პორტუში" თამაშოს დროს აიღო, როდესაც "პორტუ" ევროპა ლიგის 1/2-ფინალში "ვილიარეალს" შეხვდა. კიდევ სამი გოლი ფალკაომ დიეგოს "ატლეტიკოს" ფორმით გაუტანა, აქედან ბოლო ბურთი კიპერისთვის ყველაზე სამწუხარო იყო, რადგან იმ გოლის გაშვების წყალობით, "ყვითელმა წყალქვეშა ნავმა" მადრიდულ გუნდთან 0:1 წააგო და პრიმერა დივიზიონიდან გავარდა.

მიუხედავად მასპინძლების დაწინაურებისა, შერეული შემადგენლობით მოთამაშე "სამეფო კლუბს" ყურები არ ჩამოუყრია და ძალიან მალე ანგარიშიც გათანაბრდა – **ხუანფრანმა** საკუთარი კარი დალაშქრა. ამის შემდეგ, უპირატესობას **დიეგო სიმეონეს** გუნდი ფლობდა, მაგრამ მასპინძლები საგოლე მომენტებს ანიავებდნენ, რის გამოც 63-ე წუთზე დაისაჯნენ კიდეც – **ანხელ დი მარიამ** სტუმრები წინ გაიყვანა. ეს გოლი ამ შეხვედრაში უკანასკნელი გამოდგა. "ატლეტიკომ" ისევ ვერ შეძლო "რეალის" დამარცხება, **ჟოზე მოურინიოს** კრებულმა კი "ბორუსიასთან" უმნიშვნელოვანესი მატჩის წინ საკმაოდ კარგი განწყობა შეიქმნა.

## მესის მორიგი შედევრი

მორიგი ულამაზესი გოლი გაიტანა **ლიონელ მესიმ**. არგენტინელმა ბურთი მეტოქის საჯარიმოსთან მიიღო, ცრუმოძრაობების კასკადით რამდენიმე მეტოქე ჩამოიტოვა და შორეულ კუთხეში გაიტანა. "ლა პულგასთვის" ეს ამ სეზონის ლა ლიგაში 44-ე გოლი იყო. გარდა ამისა, მესიმ **კრიშტიანო რონალდოს** რეკორდი დაამხო და გასვლით შეხვედრებში 24-ე ბურთი გაიტანა. ამ გოლიდან ორ წუთში, მესიმ საგოლე პასი შეასრულა და **ალექსის სანჩესს** გაატანინა.

მესი მოედანზე 59-ე წუთზე გამოვიდა, იქამდე კი შეხვედრას "ატლეტიკი" იგებდა. ბასკებმა ანგარიში მე-14 წუთზე გახსნეს – თავი **მარკელ სუსაეტამ** გამოიჩინა, ვინც **არიც ადურისის** საგოლე გადაცემით ისარგებლა. კატალონიელები ცდილობნენ, მაგრამ ლიდერის გარეშე ბევრი არაფერი გამოსდიოდათ. მეორე ტაიმში თამაშში მესი ჩაერთო და თუ რა მოჰყვა ამას, ამაზე უკვე ვისაუბრეთ. თითქოს სამი ქულა ჯიბეში ჰქონდათ, მაგრამ სტუმრებმა გამარჯვება ხელიდან ბოლო წუთებზე გაუშვეს – **ანდერ ერერამ** ანგარიში გაათანაბრა და "ბარსას" ესპანური ფეხბურთის კათედრალზე, "სან მამესზე" გაჩემპიონების საშუალება არ მისცა. როგორც მოგვიანებით გაირკვა, "ბარსას" გამარჯვების შემთხვევაშიც ვერ გაჩემპიონდებოდა, რადგან "რეალმა" თავისი მატჩი მოიგო, მაგრამ ბასკებს მადრიდელთა იმედად ყოფნა არ სურდათ.

მოგეხსენებათ, "ატლეტიკი" "სან მამესზე" ბოლო სეზონს ატარებს, შესაბამისად "ბარსელონამ" ამ ლეგენდარულ სტადიონზე უკანასკნელი შეხვედრა ჩაატარა და ბასკები ნამდვილად ვერ დაუშვებდნენ იმას, რომ ეს მატჩი წაეგოთ და ამასთან ერთად, ერთ-ერთ ყველაზე საძულველ მეტოქეს ჩემპიონობა მათ სტადიონზე გაენალდებინა.

მართალია, "ბარსელონამ" ვერ მოიგო, მაგრამ "ბაიერნთან" 0:4-ის შემდეგ, მესის კარგი თამაში და მისი ულამაზესი გოლი, გუნდის გულშემატკივრებს გაფუჭებულ ხასიათს ოდნავ მაინც გამოუკეთებდა.



ალბა მესის ულამაზეს გოლს ულოცავს

## ბრძოლა გადარჩენისთვის

გადარჩენისთვის მებრძოლი 6 გუნდიდან მხოლოდ ერთმა წააგო, სამმა მოიგო და ორმა ფრედ ითამაშა. ერთადერთი უიღბლო "მალიორკა" აღმოჩნდა, რომელიც ე.წ. "6-ქულიან" შეხვედრაში კონკურენტ "სარაგოსასთან" დამარცხდა. შეხვედრა ძალიან დაძაბული და სანახაობრივი გამოდგა. საბოლოოდ, 5-გოლიან "თრილერში" გამარჯვება მასპინძლებმა მოიპოვეს. გადამწყვეტი გოლი 88-ე წუთზე **რუბენ როჩინამ ანრი ბიენვენიუს** გადაცემით გაიტანა. აღსანიშნავია, რომ ორივე ეს ფეხბურთელი "სარაგოსაში" იანვარში გადავიდა, კონკრეტულად ამ შეხვედრაში კი ორივე ცვლილებაზე გამოვიდა. ამ მოგების წყალობით, არაგონელებმა კუნძულელებს ადგილი გაუცვალეს და მე-19 პოზიციაზე გადავიდნენ.

გასვლით შეხვედრებში იმარჯვეს "გრანადამ" და "სელტამ". გალისიელებმა **აუგუსტო ფერნანდესის** ერთადერთი გოლის წყალობით "ლევანტეს" მოუგეს, ანდალუსიელებმა კი კატალონიაში, "ბარსელონას" ყოფილი ფეხბურთელის გოლის წყალობით იმარჯვეს – "ესპანიოლის" კარი **ნოლიტომ** დალაშქრა და **ხავიერ აგირეს** გუნდს 5-მატჩიანი წაუგებელი სერია შეუწყვიტა. ამ გამარჯვებების წყალობით, "გრანადამ" და "სელტამ" სატურნირო ცხრილში "დეპორტივოს" გადაასწრეს და ლა კორუნიული კლუბი გასავარდნ ზონაში ჩაუშვეს.

## სოსიედადმა უმნიშვნელოვანესი მატჩი მოიგო

ამ ტურის ყველაზე მნიშვნელოვანი და გამორჩეული მატჩი "ანოეტაზე" გაიმართა. "რეალ სოსიედადი" და "ვალენსია" მეოთხე ადგილისთვის იბრძვიან და მათი ურთიერთშეხვედრა ე.წ. "6-ქულიანთა" კატეგორიიდან იყო. ორივე გუნდს ხანგრძლივი წაუგებელი სერია ჰქონდა: "ვალენსიას" უკანასკნელი 5 მატჩი არ წაეგო, "სოსიედადი" კი ბოლო 14 შეხვედრაში არ დამარცხებულა (8 მოგება, 6 ფრე).

ამ გუნდების პირველი წრის დაპირისპირება "ვალენსიას" განადგურებით დასრულდა (2:5) და ბუნებრივია, რომ "ღამურები" რევანშზე ფიქრობდნენ, თუმცა ვენდეტა არ შედგა. მატჩი სტუმრებისთვის კარგად დაიწყო და 25-ე წუთზე "ღამურები" **რობერტო სოლდადომ** დააწინაურა, თუმცა ბასკებმა წონასწორობა 10 წუთში აღადგინეს – **ინიგო მარტინესმა** სეზონში თავისი მეოთხე გოლი გაიტანა.

მეორე ნახევარში, განსაკუთრებით ბოლო წუთებზე, შესანიშნავი სანახაობის მომსწრენი გავხდით – 73-ე წუთიდან მოყოლებული გუნდებმა 4 გოლი გაიტანეს. სტუმრებისთვის სამწუხაროდ, ამ ოთხი გოლიდან სამი მათ კარში გავიდა. საბოლოოდ, "სოსიედადმა" 4:2 მოიგო და ჩემპიონთა ლიგისკენ ძალიან დიდი ნაბიჯი გადადგა.

გვერდი მოამზადა
**ტატო ბაციკაძემ**

### პორტუგალია

XXVII ტური

| | |
|---|---|
| ესტორილი-ბრაგა | 2:1 |
| პორტუ-სეტუბალი | 2:0 |
| ჟილ ვისენტე-ოლანენსე | 2:0 |
| რიუ ავე-ბეირა მარი | 2:1 |
| გიმარაეში-ფერეირა | 2:2 |
| სპორტინგი-ნასიონალი | 2:1 |
| აკადემიკა-მორეირენსე | 1:0 |
| მარიტიმუ-ბენფიკა | დღეს |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბენფიკა | 26 | 22 | 4 | 0 | 70-15 | 70 |
| 2. პორტუ | 27 | 21 | 6 | 0 | 63-12 | 69 |
| 3. ფერეირა | 27 | 13 | 11 | 3 | 40-26 | 50 |
| 4. ბრაგა | 27 | 14 | 4 | 9 | 55-39 | 46 |
| 5. ესტორილი | 27 | 11 | 5 | 11 | 41-34 | 38 |
| 6. გიმარაეში | 27 | 10 | 7 | 10 | 33-44 | 37 |
| 7. სპორტინგი | 27 | 9 | 9 | 9 | 31-34 | 36 |
| 8. რიუ ავე | 27 | 10 | 6 | 11 | 32-40 | 36 |
| 9. ნასიონალი | 27 | 9 | 7 | 11 | 39-46 | 34 |
| 10. მარიტიმუ | 26 | 8 | 10 | 8 | 30-39 | 34 |
| 11. სეტუბალი | 27 | 7 | 5 | 15 | 29-51 | 26 |
| 12. ჟილ ვისენტე | 27 | 6 | 7 | 14 | 28-46 | 25 |
| 13. აკადემიკა | 27 | 5 | 9 | 13 | 30-42 | 24 |
| 14. ოლანენსე | 27 | 4 | 9 | 14 | 25-41 | 21 |
| 15. მორეირენსე | 27 | 4 | 9 | 14 | 25-44 | 21 |
| 16. ბეირა მარი | 27 | 4 | 8 | 15 | 29-47 | 20 |

### რაიო ვალეკანო-ოსასუნა 2:2

**გოლები:** 1:0 დელიბაშიჩი (7), 1:1 ლოე (8), 1:2 არიბასი (13), 2:2 პიტი (57)

**რაიო ვალეკანო (4-5-1):** რუბენი – არბილიო (80. რ. ტიტო), გალვესი (46. ადრიანი), ფიგერასი, კასადო – ფუეგო, ა. დომინგესი, ტრაშორასი, პიტი, ბანგურა (19. ხ. კარლოსი) - დელიბაშიჩი

**ოსასუნა(4-5-1):** ფერნანდესი – დამია (64. ლოლო), მიგელ ფლანიო, არიბასი, ნანო – ტიმორი (74. პუნიალი), ლოე, სილვა, სეხუდო, კუევასი (58. მასუდი) – ნინო

**გაფრთხილება:** დელიბაშიჩი – ტიმორი, ლოლო, მასუდი

**კარში დარტყმა:** 15-8 (9-2) **კუთხური:** 8-4 **თამაშგარე:** 2-1 **ჯარიმა:** 9-20 **ბურთის ფლობა:** 64%-36%

**მაყურებელი:** 8 216

### ლევანტე-სელტა 0:1

**გოლები:** 0:1 ა. ფერნანდესი (20)

**ლევანტე (4-2-3-1):** კ. ნავასი – პედრო ლოპესი, ვინტრა, დ. ნავარო, ხუანფრანი - იბორა, ბარკერო - ელ ჟარი, მიჩელი (46. როხერი), რ. გარსია (46. სიმაო) - აკვაფრესკა

**სელტა(4-2-3-1):** ხავი ვარასი – ხონი (72. კაბრალი), ხ. ვილა, ტუნიესი, ლაგო - ოუბინია, ინსა (63. მადინდა) – ა. ფერნანდესი, ა. ლოპესი (78. ბერმეხო), კრონ დელი - ასპასი

**გაფრთხილება:** დ. ნავარო, რიოსი – ხონი, ინსა, ლაგო

**კარში დარტყმა:** 7-9 (2-5) **კუთხური:** 10-3 **თამაშგარე:** 4-2 **ჯარიმა:** 16-12 **ბურთის ფლობა:** 48%-52%

**მაყურებელი:** 11 656

### ატლეტიკი-ბარსელონა 2:2

**გოლები:** 1:0 სუსაეტა (27), 1:1 მესი (68), 1:2 ა. სანჩესი (70), 2:2 ანდერ ერერა (80)

**ატლეტიკი(4-1-2-3):** ირაისოსი – ირაოლა, ეკიზა, სან ხოსე (70. რამალიო), აურტენეჩე (74. ი. გომესი) – გურპეგი – ანდერ ერერა, დე მარკოსი - მუნიაინი, სუსაეტა, ადურისი (74. ლორენტე)

**ბარსელონა(4-1-2-3):** ვალდესი – ალვეში, აბიდალი (46. ადრიანო), პიკე, ალბა – სონგი - ჩავი (59. მესი), ალკანტარა - ა. სანჩესი (78. ინიესტა), ფაბრეგასი, პედრო

**გაფრთხილება:** ერერა, გურპეგი – ფაბრეგასი, ადრიანო

**კარში დარტყმა:** 8-14 (3-7) **კუთხური:** 1-2 **თამაშგარე:** 4-3 **ჯარიმა:** 15-12 **ბურთის ფლობა:** 42%-58%

**მაყურებელი:** 40 100

### ატლეტიკო-რეალი 1:2

**გოლები:** 1:0 ფალკაო (4), 1:1 ხუანფრანი (14-ს.კ-ში), 1:2 დი მარია (63)

**ატლეტიკო(4-4-2):** კურტუა – ხუანფრანი, გოდინი, მირანდა, ფელიპე ლუიში – მ. სუარესი (74. კ. როდრიგესი), გაბი, რაულ გარსია (72. ადრიანი), კოკე – ფალკაო, დ. კოშტა

**რეალი(4-2-3-1):** დ. ლოპესი – ნაჩო, ალბიოლი, კარვალიო, ესიენი (70. ვარანი) – პეპე, ხედირა – დი მარია (77. მოდრიჩი), კაკა (67. ჩაბი ალონსო), მორატა - ბენზემა

**გაფრთხილება:** ფილიპე ლუიში, კოკე, რაულ გარსია, დიეგო კოშტა - ალბიოლი, ხედირა, პეპე, მორატა

**კარში დარტყმა:** 10-6 (4-4) **კუთხური:** 2-2 **თამაშგარე:** 6-1 **ჯარიმა:** 17-15 **ბურთის ფლობა:** 52%-48%

**მაყურებელი:** 54 000

### სარაგოსა-მალიორკა 3:2

**გოლები:** 0:1 ჰემედი (11), 1:1 მონტანიესი (29), 2:1 პოშტიგა (60), 2:2 არისმენდი (82), 3:2 როჩინა (88)

**სარაგოსა(4-2-3-1):** რობერტო – ხ. ფერნანდესი (46. პარედესი), საპუნარუ, ალვარო, აბრაამი – აპონიო, პინტერი – ვ. როდრიგესი (84. ბიენვენიუ), როდრი (53. როჩინა), მონტანიესი - პოშტიგა

**მალიორკა(4-3-2-1):** ავატი – ჰატონი, ჟერომელი, კონსეისაო (24. ნუნიეში), ა. ლოპესი – ხ. მარტი, ტისონე, პინა (74. ვიქტორ კასადესუსი) – ალფარო (61. არისმენდი), ჯოვანი დოს სანტოსი - ჰემედი

**გაფრთხილება:** ფერნანდესი, როდრი, აპონიო - მარტი, ტისონე

**კარში დარტყმა:** 13-12 (8-4) **კუთხური:** 7-4 **თამაშგარე:** 1-6 **ჯარიმა:** 16-27 **ბურთის ფლობა:** 53%-47%

**მაყურებელი:** 22 000

### ესპანიოლი-გრანადა 0:1

**გოლები:** 0:1 ნოლიტო (37)

**ესპანიოლი(4-2-3-1):** კასილია - ხ. ლოპესი, ფორლინი, მორენო, კაპდევილა – ბაენა, ვ. სანჩესი (57. მ. პეტროვი) – ვაკასო, ვერდუ, სტუანი – სერხიო გარსია

**გრანადა(4-2-3-1):** რობერტო – ნიომი, დიახატე, მაინსი, გ. სიკეირა – მიკელ რიკო, ირინეი – ტორიე (75. ორტისი), ბრაჰიმი (67. იგალო), ნოლიტო – ელ-არაბი (82. არანდა)

**გაფრთხილება:** კაპდევილა - რობერტო

**კარში დარტყმა:** 5-5 (2-4) **კუთხური:** 5-2**თამაშგარე:** 3-3 **ჯარიმა:** 18-17**ბურთის ფლობა:** 62%-38%

**მაყურებელი:** 23 800

### მალაგა-ხეტაფე 2:1

**გოლები:** 1:0 სანტა კრუსი (40), 2:0 ველიგტონი (47), 2:1 ხუან ვალერა (70).

**მალაგა(4-2-3-1):** კაბალიერო – ხესუს გამესი (36. ნაჩო კამაჩო), ს. სანჩესი, ველიგტონი, ელიზეუ – დემიკელისი, იტურა – პ. მორალესი (73. დუდა), ბაპტიშტა, ისკო – სანტა კრუსი (85. ხოაკინი)

**ხეტაფე(4-2-3-1):** კოდინა – ხ. ვალერა, ლოპო, რაფა, მანე – ხავი ტორესი (72. პაკო ალკასერი), ხ. როდრიგესი – პედრო ლეონი, ბარადა (64. სარაბია), დიეგო კასტრო – ალვარო (61. ლაფიტა)

**გაფრთხილება:** იტურა, სანტა კრუსი, ნაჩო კამაჩო – დიეგო კასტრო, ლოპო, სარაბია.

**კარში დარტყმა:** 13-11 (7-4) **კუთხური:** 3-8**თამაშგარე:** 3-4**ჯარიმა:** 13-10**ბურთის ფლობა:** 53%-47%

**მაყურებელი:** 27 000

### ვალიადოლიდი-სევილია 1:1

**გოლები:** 1:0 ხავი გერა (41), 1:1 ნეგრედო (62-პენ).

**ვალიადოლიდი(4-3-2-1):** ხაიმე – რუკავინა, ხესუს რუედა, ვალიენტე, ბალენსიაგა – ალვარო რუბიო, ვიქტორ პერესი, ოსკარი – ებერტი, დ. ლარსონი (66. ბუენო) – ხავი გერა

**სევილია(4-2-3-1):** პალოპი – კოკე, ფასიო, კალა (58. ა. მორენო), ფ. ნავარო – მადურო, ხავი ერვასი (64. პეროტი) – ხესუს ნავასი, რაკიტიჩი, რეიესი (89. პუერტო) - ნეგრედო

**გაფრთხილება:** ვალიენტე, ებერტი – კალა, ხავი ერვასი.

**კარში დარტყმა:** 12-14 (6-8) **კუთხური:** 2-9**თამაშგარე:** 2-3 **ჯარიმა:** 12-9**ბურთის ფლობა:** 47%-53%

**მაყურებელი:** 16 832

### სოსიედადი-ვალენსია 4:2

**გოლები:** 0:1 სოლდადო (25), 1:1 ი. მარტინესი (35), 2:1 გ. კასტრო (73), 3:1 აგირეჩე (87), 3:2 ჟონასი (90), 4:2 აგირეჩე (90)

**სოსიედადი(4-2-3-1):** ბრავო – კ. მარტინესი, ი. მარტინესი, მიკელი, დე ლა ბელა – ბერგარა, ილიარამენდი (88. რუბენ პარდო) – ველა, ჩაბი პრიეტო (89. ანსოტეგი), გ. კასტრო (77. ზურუტუზა) - აგირეჩე

**ვალენსია(4-3-2-1):** დიეგო ალვეში – ჟოაო პერეირა, რ. კოშტა, მატიო, სისოხო (80. ვალდესი) – ალბელდა (76. გუარდადო), ბანეგა, პარეხო – ფეგული (72. პიატი), ჟონასი – სოლდადო

**გაფრთხილება:** ი. მარტინესი, ბერგარა, ილიარამენდი– სისოხო, მატიო, ბანეგა, ალბელდა

**კარში დარტყმა:** 17-13 (5-7) **კუთხური:** 8-7 **თამაშგარე:** 1-1 **ჯარიმა:** 16-19 **ბურთის ფლობა:** 51%-49%

**მაყურებელი:** 26 000

29 აპრილი

| | |
|---|---|
| ბეტისი-დეპორტივო | 23:00 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 33 | 27 | 4 | 2 | 101-35 | 85 |
| 2. რეალი | 33 | 23 | 5 | 5 | 85-31 | 74 |
| 3. ატლეტიკო | 33 | 21 | 5 | 7 | 58-27 | 68 |
| 4. სოსიედადი | 33 | 16 | 10 | 7 | 61-41 | 58 |
| 5. ვალენსია | 33 | 15 | 8 | 10 | 54-50 | 53 |
| 6. მალაგა | 33 | 15 | 8 | 10 | 47-38 | 53 |
| 7. ბეტისი | 32 | 14 | 6 | 12 | 48-49 | 48 |
| 8. რაიო ვალეკანო | 33 | 14 | 4 | 15 | 43-54 | 46 |
| 9. ხეტაფე | 33 | 12 | 8 | 13 | 40-50 | 44 |
| 10. სევილია | 33 | 12 | 7 | 14 | 49-47 | 43 |
| 11. ესპანიოლი | 33 | 11 | 10 | 12 | 42-43 | 43 |
| 12. ვალიადოლიდი | 33 | 10 | 10 | 13 | 42-46 | 40 |
| 13. ლევანტე | 33 | 11 | 7 | 15 | 35-52 | 40 |
| 14. ბილბაო | 33 | 10 | 7 | 16 | 37-59 | 37 |
| 15. ოსასუნა | 33 | 8 | 9 | 16 | 28-38 | 33 |
| 16. გრანადა | 33 | 8 | 8 | 17 | 29-51 | 32 |
| 17. სელტა | 33 | 8 | 6 | 19 | 32-47 | 30 |
| 18. დეპორტივო | 32 | 7 | 9 | 16 | 43-64 | 30 |
| 19. სარაგოსა | 33 | 8 | 6 | 19 | 32-53 | 30 |
| 20. მალიორკა | 33 | 7 | 7 | 19 | 36-67 | 28 |

**ბომბარდირები:** 44 – **ლიონელ მესი** (ბარსელონა), 31 – **კრიშტიანო რონალდო** (რეალი), 26 - **რადამელ ფალკაო** (ატლეტიკო), 19 - **ალვარო ნეგრედო** (სევილია), 17 - **რობერტო სოლდადო** (ვალენსია)

მომდევნო ტური

**3 მაისი.** სელტა-ბილბაო;

**4 აპრილი.** ვალენსია-ოსასუნა, გრანადა-მალაგა, რეალი-ვალიადოლიდი, დეპორტივო-ატლეტიკო;

**5 მაისი.** მალიორკა-ლევანტე, სარაგოსა-რაიო ვალეკანო, სევილია-ესპანიოლი, ბარსელონა-ბეტისი;

**6 მაისი.** ხეტაფე-სოსიედადი.

### სეგუნდა დივიზიონი. XXXVI ტური

**მირანდესი-საბადელი 2:0**

**გოლები:** 1:0 მუხიკა (15), 2:0 რუპერ ლოპესი (42)

**რასინგი-ბარსელონა B 1:2**

**გოლები:** 1:0 ასულინი (10), 1:1 რაფაელ ალკანტარა (43), 1:2 ლობატო (88)

**ლუგო-ვილიარეალი 0:0**

**ალკორკონი-ხერესი 2:1**

**გოლები:** 1:0 ორიოლი (39), 1:1 მარკიტოსი (72), 2:1 დანი ნიეტო (90)

**კორდობა-ლას პალმასი 5:1**

**გოლები:** 1:0 გარაი (7), 2:0 ჩისკო (27), 2:1 ქრისანტუსი (56), 3:1 არმანდო (57), 4:1 ლოპეს სილვა (75), 5:1 ფედე (88)

**სპორტინგი-ერკულესი 0:1**

**გოლები:** 0:1 პალიალუნგა (81)

**უესკა-პონფერადინა 1:1**

**გოლები:** 1:0 ბორხა გონსალესი (43), 1:1 ველინგტონ სილვა (89)

**ელჩე-ხირონა 0:0**

**მურსია-ალმერია 1:0**

**გოლები:** 1:0 კრისტიან გარსია (44)

**რეკრეატივო-გვადალახარა 1:0**

**გოლები:** 1:0 არანა (68)

**ნუმანსია-რეალი B 3:3**

**გოლები:** 1:0 ხავიერ ბონილია (3), 1:1 ჩერიშევი (7), 1:2 მატეოსი (37), 2:2 ხ. ალვარესი (41), 3:2 პედრო მარტინი (65), 3:3 ფაბინიო (90)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ელჩე | 36 | 21 | 10 | 5 | 45-20 | 73 |
| 2. ალკორკონი | 36 | 20 | 5 | 11 | 49-41 | 65 |
| 3. ხირონა | 36 | 19 | 7 | 10 | 65-43 | 64 |
| 4. ვილიარეალი | 36 | 16 | 14 | 6 | 52-31 | 62 |
| 5. ალმერია | 36 | 17 | 8 | 11 | 58-43 | 59 |
| 6. ლას პალმასი | 36 | 16 | 10 | 10 | 56-50 | 58 |
| 7. პონფერადინა | 36 | 17 | 5 | 14 | 49-45 | 56 |
| 8. ბარსელონაB | 36 | 15 | 9 | 12 | 71-61 | 54 |
| 9. კორდობა | 36 | 14 | 8 | 14 | 48-44 | 50 |
| 10. ხიხონი | 36 | 13 | 10 | 13 | 51-45 | 49 |
| 11. რეალიB | 36 | 14 | 6 | 16 | 69-58 | 48 |
| 12. ლუგო | 36 | 13 | 9 | 14 | 35-42 | 48 |
| 13. რეკრეატივო | 36 | 14 | 6 | 16 | 44-53 | 48 |
| 14. ნუმანსია | 36 | 11 | 14 | 11 | 44-46 | 47 |
| 15. საბადელი | 36 | 13 | 8 | 15 | 51-59 | 47 |
| 16. გვადალახარა | 36 | 11 | 11 | 14 | 39-45 | 44 |
| 17. ერკულესი | 36 | 10 | 11 | 15 | 36-44 | 41 |
| 18. მირანდესი | 36 | 10 | 11 | 15 | 29-47 | 41 |
| 19. მურსია | 36 | 10 | 10 | 16 | 38-48 | 40 |
| 20. უესკა | 36 | 9 | 9 | 18 | 38-52 | 36 |
| 21. რასინგი | 36 | 9 | 8 | 19 | 29-47 | 35 |
| 22. ხერესი | 36 | 5 | 9 | 22 | 28-60 | 24 |

**ბომბარდირები:** 20 - **ჩარლზი** (ალმერია), **ხესე როდრიგესი** (რეალი B), 18 – **ხერარდ დეულოფეუ** (ბარსელონა B), 16 – **იური ფონსეკა** (პონფერადინა), **ორიოლ რიერა** (ალკორკონი)

ინგლისი. პრემიერლიგა. XXXV ტური

# ლონდონელთა ღირსეული დახვედრა

## ვან პერსი მექანიკურად არსენალის გასახდელს მიადგა



ვან პერსიმ არსენალთან ანგარიში პენალტით გაათანაბრა

ტური ექსჩემპიონმა გახსნა. მასპინძლებმა ლონდონელებთან თამაშში თავიდანვე ხელთ იგდეს უპირატესობა და რომ არა უიღბლობა და **იუსი იასკელაინენი,** ანგარიში პირველივე ტაიმში გამანადგურებელი გახდებოდა. პირველი მომენტი **კარლოს ტევესმა** შექმნა. ის საჯარიმოს გარედან ძლიერად ურტყამდა, მაგრამ ფინელი გოლკიპერი ბურთს ადგილზე დახვდა. შემდეგ **სერხიო აგუეროს** მართებდა გატანა, მაგრამ **კევინ ნოლანისგან** რიკოშეტის გამო ბურთს ფეხი უხერხულად მისცხო და შტანგას მოარტყა. 28-ე წუთზე "ჩაქუჩების" დაცვა კიდევ ერთხელ ჩავარდა. "სიტიმ" საჯარიმოში მოკლედ პასებით უმარტივესი კომბინაცია გაათამაშა, რომელიც ახლოდან აგუერომ დააგვირგვინა. "ვესტ ჰემმა" მეტოქეს პირველი ტაიმის მიწურულსა და მეორის საწყის წუთებზე საკუთარი შეტევებით უპასუხა. სტუმარს გათანაბრებაც შეეძლო, მაგრამ **მეტ ჯარვისმა პაბლო საბალეტას** გაარტყა ბურთი, დამატებაზე კი **ჯეიმს კოლინსმა** ვერ ივარგა. ამის შემდეგ მასპინძელმა თამაში დახურა და კონტრშეტევებზე ეძებდა საკუთარ შანსებს. 83-ე წუთზე **იაია ტურემ** საჯარიმოს გარედან იმდენად ძლიერად დაარტყა, რომ მეკარეს რეაქციაც კი არ ჰქონია. თამაშს წერტილი მსაჯის მიერ კომპენსირებულ დროში **ენდი კეროლმა** ახლო მანძილიდან ძლიერი დარტყმით დაუსვა.

### ზედიზედ მეოცედ

ტურის წინა მიმოხილვაში უკვე ვწერდით, რომ "ფულჰემისთვის" "გუდისონ პარკი" დაწყევლილი ადგილია (ზედიზედ მეოცედ დამარცხდა, ქულა კი უკანასკნელად 1959/60 წლების სეზონში მოიპოვა). ესეც რომ არა, **მარტინ იოლის** გუნდი საშინელ ფორმაშია, ჩემპიონატში ბოლო 5-დან 4 თამაში წააგო და თანაც ყველა მშრალი ანგარიშით. 1:0 შეიძლება ყურს არ ჭრის, მაგრამ მასპინძელს უფრო სოლიდური სხვაობით უნდა მოეგო. მომენტებს დრო და დრო სტუმრებიც ქმნიდნენ. მას მერეც კი, როდესაც **დიმიტარ ბერბატოვმა** ტრავმა მიიღო. **დევიდ მოიესმა** ამ გამარჯვებით მომდევნო სეზონში ევროპა ლიგაზე თამაში პრაქტიკულად გაინაღდა.

### უადგილო ოპტიმიზმი

**მაურისიო პოჩეტინიო** უქმეებამდე აცხადებდა, რომ მის შეგირდებს სამომავლოდ ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის შეეძლოთ ბრძოლა. "ვესტ ბრომვიჩთან" მატჩში გამოჩნდა, რამდენად ნაადრევი იყო არგენტინელის განცხადებები. „სენტ მერიზე" მიმდინარე სეზონში პირველად მოხდა, რომ წითელი ბარათი სამმა ფეხბურთელმა მიიღო. **რობერტ მედლიმ** (მე-2 თამაში პრემიერლიგაში) სამივე შემთხვევაში სწორი გადაწყვეტილება მიიღო: **გასტონ რამირესი შეინ ლონგისთვის** სახეში ხელის ჩარტყმისთვის, **მარკ ანდრე ფორჩუნი** იმავე ეპიზოდში რამირესისთვის ხელის კვრისთვის, **დენი ფოქსი** კი **სტივე რიდის** წინაალმდეგ გაშლილი ფეხებით ბრძოლის გამო.

### ნაბიჯი უკან

"უიგანი"-"ტოტენჰემი" შაბათის მატჩებიდან ყველაზე დიდ ყურადღებას იქცევდა. "ათლეტებს" ელიტაში ადგილის შენარჩუნება სწყურიათ, "დეზებს" ჩემპიონთა ლიგაში ფანჯრის გაჭრა. **ანდრე ვილაშ ბოაშს** ნამდვილად შეუძლია მსაჯის გარჯაზე აპელირება. **მარტინ ატკინსონმა** მასპინძელი გუნდი აშკარად დაინდო, როცა **ხორდი გომესს** პირდაპირ წითელი ბარათი არ უჩვენა. ესპანელმა **ლუის ჰოლტბის** მეორე ტაიმში კინალამ თავი წააცალა, როცა გაშლილი ფეხი პირდაპირ სახეში ჩასცხო. ნამდვილი სასწაულია, რომ გერმანელს არაფერი დაშავებია. უცნაური ამ შეხვედრაში კიდევ ბევრი რამე იყო. მაგალითად **მარტინ ფიგეროასა** და **ხოელ რობლესის** მოქმედებები პირველი გოლისას. მცველმა ბურთი რატომღაც მეკარეს დაუბრუნა, უკანასკნელმა კი უზარმაზარ სივრცეში ბურთი მაინცდამაინც **გარეთ ბეილის** გაშლილ ფეხს მოარტყა. უელსელმა კარიერაში ყველაზე კურიოზული ბურთი გაიტანა. თავი გამოიჩინა **ემერსონ ბოისმაც**, ვინც ჯერ **უგო ლორისს** გაუტანა (კუთხურის შემდეგ), ბოლოს კი საკუთარი კარი დალაშქრა. ამათ შორის ერთი გოლი საკუთარ ანგარიშზე **კალუმ მაკმანამანაც** ჩაიწერა.

### როჯერსის მეცხრე პარსკვლავი

უბრალოდ გვიკვირს (და არა მარტო ჩვენ), როგორ ახერხებს "ლივერპული" საკმაოდ ხშირად უფერულად თამაშს, როცა რეალურად ყველაზე ამბიციური მიზნებისთვის ბრძოლის პოტენციალი აქვს. **ბრენდან როჯერსის** გუნდმა მიმდინარე სეზონში მე-9 თამაში მოიგო 3 და მეტი ბურთის სხვაობით. "ნიუკასლთან" თამაშის შემდეგ "წითლების" თავდასხმას საუკეთესო შედეგი აქვს "მანჩესტერ იუნაიტედის" შემდეგ. ნახევრად ხუმრობით, მაგრამ კარგი იქნება, თუკი მერსისაიდელები ამდენ გოლს თანაბრად გადაანაწილებენ სხვა თამაშებზეც. 6:0-ის შემდეგ თამაშის დეტალებზე წერას არ ვაპირებთ. მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ **ლუის სუარესის** დისკვალიფიკაციის შემდეგ "ლივერპულმა" მთელი დანარჩენი პრემიერლიგის ჯავრი ბედშავ "კაჭკაჭებზე" იყარა. ურუგვაელი იდეალურად შეცვალა **დენიელ სტარიჯმა**, ვინც დუბლის გარდა საგოლე გადაცემაც მიითვალა. მიმდინარე სეზონში პირველი გოლი გაიტანა მრავალტანჯულმა **ფაბიო ბორინიმ**, ვინც მოედანს 100-დღიანი პაუზის შემდეგ დაუბრუნდა.

### ლამპარდი 201

„ჩელსი" 90 წუთის განმავლობაში ფლობდა ინიციატივას. „სუონსი" **პეტრ ჩეხის** კარს ბურთიანად იშვიათად თუ აღწევდა. განსაკუთრებით თვალში საცემი იყო „ჩელსის" უპირატესობა პირველ 45 წუთში. ტრავმირებული **რამირესის** ნაცვლად მოედანზე **ფრანკ ლამპარდი** 24-ე წუთზევე შევიდა. თამაშის ბედი სწორედ მან გადაწყვიტა. ჯერ იყო და **ოსკარს** საგოლე გადაცემა გადაანოდა, ტაიმის ბოლოს კი პენალტი გაიტანა, რაც მისთვის 201-ეა „ჩელსის" რიგებში. ვეტერანს 2 გოლი კიდევ სჭირდება, რათა ლონდონელთა ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირი გახდეს. თუმცა მას ამისთვის სულ რაღაც 3 თამაში აქვს დარჩენილი.

ტური „ემირიტსზე" დაიხურა. მასპინძელმა ჩემპიონ „იუნაიტედს" საკადრისი პატივი მიაგო და მოედანზე გასული „ეშმაკები" საპატიო დერეფანში გაატარა. თუმცა მოწიწება თამაშის დაწყებისთანავე გაქრა. „მეთოფეთა" პირველივე შეტევა შედეგიანად დამთავრდა. **ტომაშ როსიცკის** პასით თამაშგარეში მყოფი **თეო უოლკოტი (ფილ დაუდი** აშკარად შეცდა), მეკარესთან პირისპირ დარჩა და ანგარიში გახსნა. მთელი დარჩენილი შეხვედრა თამაშს „იუნაიტედი" აკონტროლებდა. რომ არა **ვოიცეხ შჩესნის** თავგანწირვა, სტუმრები ერთ გოლს ნამდვილად არ დასჯერდებოდნენ. „არსენალი" **ბაკარი სანიამ** დაღუპა. 30 წლის ფრანგმა ჯერ უმისამართო პასი გააკეთა, რომელიც ვან პერსის მიუვიდა, შემდეგ კი ჰოლანდიელს დაეწია და მაინცდამაინც საჯარიმოში მოცელა. პენალტი დაზარალებულმა გაიტანა და რასაკვირველია, არ უზეიმია.

BBჩ-ის ვებგვერდზე თამაშის დასრულებისთანავე გაჩნდა ვიდეო, სადაც ჩანს, რომ ვან პერსი „არსენალის" თანამშრომლებთან მისალმების შემდეგ ლონდონელთა გასახდელში აპირებდა შესვლას, მაგრამ შეცდომას იმ წამსვე მიხვდა.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

---

**სიტი-ვესტ ჰემი 2:1**

**გოლები:** 1:0 აგუერო (28), 2:0 ი. ტურე (83), 2:1 კეროლი (90)

**სიტი** (4-2-3-1): ჰარტი – საბალეტა, ლესკოტი, კომპანი, კლიში – ბარი, ი. ტურე – ნასრი (87. კ. ტურე), დ. სილვა (78. მილნერი), ტევესი (83. ხ. გარსია) - აგუერო

**ვესტ ჰემი** (4-1-4-1): იასკელაინენი – დემელი, კოლინსი, რიდი, ობრაიენი (81. კ. კოული) – ონილი – ნოლანი (80. მ. ტეილორი), დიამე, ვას ტე (66. კოლისონი), ჯარვისი - კეროლი

**გაფრთხილება:** საბალეტა – კეროლი, კოლისონი, ობრაიენი

**კარში დარტყმა:** 13-6 (8-3) **კუთხური:** 9-4 **თამაშგარე:** 3-2 **ჯარიმა:** 9-7 **ბურთის ფლობა:** 42%-58%

**მაყურებელი:** 47 189

**ევერტონი-ფულჰემი 1:0**

**გოლი:** 1:0 პიენაარი (16)

**ევერტონი** (4-4-2): ჰოვარდი – კოულმენი, იაგიელკა, დისტენი, ბეინსი – ფელაინი, ოსმანი, პიენაარი, მირალიაში – ანიჩებე, იელავიჩი (67. ბერკლი)

**ფულჰემი** (4-4-1-1): შვარცერი – მანოლევი, სენდეროსი, ჰანგელანდი, რიჩარდსონი (56. დაფი) – კარაგუნისი (78. როდალიეგა), ენო, ემანუელსონი, კაჩანიკლიჩი – რუისი – ბერბატოვი (30. პეტრიჩი)

**გაფრთხილება:** ოსმანი – ენო, ემანუელსონი, მანოლევი

**კარში დარტყმა:** 18-6 (8-4) **კუთხური:** 7-2 **თამაშგარე:** 4-4 **ჯარიმა:** 12-16 **ბურთის ფლობა:** 59%-41%

**მაყურებელი:** 34 563

**საუთჰემპ.-ვესტ ბრომვიჩი 0:3**

**გოლები:** 0:1 ფორჩუნი (6), 0:2 ლუკაკუ (67), 0:3 ლონგი (77)

**საუთჰემპტონი** (4-2-3-1): ბორუცი – კლაინი, იოშიდა, ჰოიველდი, ფოქსი – კორკი (46. რამირესი), შნაიდერლინი – ლალანა (69. მაუკა), ს. დევისი, როდრიგესი – ლამბერტი (86. ფონტე)

**ვესტ ბრომვიჩი** (4-2-3-1): ფოსტერი – რიდი, მაკაული, ოლსონი, რიჯუელი – იაკობი, დორანსი – მორისონი (79. ბ. ჯონსი), ფორჩუნი, ლონგი (88. როსენბერგი) – ლუკაკუ (85. ტომასი)

**გაფრთხილება:** ჰოიველდი, ფოქსი – იაკობი, რიჯუელი

**გაძევება:** რამირესი (71), ფოქსი (81) – ფორჩუნი (71)

**კარში დარტყმა:** 10-7 (5-4) **კუთხური:** 3-3 **თამაშგარე:** 3-3 **ჯარიმა:** 18-11 **ბურთის ფლობა:** 52%-48%

**მაყურებელი:** 31 946

**სტოკ სიტი-ნორვიჩი 1:0**

**გოლი:** 1:0 ადამი (46)

**სტოკ სიტი** (4-5-1): ბეგოვიჩი – შოტონი, შოუკროსი, ჰუთი, უილკინსონი (62. კემერონი) – ადამი, უელანი (65. უაიტჰედი), ნზონზი, ჯერომი (79. ეთერინგტონი), უოლტერსი - კრაუჩი

**ნორვიჩი** (4-4-2): ბენი – მარტინი, რ. ბენეტი, ბასონგი (86. პილკინგტონი), უაიტეკერი – ჰოუსონი, ბ. ჯონსონი, ტეტი (68. ჰულაჰანი), სნოდგრასი (79. ე. ბენეტი) – კამარა, ჰოლტი

**გაფრთხილება:** ნზონი, ჯერომი, კრაუჩი, უოლტერსი – ჰოლტი, ბ. ჯონსონი

**კარში დარტყმა:** 16-5 (4-0) **კუთხური:** 5-3 **თამაშგარე:** 4-1 **ჯარიმა:** 10-8 **ბურთის ფლობა:** 48%-52%

**მაყურებელი:** 27 488

**უიგანი-ტოტენჰემი 2:2**

**გოლები:** 0:1 ბეილი (9), 1:1 ბოისი (11), 2:1 მაკმანამანი (49), 2:2 ბოისი (89-ს.კ-ში)

**უიგანი** (3-4-3): რობლესი – ფიგეროა (35. სტამი), შარნერი, ბოისი – მაკარტური, მაკარტი, ბოსეჟური, გომესი (79. ესპინოსა) – მელონი, კონე, მაკმანამანი (63. დი სანტო)

**ტოტენჰემი** (4-2-3-1): ლორისი – უოლკერი, დოუსონი, ვერტონგენი, ნაუტონი (64. ასუ-ეკოტო) – ჰადლსტოუნი, პარკერი (74. ლენონი) – დემბელე (41. ჰოლტბი), დემპსი, ბეილი - დეფო

**გაფრთხილება:** გომესი, დი სანტო, შარნერი - დოუსონი

**კარში დარტყმა:** 6-11 (4-4) **კუთხური:** 3-3 **თამაშგარე:** 2-5 **ჯარიმა:** 12-10 **ბურთის ფლობა:** 41%-59%

**მაყურებელი:** 22 326

**ნიუკასლი-ლივერპული 0:6**

**გოლები:** 0:1 აგერი (3), 0:2 ჰენდერსონი (17), 0:3 სტარიჯი (54), 0:4 სტარიჯი (60), 0:5 ბორინი (74), 0:6 ჰენდერსონი (76)

**ნიუკასლი** (4-5-1): ელიოტი – დებუში, ს. ტეილორი, იანგა-მბივა, აიდარა – კაბაი, ტიოტე (65. ანიტა), სისოკო, ხონასი (46. გუფრანი), პერჩი (46. ბენ არფა) - სისე

**ლივერპული** (4-2-3-1): რეინა – გ. ჯონსონი, კარაგერი, აგერი, ხ. ენრიკე – ჯერარდი (72. ბორინი), ლუკასი – დაუნინგი, ჰენდერსონი, კოუტინიო (84. სუსო) – სტარიჯი (85. შელვი)

**გაფრთხილება:** დებუში, ხონასი, ს. ტეილორი – სტარიჯი, გ. ჯონსონი

**გაძევება:** დებუში (75) -

**კარში დარტყმა:** 5-11 (1-10) **კუთხური:** 5-7 **თამაშგარე:** 2-4 **ჯარიმა:** 12-5 **ბურთის ფლობა:** 53%-47%

**მაყურებელი:** 52 351

**რედინგი-ქუინზ პარკი 0:0**

**რედინგი** (4-2-3-1): მაკარტი – განტერი, მარიაპა, მორისონი, კელი (76. ჰარტი) – გატრი, კარაჯანი - მაკანუფი, მაკლირი (65. ლე ფონდრე), ბლექმენი (56. რობსონ-კანუ) - პოგრებნიაკი

**ქუინზ პარკი** (4-4-2): გრინი – ბოსინგვა (73. ფაბიო), ჰილი, ონუოჰა, ტრაორე – გრანერო, მბია (89. მაკი), ჯენასი, ტაარაბტი (68. ჰოილეტი) – რემი, ბოთროიდი

**გაფრთხილება:** - გრანერო, ფაბიო

**კარში დარტყმა:** 11-13 (4-4) **კუთხური:** 7-9 **თამაშგარე:** 1-1 **ჯარიმა:** 12-16 **ბურთის ფლობა:** 58%-42%

**მაყურებელი:** 23 388

**ჩელსი-სუონსი 2:0**

**გოლები:** 1:0 ოსკარი (44), 2:0 ლამპარდი (45+1-პენ)

**ჩელსი** (4-2-3-1): ჩეხი – ასპილიკუეტა, ტერი, კეჰილი, კოული – რამირესი (24. ლამპარდი), დ. ლუისი – აზარი, მატა, ოსკარი - ბა

**სუონსი** (4-2-3-1): ვორმი – რანხელი, ჩიკო, უილიამსი, ბ. დევისი (82. ნ. ტეილორი) – ბრიტონი (70. შეხტერი), კი – რუტლეჯი (66. დაიერი), დე გუზმანი, ერნანდესი - მიჩუ

**გაფრთხილება:** ასპილიკუეტა - უილიამსი, ბრიტონი, ბ. დევისი

**კარში დარტყმა:** 14-6 (8-3) **კუთხური:** 6-3 **თამაშგარე:** 3-1 **ჯარიმა:** 9-9 **ბურთის ფლობა:** 55%-45%

**მაყურებელი:** 41 780

**არსენალი-იუნაიტედი 1:1**

**გოლები:** 1:0 უოლკოტი (2), 1:1 ვან პერსი (44-პენ)

**არსენალი** (4-2-3-1): შჩესნი - სანია, კოშელნი, მერტეზაკერი, გიბსი - არტეტა, რემსი (78. ოქსლეიდ-ჩემბერლენი) - კასორლა, როსიცკი (62. უილშირი), უოლკოტი - პოდოლსკი (71. ჟერვინიო)

**იუნაიტედი** (4-2-3-1): დე ხეა - რაფაელი (73. ანდერსონი), ფერდინანდი, ევანსი, ევრა - კერიკი, ფ. ჯონსი - ვალენსია, რუნი (88. ერნანდესი), ნანი (82. გიგზი) - ვან პერსი

**გაფრთხილება:** უოლკოტი, სანია, ოქსლეიდ-ჩემბერლენი - ჯონსი, რაფაელი, ვან პერსი, ევანსი, ვალენსია

**კარში დარტყმა:** 11-9 (6-4) **კუთხური:** 7-2 **თამაშგარე:** 1-1 **ჯარიმა:** 10-11 **ბურთის ფლობა:** 55%-45%

**მაყურებელი:** 60 112

**29 აპრილი**

ასტონ ვილა-სანდერლენდი 23:00

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუნაიტედი | 35 | 27 | 4 | 4 | 79-36 | 85 |
| 2. სიტი | 34 | 21 | 8 | 5 | 61-31 | 71 |
| 3. ჩელსი | 34 | 19 | 8 | 7 | 68-35 | 65 |
| 4. არსენალი | 35 | 18 | 10 | 7 | 66-36 | 64 |
| 5. ტოტენჰემი | 34 | 18 | 8 | 8 | 60-43 | 62 |
| 6. ევერტონი | 35 | 15 | 14 | 6 | 52-38 | 59 |
| 7. ლივერპული | 35 | 14 | 12 | 9 | 67-42 | 54 |
| 8. ვესტ ბრომვიჩი | 34 | 14 | 6 | 14 | 46-44 | 48 |
| 9. სუონსი | 34 | 10 | 12 | 12 | 43-44 | 42 |
| 10. ვესტ ჰემი | 35 | 11 | 9 | 15 | 41-49 | 42 |
| 11. ფულჰემი | 35 | 10 | 10 | 15 | 44-53 | 40 |
| 12. სტოკი | 35 | 9 | 13 | 13 | 31-41 | 40 |
| 13. საუთჰემპტონი | 35 | 9 | 12 | 14 | 47-57 | 39 |
| 14. ნორვიჩი | 35 | 8 | 14 | 13 | 33-54 | 38 |
| 15. სანდერლენდი | 34 | 9 | 10 | 15 | 38-45 | 37 |
| 16. ნიუკასლი | 35 | 10 | 7 | 18 | 43-66 | 37 |
| 17. ასტონ ვილა | 34 | 8 | 10 | 16 | 36-63 | 34 |
| 18. უიგანი | 34 | 8 | 8 | 18 | 39-62 | 32 |
| 19. ქუინზ პარკი | 35 | 4 | 13 | 18 | 29-56 | 25 |
| 20. რედინგი | 35 | 5 | 10 | 20 | 37-65 | 25 |

**ბომბარდირები:** 24 - **რობინ ვან პერსი** (მანჩესტერ იუნაიტედი), 23 - **ლუის სუარესი** (ლივერპული), 18 - **გარეთ ბეილი** (ტოტენჰემი), 17 - **მიგელ მიჩუ** (სუონსი)

**მომდევნო ტური**

**4 მაისი:** ფულჰემი-რედინგი, ნორვიჩი-ასტონ ვილა, სუონსი-მანჩესტერ სიტი, ტოტენჰემი-საუთჰემპტონი, ვესტ ბრომვიჩი-უიგანი, ვესტ ჰემი-ნიუკასლი, ქუინზ პარკი-არსენალი

**5 მაისი:** ლივერპული-ევერტონი, მანჩესტერ იუნაიტედი-ჩელსი

**6 მაისი:** სანდერლენდი-სტოკ სიტი

**გადადებული თამაშები**

**7 მაისი** უიგანი-სუონსი

სიტი-ვესტ ბრომვიჩი

**8 მაისი** ჩელსი-ტოტენჰემი

**ჩემპიონშიპი. XLV ტური**

**ლესტერი-უოტფორდი 1:2**
გოლები: 0:1 დინი (41), 0:2 ჩალობა (43), 1:2 კეინი (61)

**ბარნსლი-ჰალ სიტი 2:0**
გოლები: 1:0 მელისი (4), 2:0 ოგრეიდი (50)

**ბლექბერნი-კრისტალ პალ 1:1**
გოლები: 0:1 დობი (28), 1:1 როუდსი (42)

**ბლექპული-დერბი 2:1**
გოლები: 1:0 ტეილორ-ფლეტჩერი (18), 1:1 ბ. დევისი (65), 2:1 სილვესტრი (90)

**ბრისტოლ ს-ჰადერსფილდი 1:3**
გოლები: 0:1 ვონი (2), 0:2 ვონი (13), 0:3 ვონი (64), 1:3 ნიანტანგა (90)

**კარდიფი-ბოლტონი 1:1**
გოლები: 0:1 იგლსი (18), 1:1 ნუნი (68)

**იპსვიჩი-ბირმინგემი 3:1**
გოლები: 1:0 ედვარდსი (6), 2:0 ჩემბერსი (17), 3:0 მერფი (57), 3:1 ბერკი (90)

**ლიდსი-ბრაიტონი 1:2**
გოლები: 0:1 ბაკლი (10), 1:1 დიუფი (74-პენ), 1:2 ულოია (88)
გაძევება: ოსტინი (13), დიუფი (76) – კალდერონი (73)

**მიდლსბრო-ჩარლტონი 2:2**
გოლები: 0:1 პრიტჩარდი (1), 0:2 უილიამსი (17-ს.კ-ში), 1:2 ემნესი (76), 2:2 მაკდონალდი (87)

**მილუოლი-ნოტინგემი 0:1**
გოლები: 0:1 ჰელფორდი (8)

**ვულვზი-ბარნლი 1:2**
გოლები: 0:1 ინგსი (8), 0:2 პატერსონი (53), 1:2 დიკო (88)
გაძევება: - დაფი (65)

**პიტერბორო-შეფილდ უენ 1:0**
გოლები: 1:0 მაკანი (64)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კარდიფი | 45 | 25 | 11 | 9 | 70-43 | 86 |
| 2. ჰალ სიტი | 45 | 24 | 6 | 15 | 59-50 | 78 |
| 3. უოტფორდი | 45 | 23 | 8 | 14 | 84-56 | 77 |
| 4. ბრაიტონი | 45 | 18 | 18 | 9 | 67-43 | 72 |
| 5. კრ. პალასი | 44 | 18 | 14 | 12 | 70-60 | 68 |
| 6. ბოლტონი | 45 | 18 | 13 | 14 | 67-59 | 67 |
| 7. ნოტინგემი | 45 | 17 | 16 | 12 | 61-56 | 67 |
| 8. ლესტერი | 45 | 18 | 11 | 16 | 68-46 | 65 |
| 9. ჩარლტონი | 45 | 16 | 14 | 15 | 61-58 | 62 |
| 10. ბირმინგემი | 45 | 15 | 15 | 15 | 62-68 | 60 |
| 11. იპსვიჩი | 45 | 16 | 12 | 17 | 48-59 | 60 |
| 12. მიდლსბრო | 45 | 18 | 5 | 22 | 61-68 | 59 |
| 13. დერბი | 45 | 15 | 13 | 17 | 64-62 | 58 |
| 14. ბარნლი | 45 | 15 | 13 | 17 | 60-60 | 58 |
| 15. ბლექპული | 45 | 14 | 16 | 15 | 60-61 | 58 |
| 16. ლიდსი | 45 | 16 | 10 | 19 | 55-65 | 58 |
| 17. ბლექბერნი | 45 | 14 | 15 | 16 | 54-61 | 57 |
| 18. ჰადერსფილდი | 45 | 15 | 12 | 18 | 51-71 | 57 |
| 19. შეფილდ უენ. | 45 | 15 | 10 | 20 | 51-61 | 55 |
| 20. მილუოლი | 44 | 15 | 10 | 19 | 51-61 | 55 |
| 21. პიტერბორო | 45 | 15 | 9 | 21 | 64-72 | 54 |
| 22. ბარნსლი | 45 | 14 | 12 | 19 | 54-68 | 54 |
| 23. ვულვზი | 45 | 14 | 9 | 22 | 55-67 | 51 |
| 24. ბრისტოლ ს. | 45 | 11 | 8 | 26 | 58-80 | 41 |

**ბომბარდირები:** 29 - გლენ მარი (კრისტალ პალასი), 27 - ჯორდან როუდსი (ბლექბერნი), 24 – ჩარლი ოსტინი (ბარნლი)

**ლიგა ერთი. XLVI ტური**

ბრენტფორდი-დონკასტერი 0:1, ბერი-იოვილი 3:2, კარლაისლი-კოლჩესტერი 0:2, ქროული-ჰარტლპული 2:2, ქრიუ-უოლსოლი 2:0, ლეიტონი-ოლდჰემი 1:1, ნოთს ქაუნთი-ქოვენთრი 2:2, ს კანტორპი 3:1, შეფილდ იუნ-პრესტონი 0:0, შრიუსბერი-პორტსმუთი 3:2, სტივენეიჯი-მილტონი 0:2, ტრანმერი-ბორნმუთი 0:0

**ლიგა ორი. XLVI ტური**

აკრინგტონი-ოქსფორდი 0:3, უიმბლდონი 2:1, ბარტონი-ჯილინგემი 3:2, ჩელტენჰემი-ბრედფორდი 0:0, ჩესტერფილდი-ექსეტერი 4:0, დაგენჰემი-იორკი 0:1, როჩდეილი-პლიმუთი 1:0, როტერჰემი-ალდერშოტი 2:0, საუთენდი-მოურკემბი 0:1, ტორკი-ბრისტოლ რ. 3:3, უიკომბი-პორტ ვეილი 1:1, ნორთჰემპტონი 2:0

სერია A. XXXIV ტური

# იუვე ტურინშიც პირველია

## ძანეტის ტრავმამ კალჩო დაადუმა

**XXXIV ტურში ბევრი საინტერესო რამ მოხდა, მაგრამ ერთმა ამბავმა ყველა და ყველაფერი გადაფარა. "პალერმო"-"ინტერის" შეხვედრაში ხავიერ ძანეტიმ ჯვარედინი მყესი გაიწყვიტა და უმძიმესი ტრავმა მიიღო. მართალია, ექიმებს საბოლოო დიაგნოზი ჯერ არ დაუსვამთ, მაგრამ ტრავმა რომ მძიმეა, ამაზე ყველანი ერთხმად თანხმდებიან. არგენტინელის გამოჯანმრთელებას 6-8 თვე დასჭირდება, რაც შესაძლოა მისი საფეხბურთო კარიერის დასრულებას ნიშნავდეს...**

### სიცილიაში არავის ეცინებოდა...

"პალერმომ" "ინტერი" **ილიჩიჩის** გოლით დაამარცხა და უმნიშვნელოვანესი ქულები ჩაიწერა აქტივში. სიცილიელები გადარჩენისთვის იბრძვიან და მათთვის თითოეულ გამარჯვებას ოქროს ფასი აქვს. მიუხედავად ამისა, კუნძულელებს სიხარული დიდად არ გამოუხატავთ, რადგან როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ შეხვედრამ თვით **ხავიერ ძანეტის** საფეხბურთო კარიერა იმსხვერპლა. დიახ, შესაძლოა სასტიკად ჟღერდეს, მაგრამ თუ დიაგნოზი დადასტურდა, არგენტინელი ალბათ ბუცებს ლურსმანზე ჩამოკიდებს. ამ უმძიმესი ტრავმის მკურნალობას საშუალოდ 6-8 თვე სჭირდება, დაკარგული ფორმის აღდგენას კი კიდევ მინიმუმ ერთი თვე. მოკლედ, 39 წლის ფეხბურთელისთვის, რომელიც კარიერის დასრულებას მომდევნო სეზონში აპირებდა, ამხელა სარეაბილიტაციო პერიოდი ნამდვილად მეტისმეტია.

"ინტერს" კი მეტად რთული დროება უდგას – ტრავმას ტრავმა მოჰყვება, გუნდის შედეგები კი უარესდება. მილანური გრანდი მეშვიდე ადგილზე დაეშვა და კარგ შემთხვევაში, ევროპის ლიგის საგზურს თუ მოიპოვებს. ვნახოთ, ესეც სათუოა.

### იუვემ დერბიც მოიგო

"იუვენტუსი" იტალიაშია პირველი და რა გასაკვირია, რომ არც ტურინში თმობს პოზიციებს. დიახ, **ანტონიო კონტეს** გუნდმა თანაქალაქელი "ტორინო" დაამარცხა და კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა სკუდეტოსკენ. ამრიგად, თუ მომდევნო ტურში "ბებერი ქალბატონი" "პალერმოს" დაამარცხებს, სკუდეტოს ოფიციალურად გაიფორმებს.

ტურინული დერბი დაძაბულ ბრძოლაში წარიმართა და სტუმრებმა ორივე გოლი უკანასკნელ წუთებზე გაიტანეს. შეხვედრის დასრულებამდე ხუთ წუთზე ოდნავ მეტი იყო დარჩენილი, როდესაც **არტურო ვიდალმა** ანგარიში გახსნა, ზედ მსაჯის საფინალო სასტვენის წინ კი **კლაუდიო მარკიზიომ** შეხვედრის საბოლოო ანგარიში დააფიქსირა, 0:2.

ნამატჩევს ანტონიო კონტემ თავისი ფეხბურთელები შეაქო, მეტოქე კი გაამხნევა: *"დაძაბული მატჩი იყო, რომელიც უფრო ძლიერი გუნდის გამარჯვებით დასრულდა. "იუვენტუსი" დიდი ნაბიჯებით მიიწევს სკუდეტოსკენ და არ მაქვს საფუძველი, რომ უკმაყოფილო ვიყო. აქვე, მინდა მეტოქე შევაქო ბოლომდე ბრძოლისთვის – ვფიქრობ, ჩვენს მსგავსად, "ტორინოც" შეასრულებს დასახულ ამოცანას და სერია A-ში ადგილს შეინარჩუნებს".*

### შეუჩერებელი ფიორენტინა

"ფიორენტინას" შეჩერება სულ უფრო და უფრო რთული ხდება – **ვინჩენცო მონტელას** გუნდი თამაშს თამაშზე იგებს და "მილანს" მოსვენებას არ აძლევს. ამჯერად, ფლორენციელები გენუას ესტუმრნენ და იქაურ "სამპდორიას" სამი უპასუხო ბურთი მიართვეს. ჯერ **ხუან კუადრადომ** გამოიჩინა თავი, შემდეგ **ადემ ლიაიჩმა** და ბოლოს, **ალბერტო აკვილანიმ**. "ვიოლა" ყველა რგოლში თანაბრად ძლიერი ჩანს და ეს ამ გუნდის ერთ-ერთი უმთავრესი კოზირია.

ფლორენციელებმა თავიდანვე იგდეს ხელთ უპირატესობა და პირველი გოლი ტაიმის შუაწელს გაიტანეს. ამის შემდეგ სტუმართა გამარჯვება ერთი წუთითაც არ დამდგარა ეჭვქვეშ და შედეგიც ლოგიკური დაფიქსირდა. მონტელას გუნდს ტრავმამოშუშებული **სტევან იოვეტიჩი** დაუბრუნდა და მიუხედავად იმისა, რომ გოლი არ გაუტანია, მთლიანობაში ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა. აღარაფერს ვამბობთ ნახევარდაცვაზე, სადაც **დავიდ პისარო, ბორხა ვალერო** და **ალბერტო აკვილანი** ბრწყინვალედ ირჯებოდნენ. მოკლედ, "ვიოლა" წინ მიიწევს, თანაც სრული სვლით.

### ევროპის ლიგისთვის

ჩემპიონატის დასრულებამდე სულ რაღაც ოთხი ტურია დარჩენილი და უკვე თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩემპიონთა ლიგის მესამე საგზურს "მილანი" და "ფიორენტინა" გაითამაშებენ. "ნაპოლი" რომ მეორე იქნება, ესეც გადაწყვეტილი ამბავია – **ვალტერ მაცარის** შეგირდებმა "პესკარა" **ედინსონ კავანის** გარეშე დაიბრიყვეს და სამი უპასუხო გოლი გაუტანეს.

რაც შეეხებათ "რომას", "ლაციოს", "ინტერს" და "უდინეზეს" – გამოდის, რომ ამ გუნდებს ისღა დარჩენიათ, ევროპის ლიგის საგზურისთვის იბრძოლონ. გასულ ტურში, "რომამ" "სიენას" უმასპინძლა და გამანადგურებელი ანგარიშით მოიგო, 4:0. შეხვედრის გმირი **პაბლო ოსვალდო** გახლავთ, რომელმაც ჰეთთრიკი მიითვალა აქტივში. სამაგიეროდ, "ლაციოს" მოეცარა ხელი, "პარმასთან" მხოლოდ ქულა აიღო და კვლავაც მერვე ადგილზე დარჩა სატურნირო ცხრილში. დაბეჩავებულ "ინტერზე" უკვე მოგახსენეთ, "უდინეზეს" კი პირიქით, კარგი დროება უდგას და თამაშს თამაშზე იგებს. **ფრანჩესკო გვიდოლინის** გუნდმა მოგებათა საფირმო სერია გამოაცხო და მეექვსე ადგილზე აინაცვლა. მოკლედ, ფრიულური "ბიანკონერი" თავის სტიქიაშია, თითქოს არსაიდან ჩნდება და ბარე ორ გაცილებით ამბიციურ გუნდს უკან იტოვებს. ევროპის ლიგის საგზურების გადანაწილებაში, ბევრი რამე იტალიის თასის ფინალზეა დამოკიდებული, რომელშიც რომაული გუნდები შეასკდებიან ერთმანეთს – ამიტომ, სატურნირო ვითარება უკიდურესად ჩახლართულია და პროგნოზების კეთებაც პრაქტიკულად შეუძლებელია.

გვერდი მოამზადა
**ლაშა ნიკლაურმა**



ხავიერ ძანეტიმ უმძიმესი ტრავმა მიიღო

### ათალანტა-ბოლონია 1:1

**გოლები:** 1:0 ჯორჯი (67), 1:1 ჯილარდინო (76).

**ატალანტა (4-4-2):** კონსილი – ფერი, სტენდარდო, ლუკინი, დელ გროსო (29. ბრივიო) – ჯორჯი (79. რადოვანოვიჩი), ბიონდინი, ჩიგარინი, მორალესი – ლივაია (65. პარა), დენისი.

**ბოლონია (4-2-3-1):** კურჩი – გარიჩი, სორენსენი, ანტონსონი, მორლეო – პერესი (59. გუარენტე), ტაიდერი – კონე (75. მოსკარდელი), დიამანტი, პასკუატო (63. ხრისტოდოლოპულოსი) - ჯილარდინო.

**გაფრთხილება:** ლივაია – გარიჩი, მორლეო.

**კუთხური:** 9-4; **ჯარიმა:** 18-13; **თამაშგარე:** 5-4; **კარში დარტყმა:** 10-7(6-3); **ბურთის ფლობა:** 52%-48%.

**მაყურებელი:** 14 000

### კალიარი-უდინეზე 0:1

**გოლი:** 0:1 პერეირა (56).

**კალიარი (4-3-3):** აგაცი – პერიკო, არიაუდო, ასტორი, მურუ – კაზარინი (57. იბარბო), კონტი, ნაინგოლანი – საუ (77. ნენე), რიბეირო (67. აველარი), პინილია.

**უდინეზე (3-4-2-1):** ბრკიჩი – ბენეტია, დანილო, დომიცი – ბასტა, ლაძარი (35. ბადუ), ალანი, გაბრიელ სილვა – პერეირა, ზელინსკი (52. მურიელი) – დი ნატალე (83. პინცი).

**გაფრთხილება:** არიაუდო, კონტი, ნაინგოლანი, რიბეირო, იბარბო – ზელინსკი, მურიელი.

**გაძევება:** პინილია (90. კალიარი).

**კუთხური:** 4-2; **ჯარიმა:** 12-21; **თამაშგარე:** 0-6; **კარში დარტყმა:** 7-6(0-2); **ბურთის ფლობა:** 47%-53%.

**მაყურებელი:** 10 000

### პესკარა-ნაპოლი 0:3

**გოლები:** 0:1 ინლერი (46), 0:2 პანდევი (58), 0:3 ჯემაილი (82).

**პესკარა (4-4-2):** პელიცოლი (64. პერინი) – ძანონი, კოსიჩი, კაპუანო, ბალცანო – ტონი, რიცო, დი ფრანჩესკო, კაპრარი (61. სელიკი) – სკული (70. კაშონე), სფორცინი.

**ნაპოლი (3-4-1-2):** დე სანქტისი – კამპანიარო, კანავარო, ბრიტოსი – მაჯო (73. მესტო), ჯემაილი, ინლერი, ცუნიგა (62. არმერო) – ჰამშიკი – პანდევი (79. კალაიო), ინსინიე.

**გაფრთხილება:** ბალცანო, დი ფრანჩესკო - ბრიტოსი.

**კუთხური:** 4-6; **ჯარიმა:** 6-13; **თამაშგარე:** 1-6; **კარში დარტყმა:** 7-19(2-10); **ბურთის ფლობა:** 31%-69%.

**მაყურებელი:** 12 000

### რომა-სიენა 4:0

**გოლები:** 1:0 ოსვალდო (14), 2:0 ლამელა (16), 3:0 ოსვალდო (41), 4:0 ოსვალდო (67).

**რომა (4-3-3):** ლობონტი – ტოროსიდისი, ბურდისო, კასტანი, ბალცარეტი – დე როსი (34. პიანიჩი), ფლორენცი, ბრედლი – ლამელა (68. პეროტა), ტოტი (75. ლოპესი), ოსვალდო.

**სიენა (3-4-2-1):** პეგოლო – პაჩი, ფელიპე, ტერცი – ანჯელო, ვერგასოლა (82. ვერე), რუბინი, დელა როკა – ვალიანი (54. აგრა), როზინა (74. კალელო) – ემეგარა.

**გაფრთხილება:** პიანიჩი - ვერგასოლა.

**კუთხური:** 3-5; **ჯარიმა:** 9-7; **თამაშგარე:** 3-1; **კარში დარტყმა:** 13-14(6-3); **ბურთის ფლობა:** 61%-39%.

**მაყურებელი:** 40 000

### კიევო-ჯენოა 0:1

**გოლი:** 0:1 ბორიელო (73).

**კიევო (3-5-2):** პუჯონი – დაინელი, პაპი, ანდრეოლი - სარდო, კოფიე, ლ. რიგონი (80. უჩე), ჰეტემაი, დრამე – სტოიანი (67. თერეუ), პალოსკი.

**ჯენოა (3-5-2):** ფრეი – გრანკვისტი, მანფრედინი, მორეტი – პიზანო (58. ბერტოლაჩი), მ. რიგონი, მათუზალემი, ანტონელი, ვარგასი (90. ტოზცერი) – ბორიელო, ფლორო ფლორესი (68. იმობილე).

**გაფრთხილება:** პაპი, სარდო, ჰეტემაი, თერეუ - ბორიელო.

**კუთხური:** 6-8; **ჯარიმა:** 15-15; **თამაშგარე:** 3-0; **კარში დარტყმა:** 6-7(1-3); **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 10 000

### პალერმო-ინტერი 1:0

**გოლი:** 1:0 ილიჩიჩი (10).

**პალერმო (3-5-2):** სორენტინო – ფონ ბერგენი, დონატი, არონიკა – მორგანელა, ბარეტო, რიოსი, კურტიჩი, გარსია (82. ნელსონი) – ილიჩიჩი (72. ერნანდესი), მიკოლი (87. მუნიოსი).

ადამ ოქრუაშვილი (მარცხნივ) და ტედი რინერი

საერთო გუნდურში ფრანგებთან ჩამორჩენის მიუხედავად, ჩვენი ნაკრების გამოსვლა მაინც ბრწყინვალედ უნდა შეფასდეს. ამაში სტატისტიკაც დაგვემოწმება - 7 წონიდან 6-ის ფინალში ვიჭიდავეთ და ამდენივეში მედალი მოვიპოვეთ; 9 კაციდან 7 მედლით ბრუნდება სამშობლოში. ნამდვილად ქების ღირსია ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ირაკლი უზნაძე**, მისი დამხმარე შტაბი - **გიორგი ვაზაგაშვილი, დავით ასუმბანი**, ფედერაციის ხელმძღვანელობა, სამედიცინო შტაბი თუ ყველა ის პიროვნება, ვისაც თუნდაც მისხალი წვლილი მიუძღვის გუნდის ასეთ წარმატებაში. ალბათ, სეზონის დასაწყისშიც კი იმ დემორალიზებული ნაკრებისგან ასეთი ძლევამოსილი კოლექტივის ჩამოყალიბებას ვერავინ იფიქრებდა, მაგრამ ოცნება რეალურ ცხოვრებაშიც ხდება. ბუნებრივია, ევროპის ჩემპიონატი მსოფლიოს პირველობასა და ოლიმპიადაზე ბევრად სუსტი შეჯიბრებაა, მაგრამ ჩვენ უკვე გუნდი გვყავს, ეს კი წარმატების მთავარი წინაპირობაა.

### 90 კგ

### ლიპარტელიანმა წაგება გაასამა

რუს **კირილ დენისოვთან** ფინალში მარცხის შემდეგ ვალერი ლიპარტელიანი, უილბლო სპორტსმენად წარმოგვიდგა. როგორი საქმეა - კაცმა ბოლო 5 წელიწადში ოთხჯერ იჭიდავა ევროპის პირველობის ფინალში და სამჯერ წააგო! ცუდია, რომ დენისოვი მისთვის კვლავაც გადაულახავ ზღუდედ რჩება - მეხუთედ დამარცხდა მასთან. სავარაუდოდ, ჩვენებურს ტრავმაც ჰქონდა, რადგან წინასწარ შეხვედრებში ხან ხელს იტკიებდა, ხან - ფეხს, მეოთხედფინალში კი ერთ მომენტში თავზეც მიიდო ხელები და მსაჯთან მისი ჟესტიკულაციებით თუ ვიმსჯელებთ, არბიტრი იმასაც კი ჩაეკითხა, შეძლებდა თუ არა შეხვედრის გაგრძელებას. ალბათ, ამის ბრალი უნდა იყოს ლიპარტელიანის მოდუნება, რალაც შებოჭილად მოქმედებდა, თითქოს უჭირდა მოძრაობა და შორს იყო პარიზში და გერმანიაში ნანახი ფალავანისგან. მისი ტექნიკური არსენალი თითქოს კვლავაც შეზღუდული იყო და ფიზიკურადაც ჩამორჩებოდა 2-3 თვის წინანდელ დონეს. ამის მიუხედავად, წინასწარი შეხვედრები მაინც დამაჯერებლად გაიარა. პირველი მეტოქე, შვეიცარიელი **კირილ გროსკლაუსი** არც ისე დიდი (გერმანულად „გროს" დიდს ნიშნავს) აღმოჩნდა და ჩვენებურმა სწრაფად მიითვალა წმინდა მოგება. მერვედფინალში ფრიად გაუჭირდა ქვედა წონიდან ამონაცვლებულ ჰოლანდიელთა მსოფლიოს ჩემპიონ **ხიიომ ელმონტთან**, თუმცა იქ მსაჯებიც სცოდავდნენ მეტოქის სასარგებლოდ - შეხვედრა დამატებით დროში გაგრძელდა, სადაც ლიპარტელიანმა იპონი მიითვალა და მერე ლიტველ **კაროლის ბაუზასაც**, მთლიანობაში, უპრობლემოდ მოუგო იმის მიუხედავად, რომ მხოლოდ ერთი იუკო აართვა. აი, ამის შემდეგ რუსებით ჩახერგილ უძნელეს გზას შეუდგა საჩემპიონო მწვერვალისკენ, რომელიც ბოლომდე ვერ დასძლია - ნახევარფინალში **კირილ ვოპროსოვს** კი აჯობა, მაგრამ დენისოვს კვლავაც ვერაფერი მოუხერხა. არადა, თითქოს არ იყო წასაგები შეხვედრა - ლიპარტელიანი იუკოთი დაწინაურდა კიდეც, მაგრამ რუსმა ჯერ გაქვითა, ბოლო წუთზე კი იმ ეპიზოდში საყრდენად ქცეულ მარცხენა ფეხზე შიგნიდან კვლავ წარმატებით ჩაუხვია ფეხი და მეორე იუკო მიითვალა. დენისოვი თითქოს დიდი არაფერი მოჭიდავეა, თითქოს არაა დაუმარცხებელი, მაგრამ ამ ფანდით ხშირად გვიგებს.

**90 კგ.** 1. კირილ დენისოვი (რუსეთი); **2. ვალერი ლიპარტელიანი (საქართველო);** 3. კაროლის ბაუზა (ლიტვა), კირილ ვოპროსოვი (რუსეთი).

### +100 კგ

### ოქრუაშვილი - ვერცხლით

ადამ ოქრუაშვილისთვის ფინალში გასვლა და ვერცხლიც დიდი შედეგია, მაგრამ მის წაგებაში მსაჯებსაც შეგვიძლია, დავდოთ ბრალი. ყოველ შემთხვევაში, ფრანგ ოლიმპიურსა და მსოფლიოს 5-გზის ჩემპიონ **ტედი რინერს** არაფერი გაუკეთებია მოსაგებად და საეჭვო გაფრხილებებით გაიმარჯვა. ფინალში გდება თუ გაკეთდა, ისევ ოქრუაშვილის მხრიდან და ვეჭვობთ, მის პირისპირ რინერის გარდა სხვა რომ მდგარიყო, არც გააფრთხილებდნენ. მსაჯმა ის სამჯერ დასაჯა, რისთვისაც დარბაზმა ორჯერ უსტვინა. პირველად ეს მეორე გაფრთხილებისას მოხდა, როცა ჩვენებური უკანუკან კი წავიდა, მაგრამ ამის მომდევნო ეპიზოდში ზუსტად იგივე ორჯერ გააკეთა რინერმა, რასაც მსაჯმა წაუყრუა. დარბაზმა არბიტრს კიდევ უფრო დიდი ობსტრუქცია მესამე გაფრთხილებისას მოუწყო, როცა თავი ვერც პირდაპირი რეპორტაჟის წამყვანებმა შეიკავეს. მსაჯმა რინერი მხოლოდ ერთხელ გააფრთხილა, როცა ჩვენებურმა ლამის სარეკლამო დაფებთან გაიყვანა. ამას მოჰყვა ეპიზოდი, როცა ოქრუაშვილი ილეთს ცდილობდა, მაგრამ ფრანგი კარგი კოორდინაციის ხარჯზე ვარდნისას შეუტრიალდა და მუცელზე დავარდა. თუმცა ამ ეპიზოდმა ცალკე მაყურებლის და ცალკე პირდაპირი რეპორტაჟის წამყვანთა აღფრთოვანება გამოიწვია. არ ვამბობთ, რომ ეს რინერის მაქსიმუმი იყო. იქნებ მან იჭიდავა ის, რაც მოსაგებად ჰყოფნიდა. მით უფრო - ამ ხერხისთვის ადრეც ხშირად მიუმართავს ანუ იჭიდავა გრძელ დისტანციაზე, გაშლილი ხელით აღებული ზედა ჩავლებიდან. იქნებ საჭიროების დროს მოემატებინა კიდეც ტემპისთვის, მაგრამ ჩვენ ვსაუბრობთ იმაზე, რაც შაბათს ფინალში მოხდა, იქ კი ფრანგს უპირატესობა არ ჰქონია.

მისასალმებელია, რომ ოქრუაშვილი აგრძელებს პროგრესს და თანდათან სულ უფრო ძლიერი კონკურენტი ხდება წონაში. ის წონის გიგანტებთან შედარებით ცოტა ტანდაბალია, მაგრამ მშვენიერი გდებები გააკეთა ბელარუს **ალექსანდრ ვახავიაკთან**, ფრანგთა მომავალ ბრინჯაოს მედალოსან **იან-სებასტიან ბონვოისინთან** და ნახევარფინალში სლოვენიელ **მატიას სერაისთან**. საწყენია, ოქრუაშვილი ოქროს რომ ვერ შეწვდა, მაგრამ ეს მისთვის პირველი მედალია ეროვნულ ნაკრებში და მაინც დიდი წარმატებაა.

**+100 კგ.** 1. ტედი რინერი (საფრანგეთი); **2. ადამ ოქრუაშვილი (საქართველო);** 3. იან-სებასტიან ბონვოისინი (საფრანგეთი), ბარნა ბორი (უნგრეთი).

### აქილევსის ქუსლი

ამ ტურნირზე უმედლოდ ერთადერთ წონაში დავრჩით - 100 კილოგრამში, სადაც მართლაც ღრმა საკადრო კრიზისი გვაქვს. **დავით ლორიაშვილი** პირველივე წრეში დამარცხდა რუსთა ჩეჩენ დებიუტანტ **ადლან ბისულთანოვთან** და გავარდა.

**100 კგ.** 1. ლუკაშ კრპალეკი (ჩეხეთი); 2. ხენკ ხროლი (ჰოლანდია); 3. ევგენიუს ბოროდავკო (ლატვია), სირილ მარე (საფრანგეთი).

### ქალები

**78 კგ.** 1. ლუისი ლოუტეე (საფრანგეთი); 2. ანა ველენსეკი (სლოვენია); 3. აბიგელ იოო (უნგრეთი), მარინდე ვერკერკი (ჰოლანდია).

**+78 კგ.** 1. ლუსია პოლავდერი (სლოვენია); 2. ემილიე ანდოლი (საფრანგეთი); 3. ბელკის ზერა კაია (თურქეთი), ირინა კინდერსკა (უკრაინა).

ძიუდო. ევროპის გუნდური პირველობა


ეროვნული ბიბლიოთეკა
ვალერი ლიპარტელიანი

# ევროპა გუნდურადაც მოვდრიკეთ

## ზედიზედ მეორე ევროგუნდური ოქრო

პირად პირველობაში წარმატებული გამოსვლის შემდეგ, საქართველოს ძიუდოისტ ვაჟთა ნაკრებმა ბუდაპეშტში დასრულებულ ევროპის გუნდურ ჩემპიონატშიც ტრიუმფით იასპარეზა და ოქროს მედალი მოიპოვა. ამით ჩვენებმა შეინარჩუნეს შარშან მოპოვებული ევროპის გუნდური პირველობა. შეიძლება ითქვას, ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ირაკლი უზნაძემ** პირველივე ცდაზე დუბლი შეასრულა - პირადშიც და გუნდურშიც გაიმარჯვა. დაჯილდოების ცერემონიალის შემდეგ ის შეგირდებმა სავსებით დამსახურებულად დიდხანს აბურთავეს ზედ კვარცხლბეკზე.

გუნდურში ჩვენები პირველ წრეში ისვენებდნენ, მეორეში კი ლატვიელთა მძლეველ უნგრელებს შეხვდნენ. აქ ერთადერთ საფრთხეს მასპინძელთა ფაქტორი წარმოადგენდა, ეჭვების გამართლება კი პირველივე წრიდან დაიწყო - ჩვენი ოლიმპიური და აწ უკვე ევროპის ჩემპიონი **ლაშა შავდათუაშვილი** (66) სათანადოდ კვლავ არ შეაფასეს იმ **ბენცე ზამბორთან**, რომელიც ჩვენებურმა პირადშიც დაამარცხა, მაგრამ არბიტრები მაშინაც ადგილობრივს ემხრობოდნენ. საბედნიეროდ, შავდათუაშვილმა ამჯერადაც მოახერხა მისი დაიპონება. უნგრელებმა ანგარიში მალევე გაათანაბრეს - ევროპის ვიცე-ჩემპიონი **ნუგზარ ტატალაშვილი** (73) ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონ **მიკლოშ უნგვარისთან** დამარცხდა. ეს მასპინძელთა ბოლო გაბრძოლება აღმოჩნდა - ევროპის ჩემპიონმა **ავთანდილ ჭრიკიშვილმა** (81) და ამ ტურნირის ვერცხლის მედალოსნებმა - **ვალერი ლიპარტელიანმა** (90) და **ადამ ოქრუაშვილმა** (+90) წმინდად მოიგეს და უნგრელებს საერთო ანგარიშით 4:1 ვაჯობეთ. ჭრიკიშვილმა ამ წონაში ადგილობრივთა ლიდერი **ლასლო ჩოკნიაი** დააიპონა, ლიპარტელიანმა **გერგო ფოგასის** აჯობა, მძიმე წონაში კი პირადში მესამეზე გასულ **ბარნა ბორის** ნაცვლად მასპინძლებმა **მიკლოშ ცირჯენიცსი** დააყენეს.

ნახევარფინალში მეტოქედ ჰოლანდია გვერგო. უზნაძემ აქაც ძირითადი შემადგენლობის ხუთეული დააყენა, ოღონდ ერთი ცვლილება მაინც შეიტანა - ტატალაშვილის ნაცვლად ევროპის ბრინჯაოს მედალოსანი **ზებედა რეხვიაშვილი** აჭიდავა. წინასწარ ვიტყვით, რომ ცვლილებამ გაამართლა - ჩვენებურმა მსოფლიოსა და ევროპის ვიცე-ჩემპიონ **დექს ელმონტს** დამაჯერებლად მოუგო. მანამ შავდათუაშვილს უკვე დამარცხებული ჰყავდა **იესპერ დე იონგი**, მომდევნო შეხვედრაში კი ჭრიკიშვილმაც სუფთად იმარჯვა ვინმე **ნაელ ვან დე კამერთან**. ამით გუნდური გამარჯვება გავინაღდეთ - 3:0, თუმცა მაინც მოულოდნელი იყო ლიპარტელიანის მარცხი მსოფლიოს ჩემპიონ **ხიიომ ელმონტთან** - რბილად რომ ვთქვათ, მსაჯები ამ შეხვედრაშიც ისევე საეჭვოდ იქცეოდნენ, როგორც პირადში მათი პაექრობისას. თავისი წილი ორთაბრძოლა ოქრუაშვილმაც მოიგო და აქაც 4:1 ვიმარჯვეთ.

ბუდაპეშტშიც ევროპის შარშანდელი ფინალი განმეორდა - კვლავაც რუსებს დავეჭიდეთ. საბედნიეროდ, პაექრობა იმავე შედეგითაც დასრულდა და კვლავ აჟღერდა საქართველოს ჰიმნი. უზნაძე ამჯერად სრულად დაენდო წინა ხუთეულს და არც შემცდარა. თუმცა ერთ წაგებას ვერც ამჯერად გადავურჩით, რომელიც ყველაზე ტიტულოვან შავდათუაშვილს შეემთხვა - შეხვედრის შუაში **მიხაელ პულიაევი** წარმატებით შეეკრა და ვაზარზე გადააგდო, რისი გაქვითვაც ჩვენებურმა ვერ მოახერხა. აი, ამის შემდეგ კი ქართველების ჯერი დადგა, რომელთაც მიჯრით მოიგეს 4 შეხვედრა - რეხვიაშვილმა მაჯებზე ჩავლებით კისრულით დაიქნია მუსა მოგუშკოვი, რაც მსაჯებმა ჯერ ვაზარად შეაფასეს, მაგრამ მერე იუკოდ გადააკეთეს, ქართველმა კი პირადის შემდეგ გუნდურშიც დაჯაბნა ჩრდილოელი; ჭრიკიშვილმა ზუსტად შეასრულა უზნაძის მითითებები და ევროპის ორგზის ჩემპიონ **სირაზუდინ მაგომედოვს** გაფრთხილებებით მოუგო (1:3); ლიპარტელიანმა ბოლო წუთზე კიდევ ერთხელ წარმატებით ამოუსვა იუკოზე **გრიგორი სულემინს**, ვისაც შარშან ევროპის პირადი პირველობის ფინალში აჯობა. ოქრუაშვილმა კი მასზე ბევრად მაღალი **რენატ საიდოვი** გაფრთხილებებით მოახსნევინა. ამდენად, აქაც 4:1 ვიმარჯვეთ.

უნდა აღინიშნოს, დარბაზში მყოფ ქართველთა ერთგული ქომაგობაც, რომელთა „საქართველოს გაუმარჯოს" ფინალის მთელ მანძილზე არ გაჩერებულა.

როგორც ვხედავთ, უზნაძემ გუნდურისთვის წაყვანილი სათადარიგო ფალავნები - **შალვა ქარდავა** (66), **ზვიად გოგოჭური** (90) და **ონისე ბულაძე** (+90) საერთოდ არ გაიყვანა საჭიდაოდ. სამივე შეხვედრის ბედი ადრევე გადაწყდა და ზედა წონები არაფერს წყვეტდა. ერთი შეხედვით, იქ კი შეიძლებოდა სათადარიგოთა გამოყენება, მაგრამ საქმე ისაა, რომ განაცხადები ადრევე ივსება, ხოლო ორთაბრძოლის მიმდინარეობისას მონაწილეს ვერ შეცვლი.

ცალკეული მოჭიდავეებიდან ჭრიკიშვილს და ოქრუაშვილს 100%-იანი შედეგი აქვთ - სამივე შეხვედრა მოიგეს. უდანაკარგოდ გამოვიდა რეხვიაშვილიც, ოღონდ ერთით ნაკლები იჭიდავა - 2-დან ორივეში იმარჯვა. ლიპარტელიანმა და შავდათუაშვილმა 3-დან 2-2 პაექრობა მოიგეს, ტატალაშვილმა კი ერთი იჭიდავა და წააგო.

გვერდი მოამზადა
**ირაკლი თავაძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნყალბურთი



# თასი მასპინძლებმა შეინარჩუნეს

**საწყლოსნო კომპლექს „ოლიმპიკში“ მესამედ გათამაშდა სახელოვანი წყალბურთელის, საბჭოთა კავშირის ჩემპიონისა და მრავალგზის პრიზიორის, ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოსმედალოსნის ნოდარ გვახარიას თასი ახალგაზრდებს შორის. ამ ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში წლეულს საქართველოს, ყაზახეთის, ისრაელისა და ჩეხეთის 1996-1997 წლებში დაბადებული წყალბურთელები მონაწილეობდნენ. პირველი ტურის შედეგები უკვე გაუწყეთ. გასულ უქმეებზე „ოლიმპიკში“ მეორე-მესამე ტურის პაექრობები გაიმართა.**

### საქართველო-ისრაელი 17:7

3:0, 5:2, 4:2, 5:3

**საქართველო:** ჭოლოკავა, ჩიკვაიძე (2), რევია (1), იმნაიშვილი (2), გაბადაძე, ბითაძე (2), ჯახაია (7), ზაქარეიშვილი (2), ჯანჯღავა, მაგრაქველიძე (1), მოსაშვილი, მარგველაშვილი, რაზმაძე, მწვრთნელები - პოპოვიჩი, ბაქრაძე.

**ისრაელი:** დიმენშტეინი, უსაჩევი (1), გროსი, კარმონი (1), შეჩტერი (2), იაკობი, ნავე, მარჩიანო, კოტერი (2), იოსიპოვიჩი, დვირი (1), გრუნდლანდი, სრუსი, მწვრთნელი ვინბერგი.

### საქართველო-ჩეხეთი 26:3

7:1, 6:1, 6:0, 7:1

**საქართველო:** ჭოლოკავა, ჩიკვაიძე (1), რევია (2), იმნაიშვილი (2), გაბადაძე (5), ბითაძე (4), ჯახაია (2), ზაქარეიშვილი (2), წერეთელი (1), მაგრაქველიძე (6), მოსეშვილი, კუცია (1), რაზმაძე, მწვრთნელები - პოპოვიჩი, ბაქრაძე.

**ჩეხეთი:** კოცი, რაზლი, შედირი, ბოჰმი, პეტრასი, პერესი, ბრენერი, ჟიროტა, ნეჟლუდა (3), სემრადი, ბისეკი, ვიტეკი, ადამჩიკი, მწვრთნელი ჟუდლიკა.

სპეციალისტები ტურნირის დაწყებამდე მასპინძლებთან ერთად ფავორიტებად ყაზახებსაც მიიჩნევდნენ, იმის მიუხედავად, რომ ორი წლის წინათ ჩვენმა ბიჭებმა მეტოქეს 14 ბურთის სხვაობით მოუგეს. როგორც პირველი ტურის მიმოხილვისას აღვნიშნეთ, ვარაუდი გამართლდა, რადგან დაძაბულ და საინტერესო ორთაბრძოლაში საქართველოს ნაკრებმა ყაზახებს მხოლოდ მინიმალური სხვაობით აჯობა. სტარტზე გაიმარჯვეს ებრაელმა წყალბურთელებმაც და ქომაგები მეორე ტურშიც საინტერესო დაპირისპირებას ელოდნენ, მაგრამ ისრაელის გუნდმა მასპინძლებს სათანადო წინააღმდეგობა ვერ გაუწია. ჩვენებურთაგან განსაკუთრებით ჯახაია გამოირჩა, რომელმაც დიმენშტეინს შვიდჯერ გამოატანინა ბურთი საკუთარი კარის ბადიდან. პირველ პერიოდში სწორედ ჯახაიამ დააწინაურა თავისი გუნდი, მეორე გოლიც მის ანგარიშზეა. სტუმრები მხოლოდ მას შემდეგ გამოფხიზლდნენ, რაც საქართველოს ნაკრები 6:0 დაწინაურდა. მართალია, კოტერმა და კარმონმა ორი ბურთით შეამცირეს ანგარიშში სხვაობა, მაგრამ ქართველებმა მეორე რვაწუთიანი მონაკვეთის ბოლომდე ისევ აღადგინეს სტატუს-კვო. მესამე-მეოთხე პერიოდებიც მასპინძლების სრული უპირატესობით წარიმართა და იოვან პოპოვიჩის შეგირდებმა 17:7 გაიმარჯვეს, რითაც, ფაქტობრივად, პირველი ადგილი გაინაღდეს, რადგან ბოლო ტურში ასპარეზობის აუტსაიდერი ჩეხეთი ელოდათ, რომელმაც მეორე შეხვედრაც დათმო ყაზახეთთან. ცხადი იყო, რომ ის საქართველოს ნაკრებს ვერ გაუმკლავდებოდა.

ამ მატჩის მიმოხილვას აზრი არა აქვს, რადგან ჩვენმა ბიჭებმა მეტოქე ყველა კომპონენტში დაჯაბნეს და დიდი ანგარიშითაც გაიმარჯვეს.

### ისრაელი - ყაზახეთი 5:10

1:3, 2:1, 1:2, 1:4

**ისრაელი:** დიმენშტეინი, უსაჩევი (1), გროსი, კარმონი, შეხტერი (1), იაკობი, ნავე, მარჩიანო, კოტერი (2), იოსიპოვიჩი, დვირი (1), სრური, მწვრთნელი ვინბერგი.

**ყაზახეთი:** ლოპატკინი, ცოი (1), საფიულინი (1), შამშატი, აუბაკიროვი (1), მირზახმეტი, იეშპაევი (1), ბერბელუკი (2), ალტაევი (4), კარმანოვი, ბოგომოლოვი, სიდოროვი, ბეზრუკოვი, მწვრთნელი კნეზევიჩი.

განსაკუთრებული არც ამ შეხვედრაში მომხდარა რამე. ყაზახეთი ფავორიტი იყო და წარმატების მიღწევაც არ გასჭირვებია.

საბოლოოდ გუნდები სატურნირო ცხრილში ასეთი თანმიმდევრობით განლაგდნენ: 1. საქართველო (9 ქულა), 2. ყაზახეთი (6), 3. ისრაელი (3), 4. ჩეხეთი (0).

- კარგია, რომ სამივე შეხვედრა მოვიგეთ და თასი შევინარჩუნეთ, - გვითხრა ტურნირის დამთავრების შემდეგ საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **იოვან პოპოვიჩმა**. - ევროპის პირველობის შესარჩევი ტურნირისთვის ეს წარმატება ჩვენი გუნდის წევრებს ამაღლებულ განწყობას შეუქმნის. სერიოზულად მოვემზადეთ: საწყლოსნო სახეობათა ეროვნული ფედერაციის ხელშეწყობით სერბეთშიც ვიყავით საწვრთნელ შეკრებაზე, სპარინგმატჩებიც გავმართეთ, მაგრამ პირდაპირ გეტყვით: მართალია, შესარჩევი ტურნირის მასპინძლები ვართ (ეს ასპარეზობა „ოლიმპიკში“ 9 მაისიდან გაიმართება), მაგრამ ფავორიტებში სულაც არ მივიჩნევით. გერმანია, ჰოლანდია, სლოვაკეთი და მოლდოვა, რეალურად, ჩვენზე ძლიერები არიან, თუმცა ეს როდი ნიშნავს, რომ ხელი ჩავიქნიოთ. ბიჭებს აღმაფრენა ეტყობათ და ყველაფერს გავაკეთებთ საიმისოდ, რომ იმ ორ გუნდს შორის, რომელიც თბილისში ფინალური ეტაპის საზურს მოიპოვებს, საქართველოს ნაკრებიც იყოს.

### ყაზახეთი-ჩეხეთი 10:3

6:0, 0:1, 1:0, 3:2

**ყაზახეთი:** ლოპატკინი, ცოი, საფიულინი, შამშატი, აუბაკიროვი (2), მირზახმეტი (1), იეშპაევი, ბერბელიუკი (1), ალტაევი (2), კარმანოვი (4), ბოგომოლოვი, სიდოროვი, ბეზრუკოვი, მწვრთნელი კნეზევიჩი.

**ჩეხეთი:** კოცი, რაზლი, შედირი, ბოჰმი, პეტრასი, პერესი, ბრენერი, ჟიროტა, ნეჟლუდა, სემრადი (2), ბისეკი (1), ვიტეკი, ადამჩიკი, მწვრთნელი ჟეპლიკა.

ფარიკაობა

# აფხაზეთის თასის გეოგრაფია ფართოვდება

**თბილისის ტიციან ტაბიძის სახელობის 43-ე საჯარო სკოლაში სამიოდე წლის წინათ შეიქმნა ახალგაზრდებში მსოფლიოს ჩემპიონი მუშკეტერის - ნიკოლოზ ანდრიაძის სახელობის საფარიკაო კლუბი (მწვრთნელი ქეთევან ერემეიშვილი), რომლის წარმომადგენლებიც უკვე საერთაშორისო სარბიელზეც ყოჩაღობენ. ნიკა შენგელიას და ანი აფრასიძის ოჯახები აფხაზეთიდან არიან ოტებულნი. ორივე მოზარდი 43-ე სკოლის საფარიკაო კლუბის წევრია. თანაგუნდელებთან ერთად მათ ამ უქმეებზე საერთაშორისო ტურნირ „აფხაზეთის თასის“ გათამაშებაში (მთავარი მსაჯი - აფხაზეთის ფარიკაობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ზურაბ ლოლუა) იასპარეზეს და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზეც ავიდნენ. ოლიმპიური ჩემპიონის - ვლადიმერ აფციაურის უმცროსმა ქალიშვილმა მარიამმა და ნინო მსუქნიშვილმა კი მესამე ადგილები დაიკავეს.**

საქართველოს ფარიკაობის დარბაზში სამ დღეს გრძელდებოდა „აფხაზეთის თასის“ მეორე გათამაშება, რომელშიც 1999-2001 და 2002-2004 წლებში დაბადებული 80-ზე მეტი მოფარიკავე მონაწილეობდა. მოასპარეზეთა შორის იყვნენ თბილისის, აფხაზეთის, აჭარის, რუსთავის, გურიის, ზესტაფონის, სომხეთის, აზერბაიჯანის, რუსეთის (ჩრდილო ოსეთი), თურქეთისა და ქუვეითის წარმომადგენლები. დაძაბული პაექრობების შემდეგ კვარცხლბეკზე ავიდნენ:

### 1999-2001 წლებში დაბადებულნი

**ხმალი. ბიჭები.** 1. ნიკა შენგელია (აფხაზეთი), 2. ჯავანშიხ აგაკიშიევი (აზერბაიჯანი), 3. ვაჟა რეჭია (აფხაზეთი-ქუთაისი), ხალიდ ასადოვი (აზერბაიჯანი). **გოგონები.** 1. ანა აფრასიძე (აფხაზეთი), 2. მარიამ შუბლაძე (ქუთაისი), 3. მარიამ აფციაური, ნინო მსუქნიშვილი (ორივე - თბილისი).

**რაპირა. ბიჭები.** 1. არმენ დალაქიანი, 2. გაგიკ გულოიანი (ორივე - სომხეთი), 3. გივი ხარტიშვილი (თბილისი), ახმად ალმიტაირი (ქუვეითი). **გოგონები.** 1. მარიამ ცუხიშვილი (აფხაზეთი-რუსთავი), 2. ლიკა ჯიჯეიშვილი (თბილისი), 3. ნანუკა ლეჟავა (თბილისი), ანა მელია (აფხაზეთი-თბილისი).

**დაშნა. ბიჭები.** 1. ედგარ პაშიკიანი, 2. ალან კესაევი (ორივე - რუსეთი), 3. გევორქ არაზიანი (სომხეთი), დავით დვალიშვილი (ქუთაისი). **გოგონები.** 1. მანანა საუმოვა, 2. მარინა კესაევა, 3. ანჟელა კაიტმაზოვა (სამივე - რუსეთი), ანა მელია (აფხაზეთი-თბილისი).

**2002-2004 წლებში დაბადებულნი. რაპირა. ბიჭები.** 1. გიორგი ხანდაველი (აფხაზეთი-რუსთავი), 2. ხაჩატურ არუთინიანი (სომხეთი), 3. ლევან ჟიჟიშვილი (ქუთაისი), ალექსანდრე დავიდოვი (თბილისი). **გოგონები.** 1. კესო ხურციძე (ქუთაისი), 2. ნანა რაზმაძე, 3. ნუცა ცაბაძე (ორივე - თბილისი), ქრისტინე მგალობლიშვილი (რუსთავი).

**ხმალი. ბიჭები.** 1. გიორგი მერკვილაძე (ქუთაისი), 2. გიორგი მარხულია (აფხაზეთი), 3. რუსტამ ახმედოვი (აზერბაიჯანი), ვატო არჩვაძე (თბილისი). **გოგონები**. 1. თამარ ჩარკვიანი (ქუთაისი), 2. აისელ ანადოვა, 3. პისტახანუმ დადაშევა (ორივე - აზერბაიჯანი), ნინო ლომთაძე (ქუთაისი).

**დაშნა. ბიჭები.** 1. მარტინ მკრტიჩიანი (სომხეთი), 2. თორნიკე ჩხეტიანი (ქუთაისი), 3. ლევონ გრიგორიანი (სომხეთი), თორნიკე ხომერიკი (ოზურგეთი). **გოგონები.** 1. ანა მაჩიტიძე (ზესტაფონი), 2. ულკეზ ჰუმბათლი (აზერბაიჯანი), 3. თინათინ ნუცუბიძე, მარიამ ლაჭავა (ორივე - ქუთაისი).

შეჯიბრებას ესწრებოდა რაპირაში საბჭოთა კავშირის 1982 წლის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი **ზურაბ აფციაური** (ოლიმპიური ჩემპიონის - ვლადიმერ აფციაურის ბიძაშვილი), რომელიც 14 წელიწადია, ქუვეითში მუშაობს მწვრთნელად.




მარცხნიდან - ანა მაჩიტიძე, ანა აფრასიძე, მანანა საუმოვა, არმენ დალაქიანი, ნიკა შენგელია

- „ალ-ყაციას“ კლუბის მწვრთნელი ვარ. ერთი შეგირდი ჩამოვიყვანე, რომელმაც საპრიზო ადგილი დაიკავა. ვლადიმერ აფციაურის სამშობლოს ნახვა ბევრ მოზარდს უნდოდა, მაგრამ ახლა სკოლებში გამოცდები აქვთ და ამიტომ ჩვენთან ერთად წამოსვლა ვერ შეძლეს. უბრალოდ, მიხარია, ამდენ ქართველ ნიჭიერ მოზარდს რომ ვხედავ შეჯიბრებაზე. ფარიკაობა ჩვენს ერს სისხლში აქვს გამჯდარი, ამიტომაცაა ამდენი ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონი რომ გვყავს. პრიზიორებზე აღარაფერს ვამბობ.

როგორც შევიტყვე, დღეს ჩვენთან ბევრ ახალგაზრდას სურს ფარიკაობაში ვარჯიში, მაგრამ მწირი შესაძლებლობები ამის საშუალებას არ იძლევა. ეროვნულ ფედერაციას შესანიშნავი საფარიკაო დარბაზი აქვს, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. ვიმედოვნებ, რომ ქვეყნის მესვეურები საქართველოში ფარიკაობის განვითარებას მეტ ყურადღებას მიაქცევენ. ქუვეითელებს სურთ, ვლადიმერ აფციაურის სამშობლო ნახონ. თუ თბილისში ვოვას მემორიალი გაიმართება, ჩვენი კლუბი დიდი გუნდით ჩამოვა“, - გვითხრა ზურაბ აფციაურმა.

- თბილისურ ტურნირებზე ზედიზედ მესამედ ვასპარეზობთ, - გვითხრა ოსეთის მოფარიკავეთა ნაკრების მწვრთნელმა **ირინა კისაევამ.** - წინა წლებში თუ მოკრძალებული შემადგენლობა გვყავდა, ამჯერად 23 სპორტსმენით გსტუმრობთ. ახლო ურთიერთობა მაკავშირებს ქართველ კოლეგებთან. ვიცით, რომ აქ სიყვარულით გველიან, რაც გვახარებს. სწორედ ჩვენ, სპორტსმენებმა, უნდა გავალხოთ ყინული და ჩვენს ერებს შორის უწინდელი მეგობრობა აღვადგინოთ. ისე, თუ ვინმე ხელს არ შეგვიშლის, აღსადგენიც იქნებ არაფერი იყოს. მე ხომ ქართველ მეგობრებთან ურთიერთობა არ გამიწყვეტია, სხვებიც ასე არიან. აგერ, ჩვენი მანანა საუმოვა მეორედ გახდა აფხაზეთის თასის მფლობელი. მამამისი წარმოშობით თბილისელია. აქ უამრავი ნათესავი ჰყავს და მასაც მოუხარია საქართველოს დედაქალაქისკენ. თანაგუნდელებიც მას ბაძავენ. აქ დამეგობრებულნი საერთაშორისო სარბიელზეც ქომაგობენ ერთმანეთს. საფარიკაო ბილიკებზე წარმატებასთან ერთად ჩვენი მიზანი ხომ მოზარდი თაობის დამეგობრებაცაა.

სპორტული აკრობატიკა



წლეულს შვიდი მაისიდან ბულგარეთი სპორტულ აკრობატიკაში დიდ საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლებს. იმ

# მედლებიც, საგზურებიც...

შეჯიბრებაში **სვეტლანა ფეიქრიშვილის** ხელმძღვანელობით იასპარეზებენ ქართველი სპორტსმენებიც: **ანი ჯოხაძე, ნინო სირაძე** (გოგონათა წყვილებში), **მარიამ ფოფხაძე, თინათინ პარნიკანაშვილი, გვანცა მურღულია** (სამეულებში), **გიორგი ოქროპირიძე, ტარიელ სირაძე** (ვაჟთა წყვილებში). მათ ეს უფლება საქართველოს ჩემპიონატში გამარჯვებით დაიმსახურეს (ბულგარეთში მსაჯებად არიან მიწვეული საერთაშორისო კატეგორიის არბიტრები - **ნინო ბერიანიძე** და **დალი ფეიქრიშვილი**). ამ შეჯიბრებას კი გიორგი ეგნატაშვილის სახელობის ტანვარჯიშის სახეობათა ოლიმპიური ცენტრის დარბაზმა უმასპინძლა. პირველობისთვის თბილისის, აჭარის, ქუთაისის, რუსთავისა და მარნეულის 80-ზე მეტი სპორტსმენი იბრძოდა. განსაკუთრებით დიდი კონკურენცია იყო გოგონათა წყვილებში საერთაშორისო პროგრამით. არც არის გასაკვირი, რადგან გამარჯვებული ოქროს მედალთან ერთად ბულგარეთის საერთაშორისო ტურნირზეც გაემგზავრებოდა. 29,3 ქულით პირველი ადგილი თბილისელებმა - ნინო სირაძემ და ანი ჯოხაძემ დაიკავეს. მათ 0,3 ქულით ჩამორჩა ბათუმელთა დუეტი - ლანა ცეცხლაძე და ლელა ქადამაძე. 27,9 ქულით მესამე ადგილზე ქუთაისელები - თინათინ რიჟამაძე და თინათინ თედორაძე გავიდნენ. გოგონათა სამეულში ტოლი არ ჰყავდათ თბილისელებს - მარიამ ფოფხაძეს, თინათინ პარნიკანაშვილსა და გვანცა მურღულიას (28,95). ვაჟთა წყვილებში, ასევე, დედაქალაქელებმა - ტარიელ სირაძემ და გიორგი ოქროპირიძემ იმარჯვეს (27,05). ვაჟთა ჯგუფური პირველობა ლაზარე გელაშვილმა, გოგა ჩინჩალაძემ, ოთარ ავლოხაშვილმა და ნიკა ბროლაშვილმა (16,15) მოიგეს.

პირველთანრიგოსნებში კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ: **გოგონათა წყვილი.** თამარ და მარი სიხარულიძეები (ბათუმი, 18,925); **გოგონათა სამეული.** სალომე გოგილაშვილი, თეონა ტაბატაძე, სალომე მაისურაძე (თბილისი, 17,765). **შერეული წყვილი:** გიგა იმნაძე, მილენა ჩარგეიშვილი (ბათუმი, 18,875).

გვერდი მოამზადა
**ვაჟა დანელიამ**
*ავტორის ფოტოები*

სუპერლიგა 2012-13. 1/4-ფინალი

ეროვნული ბიბლიოთეკა



თამუნა კულუმბეგაშვილის ფოტოები



ორი განსხვავებული ემოცია

# არმიას ნახევარფინალური არია

## თემური და მისი რაზმი, რუსთავში ქუთაისმა გაათანაბრა

27 აპრილი, თბილისი

| | არმია | დინამო |
|---|---|---|
| | 68 | 67 |

| | I | II | III | IV |
|---|---|---|---|---|
| არმია | 23 | 11 | 22 | 12 |
| დინამო | 23 | 16 | 13 | 15 |

| არმია | ნთ | მ | პ | შ | ჩ | ღ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| გამყრელიძე | 33 | 3 | 12 | 1 | 0 | 0 | 12 |
| ბაბიაშვილი | 27 | 12 | 2 | 1 | 0 | 0 | 9 |
| ბოისა | 20 | 6 | 0 | 1 | 0 | 0 | 3 |
| წივწივაძე | 19 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| გ. ლეჟავა | 21 | 1 | 1 | 1 | 0 | 0 | 10 |
| საყვარელიძე | 7 | 1 | 1 | 0 | 2 | 0 | 0 |
| შარაბიძე | 31 | 4 | 2 | 1 | 0 | 0 | 10 |
| ჯგერენაია | 6 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ფარლალავა | 31 | 4 | 0 | 3 | 2 | 0 | 24 |

| დინამო | ნთ | მ | პ | შ | ჩ | ღ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| კარიმი | 36 | 1 | 5 | 2 | 2 | 0 | 14 |
| ს. ლეჟავა | 13 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ჩიკვილაძე | 33 | 4 | 5 | 1 | 1 | 1 | 11 |
| ლილუაშვილი | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| კეიდია | 10 | 0 | 1 | 4 | 0 | 0 | 0 |
| ორმოცაძე | 11 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 |
| კარტერი | 35 | 11 | 1 | 1 | 1 | 0 | 22 |
| ოლუიჩი | 29 | 14 | 1 | 1 | 1 | 1 | 6 |
| კლიმენი | 26 | 5 | 1 | 1 | 1 | 1 | 11 |

სერია მოიგო „არმიამ“ - 2:1

28 აპრილი, რუსთავი

| | რუსთავი | ქუთაისი |
|---|---|---|
| | 75 | 79 |

| | I | II | III | IV |
|---|---|---|---|---|
| რუსთავი | 17 | 25 | 18 | 15 |
| ქუთაისი | 20 | 14 | 19 | 26 |

| რუსთავი | ნთ | მ | პ | შ | ჩ | ღ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ბოუი | 38 | 5 | 6 | 5 | 1 | 0 | 18 |
| სტეფანოვი | 19 | 7 | 2 | 0 | 0 | 0 | 12 |
| ცეკვავა | 33 | 3 | 0 | 4 | 0 | 0 | 14 |
| აბაიშვილი | 8 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 3 |
| ჩაჩანიძე | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ნელსონი | 39 | 10 | 4 | 1 | 2 | 1 | 11 |
| ტუჯანი | 23 | 9 | 3 | 4 | 1 | 2 | 2 |
| ათანელიშვილი | 16 | 5 | 1 | 1 | 0 | 0 | 9 |
| ხმელიძე | 18 | 3 | 0 | 1 | 0 | 0 | 6 |

| ქუთაისი | ნთ | მ | პ | შ | ჩ | ღ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ფაშაევი | 35 | 4 | 7 | 2 | 5 | 0 | 14 |
| ბაბუნაშვილი | 35 | 1 | 5 | 1 | 1 | 1 | 23 |
| დიდია | 28 | 4 | 5 | 0 | 0 | 1 | 8 |
| კვიმსაძე | 10 | 1 | 1 | 0 | 2 | 1 | 2 |
| დ. ბარბაქაძე | 22 | 2 | 1 | 0 | 0 | 0 | 9 |
| გ. ბარბაქაძე | 38 | 8 | 0 | 3 | 2 | 1 | 18 |
| კოლუაშვილი | 3 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 |
| მათიაშვილი | 26 | 6 | 0 | 1 | 0 | 1 | 5 |

სერიაში ანგარიშია 1:1

კალათბურთის ქართველ გულშემატკივარს ემახსოვრება 3-4 წლის წინათ სუპერლიგის მეოთხედფინალებში გამარჯვებულები ორი მატჩის ჯამში იოლად რომ ვლინდებოდნენ. მეტსაც გეტყვით, ეს ეტაპი ფორმალურ ხასიათს ატარებდა. დღეს კი ოთხიდან სამ შეხვედრაშო თანაბარი ბრძოლა ვიხილეთ. ორში კი გამარჯვებულის გამოვლენას დამატებითი მატჩი დასჭირდა.

სადღეისოდ ერთი ნახევარფინალური წყვილი ცნობილია: „ოლიმპი“-“არმია“, მეორეში „შსს აკადემია“ „რუსთავი“-“ქუთაისს“ შორის გამარჯვებულს შეხვდება.

### არმია-დინამო

მეოთხედფინალური სერიის სამ წყვილში ნებისმიერ ადამიანს შეეძლო ევარაუდა გამარჯვებულის ვინაობა, მაგრამ „დინამო“-“არმიას“ წყვილში კალათბურთში ჩახედული კაცი ფავორიტს ვერ გამოყოფდა. „არმიას“ თავკაცმა **კოტე ტულუშმა** პრესკონფერენციაზე თქვა: იანვრის შემდეგ „დინამო“ და „არმია“ სხვადასხვა გუნდებია. პირველში ტრავმირებული ლეგიონერები მომჯობინდნენ და გუნდი ერთი-ორად გაძლიერდა, ხოლო „არმია“ დეკემბრის შემდეგ ყველა უცხოელმა დატოვაო. ასეთმა ცვლილებებმა გუნდების ძალები გაათანაბრა და ვიხილეთ საოცრად თანაბარი მეოთხედფინალური სერია. ამას ციფრებიც ადასტურებს: პირველი მატჩი „დინამომ“ 67:66 მოიგო, მეორე ფრედ დასრულდა - 67:67 (ოვერტაიმში „არმიამ“ იმარჯვა), ხოლო მესამე, გადამწყვეტი დაპირისპირება შაბათს სპორტკომპლექს „არენაში“ შედგა და ისიც ერთქულიანი სხვაობით დასრულდა - 68:67.

დინამოელთა თავკაცმა **ირაკლი ხოშტარიამ** შეხვედრა ერთგვარ საქანელას შეადარა, უპირატესობა ხელიდან ხელში ძალიან ხშირად გადადიოდა. ლიდერი ოცჯერ შეიცვალა, ხოლო ანგარიში 14-ჯერ (!) გათანაბრდა. ასევე საკვირველია, მაგრამ ფაქტია, რომ ყველაზე დიდი სხვაობა მხოლოდ 7 ქულა იყო, ისიც „დინამო“ დაწინაურდა. „არმიამ“ კი ყველაზე მეტი, 4 ქულით მოახერხა დაწინაურება.

თანაბარი თამაში ყოველთვის საინტერესო სანახავია, მაგრამ სერიას დრამატულობას ისიც მატებდა, რომ სამივე შეხვედრაში გაიმარჯვა იმან, ვისაც ანგარიშში უპირატესობის მოპოვება უჭირდა. მაგალითად, სერიის პირველ მატჩში 34 წუთის განმავლობაში წინ „არმია“ იყო. გამარჯვება დინამოელებს დარჩათ. მეორე შეხვედრაში პირიქით მოხდა: „დინამო“ 23:37 წუთით იყო წინ, „არმია“ - 16:58-ით და მოგება ამ უკანასკნელს დარჩა. ამ ლოგიკით, მესამე შეხვედრაში არმიელებს უნდა ემარჯვათ, რადგან ბურთს უმეტესად „დინამო“ ფლობდა (19:22/14:16). ასეც მოხდა.

როცა ძალთა თანაფარდობაზე ვლაპარაკობთ, სათამაშო სტილიც უნდა ვახსენოთ: ცენტრზე ორიენტირებული არც ერთი გუნდია. ორივე სწრაფ, ლაღ კალათბურთს თამაშობს და ამიტომაც ვიხილეთ ამ გუნდების შესრულებით ყველაზე სანახაობრივი სერია. თუმცა იმასაც დავამატებთ, რომ მეტოქეებს ერთმანეთი დეტალურად ჰყავდათ შესწავლილი და მთავარი კოზირის გამოყენების, სწრაფი გარღვევის უფლებას არ აძლევდნენ.

■ ■ ■

უნდა ვახსენოთ ქომაგებიც. თუნდაც ამიტომ ორივე გუნდი ნახევარფინალს მიღმა დასარჩენად დაგენანებოდათ. ქომაგი ხომ ყოველ შეხვედრას განსაკუთრებულ ხიბლს სძენდა. ასეა თუ ისე, ერთი გუნდი ჩემპიონობისთვის ბრძოლას უნდა გამოთიშვოდა. ერთ მხარეს იყო ქართველებით შევსებული, ცენტრის გარდა ყველა კომპონენტში თანაბრად დაკომპლექტებული „არმია“, მეორე მხარეს - ოთხი უცხოელითა და ახალგაზრდა ქართველებით მოთამაშე „დინამო“, რომლის მწვრთნელმა ირაკლი ხოშტარიამ პრესკონფერენციაზე თქვა - ჩვენი წაგების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი მოკლე სათადარიგოთა სკამიაო. როგორც მიხვდით, გაიმარჯვა „არმიამ“. მეოთხედფინალურმა სერიამ საინტერესო რამ დაგვანახა: „არმიას“ ჰქონდა ის რაც „დინამოს“ აკლდა და - პირიქით. დაგიკონკრეტებთ: „არმიას“ ჰყავდა სუპერლიგაში ჭიპმოჭრილი, გამოცდილი ქართველი კალათბურთელები, ხოლო „დინამოს“ - ლეგიონერები. ხოშტარიას გუნდში ორი-სამი გამოცდილი ქართველიც რომ ყოფილიყო, დღეს ნახევარფინალში ითამაშებდა, ხოლო „არმიას“ დინამოელთა დონის ორი-სამი ლეგიონერი რომ ჰყოლოდა, შესაძლოა, ნახევარფინალის საგზური ორი მატჩის ჯამში მოეპოვებინა.

■ ■ ■

არაფერი გვითქვამს უშუალოდ მესამე შეხვედრის მსვლელობაზე. ყველაზე უინტერესო სწორედ თანაბარი თამაშის ქრონოლოგიის მიმოხილვაში გადმოცემაა. ამას არც ვაპირებთ, უბრალო ქრონოლოგიას შემოგთავაზებთ, მანამდე კი მოგახსენებთ, რომ „დინამომ“ დიდი სამუშაო გასწია მანამდე შეუჩერებელი მეფარის **გიორგი შარაბიძის** შესაფერხებლად. მან თუ წინა ორ მატჩში 50 ქულა მოაგროვა, ამჯერად 10-ს დასჯერდა. თავის მხრივ, მესამე პერიოდის დასაწყისში ტრავმა მიიღო დინამოელთა ცენტრმა **მილან ოლუიჩმა**, რომელსაც სერიოზული დაზიანება დიდი ხნის მოშუშებული არა აქვს. მისი სათადარიგოთა შორის გადანაცვლება გუნდს საგრძნობლად დაეტყო, თუმცა თამაშის ჩამთავრება მაინც შეძლო.

ზაზა ფაჩულიასა და სხვა ქართველებისგან ტრავმის მიუხედავად თამაშს ყოველთვის მადლიერებით აღვნიშნავთ, მაგრამ როცა ამას უცხოელი ქართული გუნდისთვის აკეთებს, დიდად დასაფასებელია. ამიტომ, **კარტერისა** და ოლუიჩის პიროვნულ თვისებებს დადებითი კუთხით აუცილებლად უნდა გავუსვათ ხაზი. თან, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სწორედ კარტერი იყო, გადამწყვეტ წუთებზე დინამოელთა მთავარი მექული.

ქრონოლოგიის გაცნობამდე მკითხველის ყურადღებას გავამახვილებთ **ლაშა გამყრელიძეზე**, რომელმაც ბოლო წუთებზე ჯერ სამქულიანი ჩააგდო, შემდეგ, სირენამდე 8 წამით ადრე მეტოქის ფარქვეშ შეიჭრა, ორი საჯარიმოს ტყორცნის უფლება მოიპოვა და ორივე ჩააგდო - 68:67.

დარჩენილ 6 წამში ბურთი დინამოელებმა შეიყვანეს, **ბექა ჩიკვილაძემ** სამქულიანი სტყორცნა, მაგრამ მიზანს ვერ უწია და გამარჯვება არმიელებს დარჩათ.

### ქრონოლოგია

#### IV პერიოდი

| | |
|---|---|
| 6:11 | ოლუიჩი (დინამო) 2ქ - 57:61 |
| 5:42 | შარაბიძე (არმია) 2ქ - 59:61 |
| 4:10 | ლეჟავა (არმია) 3ქ - 62:61 |
| 3:51 | კარტერი (დინამო) 2ქ - 62:63 |
| 3:35 | გამყრელიძე (არმია) 3ქ - 65:63 |
| 2:00 | კარტერი (დინამო) 2ქ - 65:65 |
| 1:38 | ბაბიაშვილი (არმია) 1ქ - 66:65 |
| 1:18 | კარტერი (დინამო) 2ქ - 66:67 |
| 0:08 | გამყრელიძე (არმია) 1+1ქ - 68:67 |

ნამატჩევს პრესკონფერენციაზე მწვრთნელებმა სწორედ გამყრელიძე და ჩიკვილაძე იახლეს. დინამოელთა დამრიგებელმა ირაკლი ხოშტარიამ ორივე კალათბურთელზე ილაპარაკა და ჟურნალისტების მხრიდან დასმულ ლოგიკურ კითხვაზე: მიმდინარე სეზონის მიხედვით იმსახურებენ თუ არა ისინი ეროვნული ნაკრების გაფართოებულ სიაში მოხვედრას უპასუხა:

- როგორ შეიძლება გამყრელიძე ნაკრების სიაში არ იყოს?! მის გვერდით მითამაშია, დიდ პატივს ვცემ და დღესაც დაამტკიცა, რომ მაღალი დონის კალათბურთელია. რაც შეეხება ბექა ჩიკვილაძეს, მიმაჩნია, რომ მიმდინარე სეზონში ჩატარებული მატჩების მიხედვით მანაც დაიმსახურა ნაკრების გაფართოებულ სიაში მოხვედრა.

ვნახოთ, ჟურნალისტებისა და ირაკლი ხოშტარიას მოსაზრება დაემთხვევა თუ არა **იგორ კოკოშკოვის** შეხედულებას.

კოტე ტულუში („არმიას“ მწვრთნელი):

- მადლობა ,,დინამოს'', რომელიც ძალიან ძლიერი გუნდია. როგორც წინა თამაშზე აღვნიშნე, ეს სერია კალათბურთის გულშემატკივარს გულგრილს ვერ დატოვებდა. ძალიან სანახაობრივი, დაძაბული და საინტერესო იყო სამივე თამაში. დღეს იღბალიც ჩვენს მხარეს იყო და ამიტომაც გავიმარჯვეთ, მადლობა ჩემს ბიჭებს თავდადებისთვის და კიდევ ერთხელ მადლობას ვეტყვი ,,დინამოს''.

ირაკლი ხოშტარია („დინამოს“ მწვრთნელი):

- რეგულარული ჩემპიონატის დროს აღვნიშნე, რომ იყო ერთი გუნდი, რომელიც არ მინდოდა შემხვედროდა. დღეს ვიტყვი, რომ ეს გახლდათ ,,არმია''. მიუხედავად ამისა, ჩვენ გვქონდა შანსი. კოტეს დავეთანხმები, რომ ბოლო წამზე გადაწყდა ყველაფერი. მივულოცავ ,,არმიას'', უნდა აღვნიშნო კოტე ტულუშის დიდ შრომა და ვამაყობ, რომ კოტე ის მწვრთნელია, რომელმაც დაიმსახურა და მოგვიგო. წარმატებებს ვუსურვებ მას და მთელ ,,არმიას''. მადლობას ვეტყვი ჩემს ბიჭებს, ბექა ჩიკვილაძეს, რომელიც ნამდვილი კაპიტანია. მან ყველაფერი გააკეთა, რომ ჩვენ შევმდგარიყავით, როგორც გუნდი. ვამაყობ ჩიკვილაძით და ვამაყობ ჩემი ყველა მოთამაშით. მადლობა მათ. წაგება არის მწვრთნელის ბრალი და დღევანდელ მარცხს ჩემს თავზე ვიღებ.

ლაშა გამყრელიძე („არმია“):

- შესანიშნავი თამაში გამოვიდა, მაყურებელმაც ისიამოვნა და მოთამაშეებმაც. „დინამო“ ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია და დასანანია რომ ოთხეულის გარეთ დარჩა. იმედია, აღვიდგენთ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალებს და საბრძოლველად მზად ვიქნებით „ოლიმპთან“ შეხვედრისთვის.

ბექა ჩიკვილაძე („დინამო“):

- „დინამო“ ჩემთვის ნამდვილის ოჯახია. ჩვენს გუნდში არაჩვეულებრივი ატმოსფერო იყო, ყველაფერი გავაკეთეთ, რომ სასურველი შედეგისთვის მიგვეღწია. ბოდიშს ვუხდი ჩემს გუნდს ბოლო აცილებული სროლისთვის, კალათბურთია და არ გაგვიმართლა. ბოდიში ყველა გულშემატკივარს.

### რუსთავი-ქუთაისი

დაძაბულობით „დინამო“-“არმიას“ არც „რუსთავი“-“ქუთაისი“ ჩამორჩება. საინტერესო ისიც არის, რომ სერია ჯერჯერობით სტუმრებისაა: ჯერ „რუსთავი“ ჩავიდა ქუთაისში და გამარჯვება ქვემო ქართლში წაიღო, გუშინ ქუთათურებმა იმარჯვეს რუსთავში. გადამწყვეტი შეხვედრა 29 მარტს ისევ ქვემო ქართლში გაიმართება.

საოცარი გამოდგა გუშინდელი შეხვედრის დაბოლოება: 10 წამით ადრე „რუსთავი“ 75:72-ს იგებდა, როცა **თემურ ბაბუნაშვილმა** სამქულიანით ანგარიში გაათანაბრა. გავიდა წამი და მეტოქის შეცდომა თემურმა 2 ქულად აქცია, მან დარჩენილ დროში კიდევ ერთი ჩაჭრა მიითვალა, ორი საჯარიმო გამოიყენა და საფინალო ანგარიში დააფიქსირა - 79:75.

დავით უსტიაშვილი („ქუთაისის“ მწვრთნელი):

- სერიის მატჩები დაძაბულად მიმდინარეობს. ყველაფერს თითო სროლა წყვეტს. ასე იყო ქუთაისში 2 დღის წინ და ასე მოხდა რუსთავშიც. ორივე გუნდი იმსახურებდა გამარჯვებას და სამწუხაროა, რომ საბოლოოდ ერთი ჩვენგანი ნახევარფინალს მიღმა დარჩება. თითქმის გამოუვალი სიტუაციიდან მოვახერხეთ თავის დაძვრენა და სერიაში ანგარიში გავათანაბრეთ. მესამე შეხვედრაში ის გუნდი გაიმარჯვებს, რომელიც ფსიქოლოგიურად უკეთესად შეხვდება.

ნეით ბოუი („რუსთავი“):

- ყველაფერი გავაკეთეთ გამარჯვებისთვის, ახლოსაც ვიყავით მოგებასთან, მაგრამ ბოლო წუთზე საბედისწერო შეცდომები დავუშვით. ქუთაისელებმა დიდებულად ითამაშეს, ფაშაევმა და ბაბუნაშვილმა უმნიშვნელოვანესი სროლები ჩააგდეს. ვეცდებით, მესამე მატჩში გამარჯვებას მივაღწიოთ.

ვაჟა სიმონიშვილი

● ინტერვიუ გიორგი გოგშელიძესთან და ოთარ თუშიშვილთან

# შრომის ნაყოფი ევროპის ჩემპიონატზე გამოჩნდება


გიორგი გოგშელიძე (მარცხნივ) და ოთარ თუშიშვილი

მას შემდეგ, რაც საქართველოს თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ახალგაზრდული ნაკრები ახლო წარსულის ცნობილმა ფალავნებმა გიორგი გოგშელიძემ და ოთარ თუშიშვილმა ჩაიბარეს, მოსამზადებელ შეკრებასთან ერთად გუნდმა ორ საერთაშორისო ტურნირშიც იასპარეზა ჯერ რიგის ფეიდენფელდსის თასზე, ახლახან კი აზერბაიჯანის ფედერაციის თასზე იასპარეზა. რიგაში სამი პირველი და თითო II-III ადგილები მოიპოვეს (ამის შესახებ წერდა „ლელო"). ბაქოში გამარჯვებულები გახდნენ გენო პეტრიაშვილი (120 კგ) და შოთა ფარტენაძე (60). ვერცხლის მედლები ბექა ბუჯიაშვილს (55) და ნოდარ ანდრიაძეს (96) ერგოთ, მესამეზე გავიდა გიორგი კაკაურიძე (96). ხსენებულ ტურნირებზე და სამომავლო გეგმებზე ნაკრების ახალ მწვრთნელებს ვესაუბრეთ.

**გიორგი გოგშელიძე:**

- ბაქოში ჩვენი მოჭიდავეების მიერ მოპოვებული მედლების ხარისხით და ოდენობითაც კმაყოფილი ვარ.

**- გუნდში ყველაზე გამოცდილი და ტიტულოვანი გენო პეტრიაშვილია (120 კგ). მან რიგის ტურნირი გამოტოვა, მაგრამ დამაჯერებლად გაიმარჯვა ახლანდელ შეჯიბრებაზე.**

- გენომ ფინალამდეც ბრწყინვალედ იჭიდავა და ფინალშიც. გადამწყვეტ დაპირისპირებაში აზერბაიჯანელ ალი მაგომედდაბიროვს შეხვდა, რომელთანაც შარშან ამავე შეჯიბრებაზე ფინალში წააგო. საერთოდაც მასთან უარყოფითი ბალანსი ჰქონდა პეტრიაშვილს. ასეთ ასაკში, როდესაც ვინმესთან ერთზე მეტ შეხვედრას აგებს სპორტსმენი, ერთგვარი კომპლექსი უყალიბდება მეტოქის მიმართ. სასიხარულოა, რომ ჩვენი ფალავანი მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა. იმედია, ასე იქნება მომავალშიც.

**- სხვა წონით კატეგორიებშიც ხომ არაა ფავორიტების ვინაობა გამოკვეთილი?**

- ჯერ ნაადრევია ამაზე ლაპარაკი. საქართველოს ახალგაზრდული ჩემპიონატის შემდეგ გამარჯვებულები არიან ფავორიტები. პრიზიორების ჩართვა კი იმითაა განპირობებული, რომ მათი წინსვლა არ შეფერხდეს. თუმცა თუ დაიმსახურებენ, რასაკვირველია, ყურადღება არ მოაკლდებათ.

ევროპის ჩემპიონატისთვის გადამწყვეტი იქნება მოჭიდავის მზადყოფნა და არა ცალკეული შეჯიბრებაზე მიღწეული შედეგი.

**- მოახლოებულ ბაკურიანულ შეკრებასა და მომდევნო შეჯიბრებაზეც გვითხარით.**

- აუცილებლად მიმაჩნია ამ ეტაპზე ფიზიკურ - ფუნქციური შეკრების მაღალმთიან ზონაში ჩატარება. საამისოდ ყველაზე მოხერხებული ბაკურიანია. შეკრებას 12 მაისს დავიწყებთ, თვის ბოლოს კი ანკარის ტურნირზე გამოვალთ.

**- აქტიური კარიერა ცოტა ხნის წინათ დაასრულეთ. რამდენად საინტერესოა თქვენი ახალი ამპლუა და ადვილი იყო თუ არა ადაპტაცია?**

- როცა ვჭიდაობდი, ყოველთვის მყავდა ისეთი სპორტსმენი, ვისაც ვეხმარებოდი ვარჯიშში, დარიგებას ვაძლევდი. მე რუსეთის და საქართველოს სამწვრთნელო სკოლის წარმომადგენელთა ხელში ვარ გამოზრდილი, რომელთა დონეზე ზედმეტიცაა ლაპარაკი. მუდამ დეტალურად ვაკვირდებოდი მათ მუშაობას და შემიძლია ვთქვა, რომ ბევრი რამ ვიცი ამ სფეროდან. ახლა კი მინდა ჩემი ცოდნა ქვეყანას გამოადგეს. რასაკვირველია, ეს სულაც არაა იოლი საქმე, მაგრამ მე მსიამოვნებს ჩემი ამჟამინდელი საქმიანობა.

***ოთარ თუშიშვილი:***

- ბაქოს ტურნირი რიგისაზე უფრო მაღალი დონის იყო. ლატვიაში ძირითადად ევროპელები მონაწილეობდნენ, აზერბაიჯანში კი მათ დაემატნენ მასპინძლებისა და თურქების საკმაოდ კარგი გუნდები. თუმცა რუსეთიდან რიგაში უფრო ძლიერი მოჭიდავეები იყვნენ, ვიდრე ბაქოში. ორივე შეჯიბრებაში ჩვენი სპორტსმენების გამოსვლა დამაკმაყოფილებელი გამოდგა.

**- ნაკრების ლიდერი გენო პეტრიაშვილია. კიდევ ვის მიიჩნევთ გუნდში ფავორიტად?**

- სტაბილური შედეგებით შოთა ფარტენაძე (60 კგ) გამოირჩევა. მისი კარგი ჭიდაობა საქართველოს ჩემპიონატის მსვლელობისას აღვნიშნე, მომდევნო შეჯიბრებებზე ფარტენაძემ განამტკიცა ჩემი შეხედულება.

**- შედეგიანობით ბექა ბუჯიაშვილის გამორჩევაც შეიძლება, თუმცა მან როგორც რიგაში, ისე ბაქოში გადამწყვეტი დაპირისპირებები დათმო. ფინალის ერთგვარი კომპლექსი ხომ არ ჩამოუყალიბდა?**

- არა. რიგის შემდეგ გარკვეული შენიშვნები გვქონდა და ჭიდაობის სტილიც ოდნავ შევაცვლევინეთ, რაც კარგად წაადგა. ამას თავადაც აღნიშნავს. ლატვიაში ფინალი ყაზახმა ვლადიმერ კუდრინმა მოუგო, ბაქოში კი ბექამ პირველივე შეხვედრაში სწორედ ის დაამარცხა დამაჯერებლად. შემდეგი ეტაპებიც შესანიშნავად განვლო, მაგრამ მძიმე ბრძოლების გადამლახავს ფინალამდე ძალა აღარ მიჰყვა.

**- ზოგიერთ წონაში ნაკლები კონკურენციაა, ზოგშიც უშედეგობა, რაც ამ წონებში სისუსტეს გვაფიქრებინებს.**

- გეთანხმებით, თუმცა ჩვენი მუშაობის ნაყოფი ევროპის ჩემპიონატზე უნდა გამოჩნდეს. სამუშაო პროცესი მიდის და შეცდომების გამოსასწორებლად ჯერ დრო გვაქვს. მნიშვნელოვანი იქნება ბაკურიანის შეკრება. ხალიჩაზე შეგირდებთან იმ დოზით აქამდე არ გვიმუშავია, რაც ბაკურიანში მოგვიწევს.

**- ახალ ამპლუაში გოგშელიძის დარად თქვენც ცოტა ხნის წინათ მოგვევლინეთ.**

- რა თქმა უნდა, გაცნობიერებული მაქვს ნაკრების მწვრთნელის პასუხისმგებლობა. ვცდილობთ და იმედია, შრომა დაგვიფასდება.

**ვასილ ბალახაძე**

● რეგიონი. სროლა

# ქუთაისს სასროლეთი შეემატა

## ახალი ტირი და ახალი ტურნირი

პნევმატური პისტოლეტიდან სროლაში საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის ისმაელ გირგვლიანის სახელობის გარდამავალი თასის გათამაშება ქუთაისში, რეაბილიტირებულ დახურულ ტირში ჩატარდა, შეჯიბრების ბოლოს კი საზეიმო ვითარებაში სასროლეთის ოფიციალური გახსნაც მოეწყო. ტურნირის ფინალურ ეტაპს, რომელიც ბზობის ბრწყინვალე დღესასწაულს დაემთხვა, ადგილობრივ სპორტის ხელმძღვანელებთან ერთად სტუმრობდნენ საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი, ოლიმპიური ჩემპიონი ტყვიის სროლაში **ნინო სალუქვაძე** და სროლის ფედერაციის პრეზიდენტი **კახა ბექაური.** ისინი ახალგარემონტებული ბაზით კმაყოფილებას ვერ ფარავდნენ. „ქუთაისმა ამ მნიშვნელოვან საქმეში თბილისსაც და სხვა რეგიონებსაც დაასწრო და ქალაქში პატარა, კოხტა ტირი მოეწყო. დიდი მადლობა ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების ხელმძღვანელს, ბატონ დავით აბულაძეს, რომელმაც ამ ტირის აღდგენა ითავა. აქამდე შეჯიბრებები ყოველთვის დედაქალაქში ტარდებოდა, ახლა კი ქუთაისში პირველი გასვლითი ტურნირიც გავმართეთ. ეს აუცილებელიც იყო, ერთ სასროლეთში ვარჯიში და შეჯიბრება არ იძლევა კარგ შედეგებს, მსროლელისთვის გარემოს ცვლა მნიშვნელოვანია. ვეცდებით, რაც შეიძლება მეტი რეგიონი დავტვირთოთ და მთავრობის ხელშეწყობით გავაკეთოთ კომპლექსური ბაზები, სადაც ტყვიის სროლასთან ერთად სხვა სპორტის სახეობებისთვისაც მოეწყობა ბაზები", - თქვა ნინო სალუქვაძემ.

კახა ბექაური: „ნანახმა მოლოდინს გადააჭარბა. მადლობა ყველას, ვინც ამ შესანიშნავი ტირის მოწყობაში მიიღო მონაწილეობა. ქუთაისმა ქალაქებს მაგალითი მისცა და იმედი გვაქვს, რომ ასეთი კეთილმოწყობილი ბაზები სხვა რეგიონებშიც გაკეთდება. ძალიან მნიშვნელოვანია ისმაელ გირგვლიანის სახელობის ტურნირის დამკვიდრება, ფედერაცია ყველაფერს გააკეთებს, რომ ამ შეჯიბრებამ საერთაშორისო სტატუსი შეიძინოს და მასში უცხოელმა სპორტსმენებმაც მიიღონ მონაწილეობა. რაც შეხება ახალგაზრდა სპორტსმენებს, მართლაც პერსპექტიული მსროლელები გვყავს, ტურნირის გამარჯვებული ლიზი კილაძე ჯერ მხოლოდ 13 წლისაა და უკვე სტაბილურად ასპარეზობს, ბიჭებშიც არაიან საინტერესო მსროლელები. ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ამ ახალგაზრდებმა გამოცდილება მიიღონ და კლასი აიმაღლონ".

**ნინო უჩაძე:** „მე-12 სპორტსკოლის ბაზაზე არსებული ტირი განადგურებული იყო და ფაქტობრივად ყველაფერი თავიდან გაკეთდა. ძველ ბაზაზე მხოლოდ გვერდითი კედლები იყო დარჩენილი, განახლების შემდეგ კი მოეწყო ორი სასროლი ტირი. პნევმატური პისტოლეტიდან სროლის 10 მეტრიანი დარბაზი და 25 მეტრი მცირეკალიბრიანი პისტოლეტის სასროლეთი. ტირი თითქმის ექვემდებარება ევროსტანდარტებს, სადაც საერთაშორისო შეჯიბრებების ჩატარებაცაა შესაძლებელი".

ისმაილ გირგვლიანის სახელობის თასზე ვაჟთა და ქალთა შორის 18-18-მა მსროლელმა იასპარეზა. ვაჟებში სამივე საპრიზო ადგილი თბილისელებმა დაიკავეს. 563-ქულით პირველი ადგილი **ლევან ქადაგიძეს** ხვდა წილად, მეორეზე გავიდა **ცოტნე მაჭავარიანი,** მესამეზე - **ომარ სანოძე.**


ლიზი კილაძე

გოგონათა შორის 369 ქულით ყველას ქუთაისელმა **ლიზი კილაძემ** აჯობა. მეორე ადგილზე თბილისელი **მარიამ ბლუაშვილი** გავიდა, მესამე საპრიზო ადგილი კი ქუთაისელმა **მარიამ ჩაგანავამ** დაიკავა.

გამარჯვებულები და პრიზიორები თასებითა და სამახსოვრო პრიზებით დააჯილდოვეს.

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან

● ღია წერილი

# საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრს ლ. ყიფიანს საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტს ლ. ხაბელოვს

**ბატონო ლევან,**
**ბატონო ლერი,**

გამოვხატავ რა თქვენდამი ღრმა პატივისცემას, მოგმართავთ საქართველოში ტრიატლონის დანერგვისა და განვითარების პრობლემასთან დაკავშირებით.

ტრიატლონი ერთ-ერთი ყველაზე მასობრივი სპორტის სახეობაა მსოფლიოში. ეს არის დასავლური ტიპის სპორტული კომპლექსი-ექსტრიმი, რაც მიმზიდველია როგორც გოგონებისთვის, ასევე ბიჭებისთვის. გარდა ამისა, შესანიშნავი საშუალებაა ჯანსაღი ცხოვრების წესის დასანერგად მოსახლეობის ფართო ფენებში.

განუზომელი პოპულარობისა და ადვილად ათვისების წყალობით, ტრიატლონი *(TRIATHLON)*, მისი დაარსებიდან მალე შევიდა ოლიმპიურ ოჯახში და მისი დებიუტი 2000 წელს შედგა სიდნეის ოლიმპიადაზე. ამით ის გახდა კიდევ უფრო მასობრივი. აშშ-ში ყოველწლიურად ტარდება 1800-ზე მეტი ოფიციალური შეჯიბრება, მათ შორის კი ყველაზე მრავალრიცხოვანია ჩიკაგოს ტრიატლონი 8000-იანი აუდიტორიით.

შეჯიბრება ტარდება უწყვეტი თანამიმდევრობით: ცურვა ღია წყალში (ზღვა, ტბა, მდინარე) 1,5 კმ. + 40 კმ ველორბოლა და + რბენა 10 კმ. ეს ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატების ფორმატია. საერთაშორისო შეჯიბრებები ტარდება სხვადასხვა მანძილებზე. პროფესიონალებს შორის: ცურვა 3,8 კმ, ველორბოლა 180, რბენა 42 კმ.

საქართველოში, გასული საუკუნის 60-80-იან წლებში, თანამედროვე ხუთჭიდელებთან მუშაობის დროს მიღებული გამოცდილება და მიღწეული წარმატებები, შესანიშნავი ბუნებრივი პირობები, აგრეთვე ის, რომ ტრიატლონი არ მოითხოვს დიდ ხარჯებს და ბევრად ხელმისაწვდომია, სპორტსმენთა მომზადება და შეჯიბრებების ჩატარება, მაფიქრებინებს, რომ საქართველოში, სახსრების გამონახვის შემთხვევაში, შესაძლებელია როგორც მასობრივი, ასევე მაღალი მიღწევების სპორტისათვის ტრიატლონის წარმატებით განვითარება. უნდა მოეწყოს ღია სტარტები სასწავლებლებში, დაბებში, ქალაქებში, აგრეთვე ძალოვან სტრუქტურებში.

თბილისში და შავი ზღვის აკვატორიაში, განსაკუთრებით კი ქ. ბათუმში, შესანიშნავი პირობებია საერთაშორისო შეჯიბრებების ჩასატარებლად, ისევე როგორც ამას აკეთებენ თურქეთის ქალაქ ალანიაში. ყველაფერი ეს ხელს შეუწყობს ტურისტთა მოდენას, ტურიზმის ბიზნესის ზრდას, სპონსორების დაინტერესებას ტრიატლონით. ფედერაცია კი მაქსიმალურად გამოიყენებდა რეკლამისა და კომერციის საშუალებებს, თუნდაც საკუთარი საქმიანობის დასაფინანსებლად.

2004 წელს, საქართველოს თანამედროვე ხუთჭიდისა და ტრიატლონის გაერთიანებული ეროვნული ფედერაცია ჩემი ინიციატივით ჩამოყალიბდა, რომლის პრეზიდენტობა (2004-2005 წლებში) კოლეგებმა მე დამავალეს. ობიექტური მიზეზით შევწყვიტე ფედერაციაში მუშაობა, მაგრამ ტრიატლონის საქართველოში განვითარების იდეაზე ფიქრი არ შემიწყვეტია. 2005 წლიდან მოყოლებული ვისთან არ ვიყავი ამის თაობაზე, მაგრამ უშედეგოდ. 2011 წელს საქართველოს პრეზიდენტსაც ვთხოვე დახმარება. როგორც ვიცი, პასუხი სპორტის სამინისტროს ჩინოვნიკების უჯრებში ჩაიფერფლა. სამწუხაროდ, ვინაიდან მე და ბატონმა ჯუანშერ ზალდასტანიშვილმა მაშინ ვერსაიდან ვერ მივიღეთ მხარდაჭერა, გადავწყვიტე ამ წერილით საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსა და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ახალ ხელმძღვანელებს მოგმართოთ, რის შემდეგ შევწყვეტ ყოველგვარ თვითშემოქმედებას.

პირველ ეტაპზე საჭიროა სპორტული მედიის დახმარება, სათანადო რეკლამა და მასობრივი შეჯიბრების ჩატარება. ეჭვი არ მეპარება, რომ თავისი ველოსიპედებით, როგორც ყველგან, ასზე მეტი მონაწილე მოვა. პირველი ღია სტარტი, ლაკმუსის ქაღალდივითაა. ამიტომ ამგვარი შეჯიბრების ჩატარება აუცილებელი პირობაა ტრიატლონის დანერგვისათვის. ეს მოგვცემს საშუალებას ტრიატლონის განვითარების პერსპექტივაზე (რაშიც დარწმუნებული ვარ), შემდეგ კი საქართველოს ნაკრებ გუნდზე, მის საერთოშორისო და ოლიმპიურ მომავალზე უფრო კონკრეტულად ვიმსჯელოთ.

საქართველოში, სადაც ღმერთის წყალობით, შავი ზღვის შესანიშნავი სანაპიროა, მთელ რიგ დასახლებულ ადგილებში კი ბუნებრივი წყალსატევებია, როგორ შეიძლება სპორტის მოყვარულებს, განსაკუთრებით ახალგაზრდობას, არ შესთავაზო სპორტის ისეთი სახეობა, როგორიცაა ტრიატლონი. მას, როგორც მასობრივ და ოლიმპიურ სპორტის სახეობას საქართველოში აქვს განვითარების რეალური პერსპექტივა ვიდრე პლაჟის ფრენბურთს.

ამჟამად მე ვცხოვრობ მოსკოვში, ერთდროულად ვარ საქართველოს მოქალაქე და უზრუნველყოფილი ვარ ბინით თბილისში. 50-იან წლებში ვიყავი საქართველოში თანამედროვე ხუთჭიდის ფუძემდებელთა შორის, ვარ სპორტის ოსტატი, დამსახურებული მწვრთნელი და სპორტის მუშაკი, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი, დაჯილდოებული ვარ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის „ღირსების მედლით" და რუსეთის ოლიმპიური კომიტეტის საპატიო ნიშნით.

ვიყავი ტრიატლონის საკავშირო ფედერაციის პირველი პრეზიდენტი (1989-1992 წლებში), მრავალჯერ ვხელმძღვანელობდი საბჭოთა კავშირის და საკავშირო „დინამოს" ნაკრებ გუნდებს მსოფლიოს და საერთაშორისო შეჯიბრებებზე, მათ შორის ამერიკაში, ავსტრალიაში, ჰოლანდიაში და კიდევ სხვა ქვეყნებში, სადაც ტრიატლონი თავისი მიმზიდველობით და უბრალოებით ნაციონალური სპორტის დონეზეა აყვანილი.

მიუხედავად ჩემი ასაკისა (77 წელი), ძალა შემწევს და მზად ვარ მაქსიმალურად მოვახმარო ჩემი ცოდნა და გამოცდილება, გაუწიო პრაქტიკული დახმარება ფედერაციას, სახელმწიფო და სპორტულ ორგანიზაციებს საქართველოში ტრიატლონის დანერგვა-განვითარებაში.

თქვენგან პასუხის მოლოდინში,
პატივისცემით,
**ვალერიან როგავა.**
მოსკოვი
ტელ. (916) 774 85 82.
Email: rodawa.v@yandex.ru

**P.S.** მაპატიეთ, რომ მომართვის ასეთი ფორმა ავირჩიე.

Ⓡ

ეროვნული ბიბლიოთეკა

● საქართველოს ჩემპიონატი

# არმიას იარაღი კონტრშეტევაა

**არმია-აია 31:17**

**არმია** (15-9) კობახიძე, ტუჩაშვილი, ჩხიკვაძე, გაგოშვილი, აფციაური (შკინინი 41), ელიზბარაშვილი (ნინიძე 66), ჯინაშვილი. (1-8) ზაქაშვილი (კაკოვინი 54), მამუკაშვილი (მეკოკიშვილი 54), გურგენიძე, სურგულაძე (ჟღენტი 67), ცხადაძე (არჩუაშვილი 59), ბინაძე, აზალაძე, ბუჯიაშვილი.
**4ლ:** ტუჩაშვილი, აფციაური (2), შკინინი. 4გ: კობახიძე. ა: ნინიძე.
**სინბინი:** მეკოკიშვილი.
**აია** (15-9) ძნელაძე, გოშაძე (კვერნაძე 48), კუხიანიძე, ხამაშურიძე, ფრუიძე, სინაურიძე (ჯინჭველაშვილი 41), როხვაძე (1-8) რატიაშვილი (ლომთაძე 67, თუთბერიძე 78), თხელიძე, ლომიძე (მატკავა 41), შალამბერიძე, ძაგნიძე (ჩიტეიშვილი 62), რევიშვილი, ყურაშვილი, შამიაშვილი (დგებუაძე 65).
**2ლ:** ყურაშვილი, კვერნაძე. 2გ: ჯინჭველაშვილი. ს: სინაურიძე.
**სინბინი:** ხამაშურიძე.
**მსაჯი:** რიჩარდ კელი (ახალი ზელანდია).

წინასწარი ფინალი, რიგორც მოსალოდნელი იყო, უშეღავათო ბრძოლაში წარიმართა და „ავჭალის სარაგბო სტადიონზე“ მისულმა მრავალრიცხოვანმა მაყურებელმა საკმაოდ საინტერესო სანახაობა იხილა. საქართველოს მოქმედმა ჩემპიონმა „არმიამ“, რომელიც რეგულარული გათამაშების გამარჯვებულიცაა, ქუთაისის „აიას“ 31:17 მოუგო.

ქუთათურებმა საბოლოოდ მესამე ადგილი დაიკავეს და ბრინჯაოს მედლის მფლობელები გახდნენ. თუმცა, თამამად შეიძლება ითქვას, რომ მეტის მიღწევაც შეეძლოთ. ეს თამაშის საწყისმა ოცმა წუთმაც დაადასტურა, რომლის განმავლობაშიც „აია“ დიდ სათამაშო უპირატესობას ფლობდა. იმდენად, რომ მეტოქეს მატჩის მე-20 წუთამდე შეტევის ორგანიზების საშუალებას არ აძლევდა.

მიუხედავად დიდი სათამაშო უპირატესობისა, ქუთაისელმა მორაგბეებმა მხოლოდ სამი ქულის მოპოვება შეძლეს. მატჩის მეოთხე წუთზე მგეზავმა **გაგა სინაურიძემ** საჯარიმოთი გახსნა ანგარიში. მანვე რამდენიმე წუთის შემდეგ არეკნით სცადა მეტოქის კარის დალაშქვრა. არ გამოუვიდა.

„არმია“ თავს კარგად იცავდა და სტუმრებს ლელოში შეღწევის საშუალებას არ აძლევდა. თავისი, ლამის პირველი შეტევა კი, რომელიც არმიელებმა მე-20 წუთზე განახორციელეს, ლელოთი დაასრულეს. მრავალფაზიანი იერიში ქვეყნის ჩემპიონმა მარცხენა ფრთაზე წამოიწყო. მეტოქის 22-მეტრიანი ზონის მისადგომებთან ცხრა ნომერმა **რამაზ ჯინაშვილმა** ბურთი ხაზზე მგეზავ **გიორგი ელიზბარაშვილს** გაუტანა, რომელიც გუნდის ძირითად შემადგენლობას ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ დაუბრუნდა. მან მარჯვენა ფრთაზე დაუცველი ზონა შენიშნა და ფეხით ბურთი სწორედ იქით გადაკიდა. ყველას გარემარბმა **ალექსანდრე ტუჩაშვილმა** დაასწრო და ლელოების ანგარიში გახსნა. გარდასახვა ფულბეკმა **ბახვა კობახიძემ** გაიტანა - 7:3.

ამის შემდეგ „არმიას“ ტაიმის ბოლომდე არ გაუშვია ხელიდან უპირატესობა. განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია არმიელთა ფულბეკის ბახვა კობახიძის კარგი თამაში. ის ფეხით კარგად რომ ურტყამს, საყოველთაოდაა ცნობილი. ამ შეხვედრაში კი შეტევების ორგანიზატორადაც წარმოჩინდა. 24-ე წუთზე ქუთაისელი მგეზავის, სინაურიძის აზრაგანს კობახიძე საკუთარ 22-მეტრიანი ზონის ხაზთან დაუხვდა. ცრუ მოძრაობით მეტოქის რამდენიმე მორაგბეს გასცდა და „აიას“ 22-მეტრიან ზონამდე ირბინა. მერე იქვე მიმყოლი გარემარბი **გიორგი აფციაური** დროულად შენიშნა. არმიელთა ახალგაზრდა მორაგბეს, რომელიც ამპლუით მგეზავია, ლელოს გატანა არ გასჭირვებია. კობახიძემ გარდასახა - 14:3.

ამ ლელომ „აია“ თითქოს გატეხა. ამას ისიც დაერთო, რომ ახალზელანდიელმა არბიტრმა ქუთაისელთა მოთამაშე-მწვრთნელი **ბესიკ ხამაშურიძე** გაასინბინა. „არმია“ გამუდმებით უტევდა, თუმცა რიცხობრივი უპირატესობა ვერ გამოიყენა და მონაგარი ვერ გაზარდა. ტაიმის ბოლო წუთზე, როცა სტუმრები უკვე სრული შემადგენლობით ასპარეზობდნენ, არმიელებმა მეტოქეს შეტევაში შეცდომა დაუშვებინეს. ბურთი აფციაურის ნადავლი შეიქნა, რომელმაც



გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

ბურთით გიორგი როხვაძე

ლელომდე 80 მეტრი ირბინა. კობახიძემ ისევ გარდასახა - 21:3. ასე დასრულდა პირველი ტაიმი.

„არმიასთან“, თანაც ასეთ მნიშვნელოვან მატჩში, 18-ქულიანი ჩამორჩენის აღმოფხვრა, არათუ რთული, ფაქტობივად, შეუძლებელია. შესვენების შემდეგ „აია“ ბევრს ცდილობდა თამაში დაელაგებინა, მაგრამ „არმია“ ამის საშუალებას არ აძლევდა. ანგარიში 66-ე წუთამდე უცვლელი იყო. ამ დროს ჩემპიონებმა ქუთათურები მორიგ კონტრიერიშზე დაიჭირეს. ბურთი მარცხნივ გრძელ ფრთაზე ბოლომდე ჩაათამაშეს, სადაც შეცვლაზე შესულმა გარემარბმა **გიორგი შკინინმა** იყოჩაღა. ის მეტოქეს გასცდა და „არმიას“ მონაგარს მეოთხე ლელო შესძინა. კობახიძემ გარდასახავა ამჯერადაც ზუსტად დაარტყა - 28:3.

თამაშის დასრულებამდე 16 წუთი რჩებოდა. ეს უკვე გამარჯვება იყო. თუმცა „აიას“ ბრძოლა არ შეუწყვეტია. ქუთათურები თავდაუზოგავად ცდილობდნენ მეტოქის ლელოში შეღწევას და 72-ე წუთზე მოახერხეს კიდეც. მეტოქის ლელოდან ხუთ მეტრში სტუმრებმა საჯარიმო გაათამაშეს. მორკინალების ორი მოკლე დარტყმის შემდეგ რაკიდან ბურთი ცხრა ნომერმა **გიორგი როხვაძემ** გამოიტანა და ფარული გადაცემით გარღვევაზე **ბექა ყურაშვილი** გაიყვანა. არმიელებმა მისი შეჩერება ვერ შეძლეს. შეცვლაზე შესულმა ახლაგაზრდა მგეზავმა **რამაზ ჯინჭველაშვილმა** გარდასახვა ზუსტად დაარტყა - 10:28.

თამაშის დასრულებამდე სამი წუთით ადრე „აიამ“ კიდევ ერთი, საკმაოდ ეფექტური შეტევა განახორციელა. მოედნის ცენტრში მეტოქის ხაზი ფულბეკმა **ზურაბ ძნელაძემ** გაჭრა, მისი წამოწყებული იერიში **გიორგი ფრუიძემ** განაგრძო, რომელმაც შეტევაში მარცხენა ფრთაზე შეცვლაზე შესული **სერგო კვერნაძე** ჩართო. ამან ბურთი ფეხით გადაიკიდა, მიჰყვა და ლელო კიდესთან ახლოს გაიტანა. ჯინჭველაშვილმა გარდასახა - 17:28.

„აიას“ მატჩის გადარჩენის იმედი გაუჩნდა, რომელიც თამაშის დასრულებამდე ერთი წუთით ადრე შეცვლაზე შესულმა **მამუკა ნინიძემ** არეკნით გააქარწყლა - 31:17. ამრიგად, „არმია“ ჩემპიონის ტიტულის შესანარჩუნებლად დიდ ფინალში 25 მაისს თბილისის „ლელოს“ დაუპირისპირდება.

**დიდი ფინალი**

**25 მაისი**

**ლელო-არმია**

● ზერაგბი

# ლიდერი ორ კონფერენციაში შეიცვალა

**ზე რაგბის გათამაშების მე-11 ტურში რვა შეხვედრიდან შვიდში მასპინძლებმა გაიმარჯვეს. სენსაციური შედეგი არ დაფიქსირებულა. ლიდერებმა თავიანთი მატჩები ლოგიკურ დასასრულამდე მიიყვანეს. ზოგმა ეს იოლად მოახერხა, ზოგს კი დიდი ძალისხმევა დასჭირდა.**



ბრამბიზი-ფორსი

## ავსტრალია

ავსტრალიის კონფერენციაში, მეორეადგილოსანმა ბრისბენის „რედსმა“ ახალი ზელანდიის კონფერენციის ლიდერი ოქლენდის „ბლუზი“ მიიღო და უმძიმეს მატჩში მინიმალური სხვაობით მოუგო 12:11. ქულების უმრავლესობა გუნდებმა პირველ ტაიმში აიღეს, რომელიც სტუმრების გამარჯვებით დასრულდა - 11:9. „წითლები“ შესვენების შემდეგ ბევრს ეცადნენ, მაგრამ გამარჯვების მომტანი სამი ქულა მგეზავმა **ქუადე კუპერმა** მხოლოდ 74-ე წუთზე გაიტანა.

ამავე კონფერენციაში ლიდერმა კანბერის „ბრამბიზმა“ შინ იოლად მოუგო პერთის „ფორსს“ - 41:7. მასპინძლებმა მეტოქეს ექვსი ლელო გაუტანეს. აქედან ორი გარემარბი **ჰენრი სპეისის** ანგარიშზეა. ყველაზე შედეგიანი კი შუამარბი **კრისტიან კალიფანო** იყო, რომელმაც ერთი ლელო, ერთი საჯარიმო და ოთხი გარდასახვა გაიტანა (16 ქულა).

**XI ტური**

რედსი-ბლუზი 12:11, ბრამბიზი-ფორსი 41:7

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ბრამბიზი - 40 ქულა, 2. რედსი - 37, 3. ვორათაზი - 25, 4. მელბურნ რებლზი - 20, 5. ფორსი - 16.

**XII ტური**

მელბურნ რებლზი-ჩიფსი, ფორსი-რედსი, ბრამბიზი-კრუსეიდერზი.

## ახალი ზელანდია

ახალი ზელანდიის კონფერენციაში ოქლენდის „ბლუზის“ წაფორხილებით კარგად ისარგებლა ზე რაგბის მოქმედმა ჩემპიონმა ჰემილთონის „ჩიფსმა“, რომელმაც შინ ურთულეს ბრძოლაში სამხრეთ აფრიკის კონფერენციის ლიდერი დურბანის „ნატალ შარქსი“ დაამარცხა - 37:29 და ახალი ზელანდიის კონფერენციაში სატურნირო ცხრილის პირველ საფეხურზე დამკვიდრდა.

მასპინძელთა გუნდი თამაშის დასაწყისშივე გრიგალივით თავს დაატყდას მეტოქეს და 15 წუთში სამი ლელო გაუტანა. ჰემილთონელები 21-ე წუთამდე 24:0 იგებდნენ. პირველ ტაიმის დასრულებამდე დარჩენილ 19 წუთში სტუმრებმა გონს მოსვლა, თამაშის დალაგება და ანაგარიშში სხვაობის ხუთ ქულამდე შემცირება შეძლეს - 19:24.

შესვენების შემდეგ მოვლენები მოედანზე პირველი ტაიმის მსგავსი სცენარით განვითარდა. თავდაპირველად ისევ „ჩიფსი“ დაწინაურდა, მერე „ზვიგენებმა“ სცადეს მატჩის გადარჩენა, თუმცა ჩემპიონებმა კარგად დაწყებული საქმე გამარჯვებამდე მაინც მიიყვანეს. ორორი ლელო მასპინძელთა შუამარბმა **ტიმ ნანაი-ვილიამსმა** და სტუმართა მესამეხაზელმა **დერიკ მაინმა** გაიტანეს. ყველაზე მეტი, 17 ქულა კი ჰემილთონელების ფულბეკი **გარეთ ანსკომბის** ანგარიშზეა (ოთხი გარდასახვა და სამი საჯარიმო).

ნელ-ნელა შედის ფრომაში ზე რაგბის ყველაზე ტიტულოვანი გუნდი ქრაისთჩერჩის „კრუსეიდერზი“. ლიდერების, **რიჩი მაქოასა** და **დენ კარტერის** გარეშე მოთამაშე „ჯვაროსნებმა“ შინ ავსტრალიური „მელბურნ რებლზი“ დაამარცხეს - 30:26. ყველაზე მეტი ქულა მასპინძლებს შუამარბმა **ტომ ტეილორმა** მოუტანა. მან ექვსი საჯარიმო და ერთი გარდასახვა გაიტანა (20 ქულა).

ერთადერთი სტუმარი, რომელმაც გასვლით მატჩში გაიმარჯვა, სამხრეთაფრიკული კეიპთაუნის „სტორმერზი“ გახლდათ. ამ გუნდმა საკმაოდ დაძაბულ მატჩში ველინგტონის „ჰარიკენზს“ სძლია - 18:16.

**XI ტური**

ჰარიკენზი-სტორმერზი 16:18, ჩიფსი-ნატალ შარქსი 37:29, კრუსეიდერზი-მელბურნ რებლზი 30:26.

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ჩიფსი - 35 ქულა, 2. ბლუზი - 32, 3. კრუსეიდერზი - 30, 4. ჰარიკენზი - 28, 5. ჰაილენდერზი - 10.

**XII ტური**

ბლუზი-სტორმერზი, ჰაილენდერზი-ნატალ შარქსი

## სამხრეთ აფრიკა

ახალი ლიდერი ყავს სამხრეთ აფრიკის კონფერენციასაც. „ნატალ შარქსის“ წაფორხილებით პრეტორიის „ბლუ ბულზმა“ ისარგებლა. „ლურჯმა ხარებმა“ შინ მოუგეს სიდნეის „ვორათაზს“ - 30:19. სტუმრებმა მეტოქეს მედგარი წინაალმდეგობა 66 წუთის განმავლობაში გაუწიეს. ამ დროისთვის სიდნეელები მინიმალური სხვაობით აგებდნენ - 19:20. დასკვნით 14 წუთში პრეტორიელებმა ორი ლელოს გატანა და ლიდერობის მოპოვება შეძლეს. როგორც ყოველთვის, უხვქულიანი იყო მგეზავი **მორნი სტეინი**. მის ანგარიშზე 20 ქულაა (ექვსი საჯარიმო და ერთი გარდასახვა).

„ბლუ ბულზს“ კვალში უდგას წლევანდელი სეზონის ყველაზე დიდი მოულოდნელობა ბლუმფონტეინის „ჩიტაზი“, რომელმაც ამჯერად საკუთარ მოედანზე გათამაშების დებიუტანტ „საუთერნ კინგზს“ სძლია - 26:12. მასპინძლებმა მეტოქეს სამი ლელო გაუტანეს, რაზეც სტუმრები მხოლოდ მგეზავი **დემეტრი კატრაკილისის** საჯარიმოებით პასუხობდნენ, რაც წარმატების მისაღწევად საკმარისი არ აღმოჩნდა. „ჩიტაზი“ ლიდერს ახლა ერთი ქულით ჩამორჩება.

**XI ტური**

ბლუ ბულზი-ვორათაზი 30:19, ჩიტაზი-საუთერნ კინგზი 26:12

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ბლუ ბულზი - 32 ქულა, 2. ჩიტაზი - 31, 3. ნატალ შარქსი - 28, 4. სტორმერზი - 28, 5. საუთერნ კინგზი - 15.

**XII ტური**

საუთერნ კინგზი-ვორათაზი, ბლუ ბულზი-ჰარიკენზი.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

კალათბურთი. NBA პლეი ოფი



ზაკ რენდოლფმა 24 ქულა დააგროვა

# საუკეთესო მატჩი ჩიკაგოში

ჯერჯერობით წლევანდელი პლეი ოფის საუკეთესო მატჩი ითამაშეს „ჩიკაგომ“ და „ბრუკლინმა“. არადა, საფინალო სირენამდე 3 წუთითა და 16 წამით ადრე ვერავინ წარმოიდგენდა, თუ ამ შეხვედრას 3-ოვერტაიმიანი დრამატული განვითარება ექნებოდა. „ბრუკლინი“ 14 ქულას იგებდა და 99 პროცენტით გარანტირებული ჰქონდა გამარჯვება.

და რაღაც სასწაულის წყალობით, მასპინძლებმა ორ წუთში 14:0 გაქცევა მოაწყვეს და სირენამდე 55 წამით ადრე გაათანაბრეს ანგარიში! ამ სპურტში 12 ქულა **ნეიტ რობინსონის** წილი იყო, სულ კი მან ბოლო მეოთხედში 23 ქულა ჩააგდო, რაც **მაიკლ ჯორდანის** საკლუბო რეკორდს (1990 წელი) მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩებოდა.

პირველ ოვერტაიმში რობინსონს შეეძლო მოგება მოეტანა თავისი გუნდისთვის, როცა ორი წამით ადრე ურთულესი ბურთი მოათავსა კალათში, თუმცა ეს ორი წამიც ეყო **ჯო ჯონსონს** იმისთვის, რომ თამაში მეორე ოვერტაიმში გადაეყვანა. ვერც მეორე დამატებითმა ხუთმა წუთმა გამოავლინა გამარჯვებული. მას შემდეგ, რაც **ბრუკ ლოპესმა** 46 წამით ადრე ორიდან ერთი საჯარიმო გამოიყენა და ანგარიში გაათანაბრა, დარჩენილ დროში ვერც ერთმა გუნდმა ვერ შეძლო ქულის აღება.

მესამე ოვერტაიმი „ჩიკაგოსთვის“ ცუდად დაიწყო, რადგან პირველივე წამებზე მეექვსე პერსონალური მიიღო **ჟოაკიმ ნოამ**. წესით, ამ დანაკარგს ცუდად უნდა ემოქმედა მასპინძლებისთვის, რადგან ფრანგთან ორთაბრძოლაში ბრუკ ლოპესმა 12-დან 10 სროლა ააცილა და ოთხი ბურთი დაკარგა. მაგრამ ნოა კარგად შეცვალა **ნაზრ მოჰამედმა**. ის სირენამდე 51 წამით ადრე შევიდა მოედანზე და ამ დროის განმავლობაში ოთხი ქულა დააგროვა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო 19 წამით ადრე მისი შეტევაში მოხსნა და ზუსტი სროლა, რის შემდეგაც, „ჩიკაგოს“ უპირატესობა 6 ქულამდე გაიზარდა. „ნეტსმა“ ამ ჩამორჩენის გაბათილება ველარ შეძლო, მიუხედავად იმისა, რომ მესამე ოვერტაიმში არ უთამაშია **ნეიტ რობინსონს**, რომელმაც ასევე ზედმეტი პერსონალურების გამო დატოვა მოედანი.

**ჩიკაგო-ბრუკლინი 142:134 (3ო)**

**25:26, 33:29, 18:29, 35:27, 10:10, 6:6, 15:7**

**ჩ:** რობინსონი (34+4 პასი), ბუზერი (21+8 მოხსნა), ჰაინრიხი (18+14 პასი+3 ჩაჭრა), ბატლერი (16+5 მოხსნა), დენგი (15+8 მოხსნა+6 პასი), ნოა (15+13 მოხსნა+4 დაფარება), გიბსონი (10).

**ბ:** უილიამსი (32+10 პასი), ლოპესი (26+11 მოხსნა+4 დაფარება), ჯონსონი (22), უოლასი (17+9 მოხსნა+4 პასი), ევანსი (15+13 მოხსნა), ბლეტჩი (13+5 მოხსნა).

**სერია:** 3-1

■ ■ ■

„ბოსტონი“ პრაქტიკულად ვერანაირ წინააღმდეგობას ვერ უწევს „ნიუ იორკს“. მიუხედავად იმისა, რომ სერიამ „სელტიქსის“ არენაზე გადაინაცვლა, მესამე მატჩში პრაქტიკულად დიდი შესვენებისთვის ყველაფერი გადაწყვეტილი იყო. ამის მიზეზი ბოსტონელთა ტრადიციული პრობლემები გახლდათ შეტევაში. მაგალითად, მეორე მეოთხედში **დოკ რივერსის** შეგირდებმა 17-დან 11 ტყორცნა ააცილეს და მხოლოდ 13 ქულა დააგროვეს. ამან „ნიუ იორკს“ 16-ქულიანი უპირატესობა მოუტანა.

მეორე ტაიმში ყველაზე აღსანიშნავი მომენტი **ჯეი არ სმიტის** უხეშობა იყო **ჯეისონ ტერის** წინააღმდეგ - მეტოქისთვის იდაყვის ჩარტყმის გამო, ამ სეზონის საუკეთესო მეექვსე მოთამაშე მოედნიდან გააძევეს, მოგვიანებით კი ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია მისცეს.

**ბოსტონი-ნიუ იორკი 76:90**

**18:23, 13:24, 21:21, 24:22**

**ბ:** გრინი (21+9 მოხსნა+4 პასი), პირსი (17+5 პასი), ტერი (14), გარნეტი (12+17 მოხსნა).

**ნ-ი:** ენტონი (26), სმიტი (15), ფელტონი (15+10 პასი).

**სერია:** 0-3

■ ■ ■

სერიის მესამე მატჩში „პეისერსმა“ ბოლო შვიდ წელიწადში ყველაზე უარესი მატჩი ჩაატარა, ყოველ შემთხვევაში, შეტევაში ეფექტურობის მხრივ. პირველ ორ მატჩში 220 ქულის დაგროვების შემდეგ, ამჯერად, **ფოგელის** შეგირდებმა სულ რაღაც 69 ქულა ჩააგდეს. უკანა ხაზის მოთამაშეებმა - **ჰილმა** და **სტივენსონმა** 15-დან მხოლოდ ორი ტყორცნა მოათავსეს კალათში, **ოგასტინის, ჯონსონისა** და **პენდეგრაფის** ტრიომ კი 14 სროლა ააცილა მიზანს. საბოლოოდ, თამაშიდან ტყორცნების რეალიზაცია კატასტროფულად დაბალი იყო - 27:2, რასაც დაემატა ჯამური 22 შეცდომა.

**ატლანტა-ინდიანა 90:69**

**27:14, 27:16, 21:19, 15:20**

**ა:** ჰორფორდი (26+16 მოხსნა), სმიტი (14+6 პასი+6 მოხსნა+3 ჩაჭრა), ტიგი (13+6 მოხსნა+5 პასი).

**ი:** უესტი (18+6 მოხსნა), ჯორჯი (16+9 მოხსნა), გრინი (10).

**სერია:** 1-2



ნეიტ რობინსონი

# ლეიკერსის დიდი სირცხვილი

„ლეიკერსმა“ თავისი არსებობის ისტორიაში პირველად წააგო საკუთარ მოედანზე შეხვედრა 31 ქულის სხვაობით. ამ ფიასკოს რამდენიმე მიზეზი აქვს: **კობი ბრაიანტის** ტრავმა, რასაც დაემატა უშუალოდ ამ შეხვედრისთვის **სტივ ნეშის, სტივენ ბლეიკისა** და **ჯოდი მორისის** მწყობრიდან გამოსვლა. ამის გამო, **მაიკ დ'ენტონი** იძულებული გახდა სასტარტოში დაეყენებინა კალიფორნიელთა როტაციაში ნომინალურად მეხუთე და მეექვსე მცველი - **დარიუს მორისი** და **ენდრიუ გუდლაკი**, რომლებსაც ცუდად არ უთამაშიათ - შესაბამისად, 24 და 20 ქულა დააგროვეს.

მაგრამ, დაცვაში საშინელი თამაშის გამო, „ლეიკერსს“ წარმატების არანაირი შანსი არ ჰქონია. მარტო **ტონი პარკერმა** და **ტიმ დანკანმა** 30-დან 21 სროლა მოათავსეს კალათში და 46 ქულა დააგროვეს, მიუხედავად იმისა, რომ ჯამში 58 წუთი გაატარეს მოედანზე.

**ლეიკერსი-სან ანტონიო 89:120**

**18:30, 26:25, 19:30, 26:35**

**ლ:** ჰოვარდი (25+11 მოხსნა), დ. მორისი (24+6 პასი), გუდლაკი (20+3 ჩაჭრა), პ. გასოლი (11+13 მოხსნა+10 პასი).

**ს-ა:** დანკანი (26+9 მოხსნა), პარკერი (20+7 პასი), ბლეირი (13+7 მოხსნა), ლეონარდი (12), გრინი (11+4 პასი).

**სერია:** 0-3

■ ■ ■

გაცილებით მხიარული და დაძაბული გამოვიდა მატჩი ოკლენდში, სადაც „გოლდენ სტეიტმა“ 13-ქულიანი ჩამორჩენის გაბათილება და მოგება შეძლო. ეს **სტივენ კარის** დამსახურებაა, რომლის თამაში მუხლის ტრავმის გამო კითხვის ნიშნის ქვეშ იყო. კარიზე უკეთ იმ დღეს მხოლოდ „დენვერის“ გამთამაშებელმა **ტაი ლოუსონმა** ითამაშა, მაგრამ სწორედ მან გააფუჭა პოტენციურად გამარჯვების მომტანი ტყორცნა 106:107-ზე, როცა საფინალო სირენამდე 9.4 წამი რჩებოდა.

**გ. სტეიტი-დენვერი 110:108**

**32:32, 22:34, 33:18, 23:24**

**გ-ს:** კარი (29+11 პასი+6 მოხსნა), ჯეკი (23+7 პასი+5 მოხსნა), ბარნსი (19+7 მოხსნა), ლენდრი (19+5 მოხსნა).

**დ:** ლოუსონი (35+10 პასი), ბრიუერი (16), ფარიდი (15+7 მოხსნა), იგუოდალა (14+5 პასი+5 მოხსნა), ჩენდლერი (11+9 მოხსნა).

**სერია:** 2-1

■ ■ ■

„ჰიუსტონს“ არ უშველა არც საკუთარ მოედანზე თამაშმა, არც „ოკლაჰომას“ ერთ-ერთი ლიდერის რასელ უესტბრუკის ტრავმამ, არც გარსიასა და პარსონსის 29 ქულამ... თუმცა მასპინძლები ახლოს იყვნენ გამარჯვებასთან. კერძოდ, სირენამდე 45 წამით დრე, გარსიას სამქულიანით ისინი ორი ქულით იგებდნენ. საპასუხო შეხვედრაში დურანტმა სამქულიანი ისროლა, რომელიც კალათს მოხვდა, დაახლოებით სამ მეტრამდე აფრინდა და... მაინც კალათში ჩაეშვა. გაოგნებულმა ჰიუსტონელებმა დარჩენილ დროში მატჩის გადარჩენა ვერ შეძლეს და მათი მდგომარეობა სერიაში თითქმის გამოუვალი გახდა.

რაც შეეხება ამ მატჩში უესტბრუკის შემცვლელებს, გამთამაშებლის ფუნქციები თანაბრად გაინაწილეს რეჯი ჯექსონმა და დერეკ ფიშერმა და საკმაოდ ხარისხიანადაც ითამაშეს. მაგალითად, რეჯიმ 14 ქულა დააგროვა, 38 წლის ფიშერმა კი მთელი მატჩი უშეცდომოდ ჩაატარა.

**ჰიუსტონი-ოკლაჰომა 101:104**

**19:39, 30:27, 27:14, 25:24**

**ჰ:** ჰარდენი (30+8 მოხსნა+6 პასი), პარსონსი (21+7 პასი+7 მოხსნა), გარსია (18+5 მოხსნა+3 დაფარება), დელფინო (11+4 პასი).

**ო:** დურანტი (41+14 მოხსნა+4 პასი), იბაკა (17+11 მოხსნა), ჯექსონი (14), მარტინი (12+3 პასი).

**სერია:** 0-3

■ ■ ■

„კლიპერსსა“ და „მემფისს“ შორის სერიაში გამარჯვებულის გამოვლენას მინიმუმ ექვსი მატჩი დასჭირდება. „გრიზლისი“ არ ჩამორჩა მეტოქეს და მანაც შეძლო საკუთარ მოედანზე ორივე მატჩის მოგება.

მეოთხე მატჩში კალიფორნიელები თითქმის სამი მეოთხედი უწევდნენ წინააღმდეგობას მეტოქეს, მაგრამ მესამე 12-წუთეულის ბოლოს 0:7 სპურტი გამოეპარათ, მეოთხე მეოთხედის შუაში კი სხვაობა უკვე 17 ქულა იყო მასპინძლების სასარგებლოდ. საბოლოოდ, „მემფისმა“ თავის ისტორიაში ყველაზე დიდი ანგარიშით მოგება გაიფორმა პლეი ოფში.

საერთო ჯამში, „კლიპერსი“ არ იმსახურებდა მოგებას ამ მატჩში, რადგან 21-დან 17 სამქულიანი ააცილა მიზანს, ხოლო **ბილაპსისა** და **ბატლერის** დუეტმა თამაშიდან ათი სროლა გააფუჭა.

**მემფისი-კლიპერსი 104:83**

**33:25, 13:22, 25:20, 33:16**

**მ:** მ. გასოლი (24+13 მოხსნა+4 პასი+3 დაფარება), რენდოლფი (24+9 მოხსნა), პრინსი (15+6 მოხსნა+3 პასი), კონლი (15+13 პასი), ალენი (10+5 მოხსნა), პონდექსტერი (10).

**კ:** გრიფინი (19+10 მოხსნა), პოლი (19+6 პასი), კროუფორდი (12).

**სერია:** 2-2

# ოკლაჰომა უესტბრუკის გარეშე

სერიოზულად დაიწია პლეი ოფში „ოკლაჰომა თანდერის“ აქციებმა. ამ გუნდს სეზონის ბოლომდე გამოაკლდა ძირითადი გამთამაშებელი და ერთ-ერთი ლიდერი **რასელ უესტბრუკი**.

მცველმა „ჰიუსტონთან“ სერიის მეორე მატჩში მიიღო მუხლის ტრავმა, რომლის მკურნალობასაც ოპერაცია დასჭირდა. სწორედ ამის შემდეგ გამოცხადდა, რომ უესტბრუკი ველარ შეძლებდა 2012-13 წლების სეზონში თამაშს.



რასელ უესტბრუკი

*„რა თქმა უნდა, იმედგაცრუებული ვართ იმით, რომ რასელი უახლოეს მომავალში ვერ დაეხმარება თავის თანაგუნდელებს, მაგრამ მოთამაშის ჯანმრთელობა - „ოკლაჰომას“ მთავარი პრიორიტეტია და ოპერაცია, რომელმაც წარმატებით ჩაიარა, იმის იმედს გვიტოვებს, რომ რასელი ჩვენს გუნდში კიდევ არაერთ ბრწყინვალე წელს გაატარებს“,* - განაცხადა „თანდერის“ მენეჯერმა **სემ პრესტიმ**.

ჯერჯერობით უცნობია, როდის შეძლებს უესტბრუკი მოედანზე დაბრუნებას. ვარაუდობენ, რომ მცველს შეეძლება მომდევნო სეზონისთვის სრულფასოვანი მომზადების გავლა.

საინტერესოა, რომ NBA-ში ხუთწლიანი კარიერის განმავლობაში, უესტბურკს არც ერთი მატჩი არ ჰქონდა გამოტოვებული.

■ ■ ■

როგორც NBA-ის ოფიციალური ვებგვერდი წერს, დიდი ალბათობით შეიძლება იმის თქმა, რომ **ფლიპ სონდერსი** „მინესოტას“ პრეზიდენტის პოსტზე **დევიდ კანს** შეცვლის. სავარაუდოდ, ამ კვირას სონდერსი ხუთწლიან კონტრაქტს გააფორმებს „მგლებთან“.

კანი „ტიმბერვულვზის“ საკალათბურთო ოპერაციების პრეზიდენტად 2009 წელს დაინიშნა - მან ამ პოსტზე **კევინ მაკჰეილი** შეცვალა. იქიდან მოყოლებული, გუნდმა 89 მატჩი მოიგო, 223-ჯერ დამარცხდა და ვერც ერთხელ ვერ მოხვდა პლეი ოფში.

თავისი კარიერის განმავლობაში, სონდერსი ცხრა-ნახევარი წელი „მინესოტას“ მთავარი მწვრთნელი იყო.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

# დასავლეთი დაკომპლექტდა

## აღმოსავლეთ კონფერენციაში ერთი მატჩია დარჩენილი



მინესოტა პლეი ოფშია

ჰოკეის ეროვნულ ლიგაში თითქმის დასრულდა რეგულარული ჩემპიონატი. გასამართი დარჩა ერთი შეხვედრა („ბოსტონი“-“ოტავა“), რომელმაც უნდა გაარკვიოს აღმოსავლეთ კონფერენციაში მეორე ადგილის მფლობელი. სხვა მხრივ, უკვე ცნობილია პლეი ოფში გასული ყველა გუნდი და ასევე, მეოთხედფინალური წყვილები დასავლეთში.

ბოლოსწინა დღეს რამდენიმე საკითხი იყო გასარკვევი. მაგალითად, „ნიუ იორკ რეინჯერსს“ არ სურდა სეზონის მერვე ადგილზე დასრულება და პირველივე რაუნდში „პიტსბურგთან“ შეხვედრა. საბოლოოდ, ეს გუნდები აცდნენ ერთმანეთს, რადგან „რეინჯერსმა“ სეზონში მესამედ დაამარცხა „ნიუ ჯერსი“ და მერვე ადგილს დასცილდა. „რეინჯერების“ რიგებში დუბლი შეასრულა **ნეშმა**, ორ-ორი ქულა მოიპოვეს **რიჩარდსმა, სტეპანმა** და **კელეჰანმა**, რისი წყალობითაც გუნდმა მეექვსე ადგილზე დაასრულა რეგულარული. პლეი ოფს „რეინჯერსი“ „ვაშინგტონთან“ დაპირისპირებით დაიწყებს.

ყველაფერი შეიძლებოდა სხვაგვარად ყოფილიყო, მაგრამ „ოტავამ“ გუშინ წააგო „ფილადელფიასთან“ - 1:2 და მერვე ადგილამდე დაქვეითდა. „სენატორებმა“ რომც მოიგონ დარჩენილი მატჩი „ბოსტონთან“, მეშვიდე ადგილზე ზემოთ მაინც ვერ ავლენ, რადგან თანაბარი ქულების შემთხვევაში, „რეინჯერებს“ დამატებითი მაჩვენებლები აქვთ უკეთესი. მოკლედ, დასავლეთში ცნობილია გამარჯვებული („პიტსბურგი“) და მესამეადგილოსანი („ვაშინგტონი“), მეორე ადგილისა და დივიზიონის ჩემპიონი ბოლო დღეს გაირკვევა.

გუშინ „ბოსტონმა“ წააგო „ვაშინგტონთან“, „მონრეალმა“ კი „ტორონტო“ დაამარცხა და სწორედ მან გადაინაცვლა მეორე ადგილზე. თუ „ბოსტონი“ „ოტავას“ დაამარცხებს, მაშინ მეორე ადგილს დაიბრუნებს, ერთი ქულის აღების შემთხვევაში კი ამ პოზიციაზე „მონრეალი“ დარჩება.

■ ■ ■

დასავლეთში კი, როგორც გითხარით, ყველაფერი ცნობილია. „დეტროიტმა“ 3:0 მოუგო „დალასს“ და მეშვიდე ადგილზე გადავიდა. „რედ უინგზმა“ გააგრძელა თავისი ბრწყინვალე სერია - ზედიზედ 22-ედ გავიდა პლეი ოფში.

გმირული გარლვევის მიუხედავად, „კოლამბუსი“ მაინც პლეი ოფის მიღმა დარჩა. მან და „მინესოტამ“ თავიანთი მატჩები მოიგეს, ქულათა ერთნაირი რაოდენობა დააგროვეს, მაგრამ „უაილდი“ მერვე ადგილზეა იმის წყალობით, რომ მეტი მოგება ჰქონდა ძირითად დროსა და ოვერტაიმებში.

საბოლოოდ, დასავლეთში ასეთი მეოთხედფინალური წყვილები მივიღეთ:

**ჩიკაგო (1)-მინესოტა (8)**
**ანაჰაიმი (2)-დეტროიტი (7)**
**ვანკუვერი (3)-სან ხოსე (6)**
**სენტ ლუისი (4)-ლოს ანჯელესი (5)**

**26 აპრილი**

**ბაფალო-აილენდერსი 2:1 (ბ)**

0:0, 1:0, 0:1, 0:0

**გოლები:** 1:0 ფლინი-6 (ვანეკი-21), 1:1 კ. ოკუანი-6 (ენდრიუ მაკდონალდი-9).

**ბულიტები გაიტანეს:** ვანეკი (ბაფალო).

**მინესოტა-ედმონტონი 1:6**

0:3, 0,3, 1:0

**გოლები:** 0:1 პოტერი-2 (რ. სმიტი-9, ებერლე-20), 0:2 ტ. ჰოლი-16, 0:3 პოტერი-3 (ებერლე-21, სემ განიე-22), 0:4 ებერლე-14 (რ. სმიტი-10, სემ განიე-23), 0:5 იაკუპოვი-13 (ტ. ჰოლი-31), 0:6 იაკუპოვი-14 (ტ. ჰოლი-32, შმიდი-3), 1:6 მ. კოივუ-11 (კოილი-5).

**ჩიკაგო-კალგარი 3:1**

2:0, 0:1, 1:0

**გოლები:** 1:0 პ. კეინი-23 (შარპი-14, კიტი-24), 2:0 ტეივზი-23 (საადი-17, მარიან ჰოსა-14), 2:1 კ. ბატლერი-1 (სტემპნიაკი-23, სტრიტი-1), 2:1 კრუგერი-4.

**ფინიქსი-კოლორადო 4:5 (ბ)**

2:3, 1:0, 1:0, 0:0

**გოლები:** 1:0 შლემკო-1 (ჩიპჩურა-9, ბისონეტი-5), 2:0 ვერმეტი-11 (იენდლი-16, ბოდკერი-19), 2:1 ელოტი-1 (დუშენი-24, პარენტო-25), 2:2 პარენტო-18 (ჯ. მიტჩელი-10, შჩასტნი-15), 2:3 ბორდელო-2 (დუშენი-25, ვინკური-2), 3:3 კლინკჰამერი-5 (ბ. გორდონი-10, იენდლი-17), 3:4 რ. ო'რაილი-5 (ბარი-11, დუშენი-26), 4:4 ვერმეტი-12 (სტოუნი-4, იენდლი-18).

**ბულიტები გაიტანეს:** დუშენი (კოლორადო), პარენტო (კოლორადო).

**27 აპრილი**

**რეინჯერსი-ნიუ ჯერსი 4:0**

2:0, 1:0, 1:0

**გოლები:** 1:0 სტეპანი-18 (კელეჰანი-15, მური-6), 2:0 კელეჰანი-16 (სტეპანი-26), 3:0 რიკ ნეში-20 (ბ. რიჩარდსი-22), 4:0 რიკ ნეში-21 (ცუკარელო-5, ბ. რიჩარდსი-23).

**ტორონტო-მონრეალი 1:4**

1:1, 0:2, 0:1

**გოლები:** 1:0 კესელი-20 (ფანოფი-19, ფრანსონი-25), 1:1 ელერი-8 (გალაჰერი-13, გალჩენიუკი-18), 1:2 მარკოვი-10 (ელერი-21), 1:3 გალაჰერი-15 (ელერი-22, მარკოვი-20), 1:4 პლეკანეცი-14 (პრუსტი-9, გორგესი-7).

**ოტავა-ფილადელფია 1:2**

0:1, 1:0, 0:1

**გოლები:** 0:1 ეიკსონი-1 (ჟირუ-35), 1:1 ტარისი-11 (გრინინგი-11, ფილიპსი-9), 1:2 ვორაჩეკი-22 (გუსტაფსონი-5, მეისონი-1).

**პიტსბურგი-კაროლინა 8:3**

1:0, 2:3, 5:0

**გოლები:** 1:0 მალკინი-9 (ჯ. ნილი-15, მ-ა. ფლერი-2), 2:0 ჯ. ნილი-19 (ლეტანგი-32, კუნიტცი-29), 2:1 ვესტგარტი-1 (ტლუსტი-15, ე. სტაალი-34), 3:1 ი. იოკინენი-12 (დუპუი-18, იგინლა-18), 3:2 ტ. რუუტუ-4 (ჯ. სტაალი-21, დუაიერი-8), 3:3 ვესტგარტი-2 (მაკბეინი-7, ე. სტაალი-35), 4:3 ჯ. ნილი-20 (მალკინი-23, პ. მარტინი-16), 5:3 ჯ. ნილი-21 (მალკინი-24, კუნიტცი-30), 6:3 მოროუ-12 (ბ. სატერი-8, კუკი-13), 7:3 კუკი-8 (მოროუ-13, პ. მარტინი-17), 8:3 ი. იოკინენი-13 (იგინლა-19, ლეტანგი-33).

**ვაშინგტონი-ბოსტონი 3:2 (ო)**

0:1, 0:1, 2:0, 1:0

**გოლები:** 0:1 ლუჩიჩი-7 (კრეიჩი-23), 0:2 ფერენსი-4 (პევერლი-12, ლუჩიჩი-19), 1:2 მაიკ გრინი-11 (ბროუერი-14, ოვეჩკინი-23), 2:2 მაიკ გრინი-12 (რიბეირო-35, ოვეჩკინი-24), 3:2 ფერი-9 (მაიკ გრინი-14, რიბეირო-36).

**ტამპა ბეი-ფლორიდა 3:5**

2:1, 1:1, 0:3

**გოლები:** 1:0 მ. კარლი-5 (სან ლუი-43), 2:0 მელოუნი-6 (ლეკავალიე-22, ჰედმანი-16), 2:1 ბიუგსტადი-1 (სტრაჩანი-4, ბრენანი-7), 2:2 ფლიშმანი-11 (იუბერდო-15, შორი-10), 3:2 სან ლუი-17 (პურსელი-25, სტემკოსი-28), 3:3 აპშოლი-4 (სელეკი-1), 3:4 ფლიშმანი-12 (იუბერდო-16, კუბა-9), 3:5 გოკი-9 (იუბერდო-17).

**კოლამბუსი-ნეშვილი 3:1**

0:0, 0:1, 3:0

**გოლები:** 0:1 შ. უებერი-9 (ლეგუანდი-13, რასკი-1), 1:1 დუბინსკი-2 (გაბორიკი-15, პროსპალი-18), 2:1 ჯ. ჯონსონი-5 (ატკინსონი-9, პრაუტი-6), 3:1 ატკინსონი-9 (კომო-6, დუბინსკი-18).

**კოლორადო-მინესოტა 1:3**

1:1, 0:1, 0:1

**გოლები:** 0:1 პარიზე-18 (კოილი-6, მ. კოივუ-26), 1:1 რ. ო'რაილი-6 (ლანდესკოგი-8, ბორდელო-3), 1:2 სეტოგუჩი-13 (გილბერტი-10, კულენი-20), 1:3 ბუშარი-8 (სპარჯონი-10, კლატერბეკი-6).

**სტ ლუისი-ჩიკაგო 3:1**

2:0, 1:0, 0:1

**გოლები:** 1:0 ბერგლუნდი-17 (ენდი მაკდონალდი-14, ტარასენკო-11), 2:0 შვარცი-6 (ბეკსი-21, რასალი-5), 3:0 შვარცი-7 (ბეკსი-22, რასალი-6), 3:1 ბ. სმიტი-1 (მორინი-1, ჰეიესი-3).

**დალასი-დეტროიტი 0:3**

0:1, 0:0, 0:2

**გოლები:** 0:1 ზეტერბერგი-10 (აბდელკადერი-3, დაციუკი-32), 0:2 ზეტერბერგი-11 (დაციუკი-33), 0:3 ჯ. ერიქსონი-3 (დაციუკი-34, ზეტერბერგი-37).

**ედმონტონი-ვანკუვერი 7:2**

0:1, 1:0, 6:1

**გოლები:** 0:1 როი-7 (ჰანსენი-17, რეიმონდი-12), 1:1 ებერლე-15 (ჯ. შულცი-17, ნ. შულცი-8), 2:1 იაკუპოვი-15 (ჯ. შულცი-18, სემ განიე-24), 2:2 სესტიტო-3 (ბიეკსა-6, კასიანი-4), 3:2 ჯ. შულცი-8 (ტ. ჰოლი-33, ფისტრიჩი-5), 4:2 იაკუპოვი-16 (პააიარვი-6), 5:2 ებერლე-16 (ტ. ჰოლი-34, ჯ. შულცი-19), 6:2 იაკუპოვი-17 (ფისტრიჩი-6, პააიარვი-7), 7:2 სმიტსონი-3 (რ. ჯონსი-5, რ. სმიტი-11).

**ანაჰაიმი-ფინიქსი 3:5**

1:2, 1:1, 1:2

**გოლები:** 0:1 ვრბატა-10 (დოუნი-14, შლემკო-5), 1:1 სელიანე-12 (მარუნი-1, ბონინო-8), 1:2 ჩიპჩურა-5 (ბისონეტი-6, იენდლი-19), 2:2 ბოშემენი-6 (გეტცლაფი-33, ფაულერი-10), 2:3 ვრბატა-11 (ჰანზალი-11, იენდლი-20), 2:4 ვრბატა-12 (ჰანზალი-12), 3:4 რაიანი-11 (გეტცლაფი-34), 3:5 ვერმეტი-13 (ვრბატა-16, ეკმან-ლარსონი-21).

**ლოს ანჯელესი-სან ხოსე 3:2**

0:0, 2:1, 1:1

**გოლები:** 1:0 კლიფორდი-7 (კოპიტარი-32, ჯასტინ უილიამსი-22), 1:1 კუტური-21, 2:1 ვოინოვი-6 (სკუდერი-11, რიჩარდსონი-4), 3:1 ჯასტინ უილიამსი-11 (რიჩარდსონი-5, პენერი-12), 3:2 გალიარდი-5 (პაველსკი-15, ბერნსი-10).

ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

| | |
|---|---|
| **ჩილე** | |
| უნ. ესპანიოლა-ო'ჰიგინსი | 0:2 |
| ევერტონი-ს. უონდერერსი | 3:0 |
| აუდაქსი-პალესტინო | 1:0 |
| უნ. კატოლიკა-დეპ. იკიკე | 1:1 |
| სან მარკოსი-რეინჯერსი | 1:0 |
| ანტოფაგასტა-უნ. ჩილე | 4:2 |
| კობრესალი-კობრელოა | 1:4 |
| ნუბლენსე-ლა კალერა | 0:2 |
| **კოლუმბია** | |
| იტაგუი-ლა ეკვიდადი | 1:0 |
| სანტა ფე-ენვიგადო | 1:0 |
| დეპ. კინდიო-მილიონარიოსი | 0:0 |
| დეპ. კუკუტა-ჩიკო | 0:1 |
| დეპ. კალი-ხუნიორი | 2:2 |
| პატრიოტასი-დეპ. ტოლიმა | 1:1 |
| ა. პეტროლერა-დეპ. პასტო | 1:1 |
| **ეკვადორი** | |
| ლიგა დე ლოხა-დეპ. კევედო | 0:2 |
| უნ. კატოლიკა-ელ ნასიონალი | 2:1 |
| დეპ. მაკარა-დეპ. კუენკა | 1:5 |
| ინდეპენდიენტე-ემელეკი | 1:1 |
| დეპ. კიტო-მანტა | 3:0 |
| **პარაგვაი** | |
| ლიბერტადი-ხენერალ დიასი | 2:0 |
| სოლ დე ამერიკა-ოლიმპია | 3:2 |
| დეპ. კაპიატა-ლუკენიო | 1:0 |
| პრეზიდენტე-გუარანი | 0:0 |
| დეპ. კარაპეგუა-რუბიო ნუ | 3:2 |
| **პერუ** | |
| ინტი გასი-სან მარტინი | 2:0 |
| კახამარკა-სპორტი | 0:2 |
| ალიანსა ლიმა-სენსიანო | 0:1 |
| მელგარი-ხოსე გალვესი | 1:0 |
| ლეონი-ხუან აურიჩი | 1:1 |
| სპ. კრისტალი-უნივერსიტარიო | 4:0 |
| **ურუგვაი** | |
| სენტრალი-პროგრესო | 1:0 |
| სერო-ელ ტანკე | 2:2 |
| ფენიქსი-ლივერპული | 1:1 |
| ბელა ვისტა-უონდერერსი | 0:2 |
| სერო ლარგო-ხუვენტუდი | 2:3 |
| დანუბიო-რასინგი | 3:2 |

**კალათბურთი**

| | |
|---|---|
| **ნბა** | |
| ბოსტონი-ნიუ იორკი | 97:90 (ო) |
| მილუოკი-მაიამი | 77:88 |
| **ევროჩელენჯი** | |
| გრაველინი-ოლდენბურგი | 76:84 |
| პინარი-კრ. კრილია | 76:77 |
| **იტალია** | |
| სასარი-იუვე სტაბია | 87:74 |
| კანტუ-მილანი | 69:78 |
| ვარეზე-სკავოლინი | 85:70 |
| აველინო-ვენეცია | 79:91 |
| ბიელა-რომა | 78:85 |
| მონტეგრანარო-მონტეპასკი | 90:94 |
| რეჯო ემილია-კრემონა | 78:87 |
| ბრინდიზი-ბოლონია | 87:93 |
| **ესპანეთი** | |
| რეალი-ბარსელონა | 78:65 |
| უნიკახა-ვალენსია | 79:73 |
| ხუვენტუდი-გრან კანარია | 97:89 |
| ესტუდიანტესი-მურსია | 94:85 |
| მანრესა-კანარიასი | 86:93 |
| ბილბაო-სარაგოსა | 100:90 |
| **თურქეთი** | |
| ჰაჩეთეფე-გალათასარაი | 69:104 |
| ბანვითი-ანტალია | 96:67 |

**ჰოკეი**

| | |
|---|---|
| შვედეთი-ფინეთი | 2:1 |
| ჩეხეთი-რუსეთი | 1:2 |

**ჩოგბურთი**

| | |
|---|---|
| **ATP. ბარსელონა** | |
| ნადალი-ალმაგრო | 6:4, 6:3 |
| **ATP. ბუქარესტი** | |
| გარსია ლოპესი-**როსოლი** | 3:6, 2:6 |
| **WTA. მარაკეში** | |
| დომინგეს ლინო-**სკიავონე** | 1:6, 3:6 |
| **WTA. შტუტგარტი** | |
| **შარაპოვა**-ნა ლი | 6:4, 6:3 |

TV პროგრამა

**29 აპრილი. ორშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** არგენტინის ჩემპიონატი. X ტური. ნიუელსი-რასინგი.
**12:00** ინგლისის ჩემპიონატი. XXXV ტური. არსენალი-მანჩესტერ იუნ.
**14:00** გერმანიის ჩემპიონატი. XXXI ტური. მაინცი-აინტრახტი.
**16:00** ინგლისის ჩემპიონატი. XXXV ტური. უიგანი-ტოტენჰემი.
**18:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. XXXII ტურის მიმოხილვა.
**19:00** არგენტინის ჩემპიონატი. X ტური. რივერ პლეიტი-კილმესი.
**21:00** გერმანიის ჩემპიონატი. XXXI ტურის მიმოხილვა.
**22:00** მსოფლიო ფეხბურთის ლიდერები.
**23:00** პროგრამა - საფეხბურთო ღამე.
**00:00** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა.
**01:00** ინგლისის ჩემპიონატი. XXXV ტური. ასტონ ვილა-სანდერლენდი.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. პაულისტას ლიგა. პლეი ოფი. 1/4 ფინალი. პონტე პრეტა-კორინთიანსი.
**12:00** სპორტ-NEWS.
**12:15** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. მილუოკი-მაიამი. IV მატჩი.
**15:00** ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. ბრედა-აიაქსი.
**17:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ბარსელონა. ესპანეთი.
**19:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**19:30** სპორტ-NEWS.
**20:00** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი.
**22:00** NBA ACTION.
**23:00** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. XXXV ტური. ასტონ ვილა-სანდერლენდი (LIVE).
**01:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
**05:30** კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. ჰიუსტონი-ოკლაჰომა. IV მატჩი (LIVE).

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. ბარსელონა. ესპანეთი.
**12:30** სპორტ-NEWS.
**13:00** კალათბურთი. ევროლიგა. პანათინაიკოსი-ბარსელონა.
**15:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ბარსელონა. ესპანეთი. მიმოხილვა.
**16:00** სპორტ-NEWS.
**16:30** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ნიუკასლი-ლივერპული.
**18:30** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ბრუკლინი-მემფისი.
**20:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. ბარსელონა. ესპანეთი.
**23:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ეშტორილი. პორტუგალია.

**ამინდის პროგნოზი**

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 9 | 28 | (მზე) |
| ქუთაისი | 15 | 29 | (მზე) |
| ბათუმი | 12 | 25 | (მზე) |
| ფოთი | 15 | 23 | (მზე) |
| ზუგდიდი | 13 | 28 | (მზე) |
| გორი | 10 | 28 | (მზე) |
| თელავი | 9 | 28 | (მზე) |
| სიღნაღი | 8 | 27 | (მზე) |
| გუდაური | 0 | 15 | (მზე) |
| ბაკურიანი | 5 | 19 | (მზე) |
| ბორჯომი | 5 | 25 | (მზე) |
| მესტია | 5 | 20 | (მზე) |

**ვალუტის კურსი**

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.1448 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6497 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.5499 |
| 100 რუსული რუბლი | 5.2842 |

# ბომბარდირი სან ლუი, სნაიპერი ოვეჩკინი

მიუხედავად იმისა, რომ რეგულარულში ერთი მატჩი დარჩა ჩასატარებელი, უკვე ცნობილია ორი პრესტიჟული პრიზის მფლობელის ვინაობა.

„არტ როს ტროფი“ (საუკეთესო ბომბარდირი) მოულოდნელად მოიპოვა „ტამპა ბეი ლაითნინგის“ ფორვარდმა **მარტინ სან ლუიმ**, რომელმაც 48 მატჩში 60 ქულა (17 გოლი+43 პასი) დააგროვა. გარდა ამისა, 37 წლის სან ლუი რეგულარული ჩემპიონატის საუკეთესო ასისტენტი გახდა.

ამ თავდამსხმელის ლაურეატობა მოულოდნელია მისი ასაკის გამო. სან ლუი „არტ როსის“ ყველაზე ასაკოვანი მფლობელი გახდა. მანამდე ამ რეკორდის მფლობელი **გორდი ჰოუ** იყო, რომელიც 34 წლის ასაკში გახდა რეგულარულის საუკეთესო ბომბარდირი.

აღსანიშნავია, რომ სან ლუი კარიერაში მეორედ გახდა რეგულარულის საუკეთესო ბომბარდირი.

■ ■ ■

კარიერაში მესამედ მოიგო „მორის რიშარ ტროფი“ „ვაშინგტონის“ რუსმა ვარსკვლავმა **ალექსანდრ ოვეჩკინმა**. ეს პრიზი რეგულარულის საუკეთესო გოლეადორს გადაეცემა.

მართალია, ოვეჩკინმა ბოლო მატჩში „ბოსტონის“ წინააღდეგ გოლი ვერ გაიტანა, მაგრამ მისი 32 შაიბა საკმარისი აღმოჩნდა ჯილდოს მოსაპოვებლად. რუსმა სამი შაიბით გაუსწრო **სტივენ სტემკოსს** („ტამპა ბეი“) და ოთხით - **ჯონ ტავარესს** („აილენდერსი“).

სხვათა შორის, ოვეჩკინი ლიგის ლიდერია ზუსტი დარტყმებისა (220) და რიცხობრივი უპირატესობისას გატანილი გოლების (16) რაოდენობით.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**



მარტინ სან ლუი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრივი

# სერხიომ გაჭირვებით მოიგო

## ვიტალი კლიჩკოს მეტოქე გაურკვიეს


სერხიო მარტინესი

ძალიან საინტერესო უქმეები ჰქონდათ კრივის მოყვარულებს. გაიმართა რამდენიმე საჩემპიონო ორთაბრძოლა, რომელთა შორის, მთავარი იყო შეხვედრა ბუენოს აირესში. საშუალო წონის უძლიერესი მოკრივე, 38 წლის არგენტინელი **სერხიო მარტინესი** WBA-ის ვერსიით საშუალო წონის „დროებით" ჩემპიონს, 30 წლის ბრიტანელ **მარტინ მარეის** ხვდებოდა.

ბრძოლა დაბალ ტემპში მიმდინარეობდა, რაც მარტინესს აძლევდა ხელს - მასპინძელი დისტანციაზე მუშაობდა და დამაჯერებლად გრძნობდა თავს ბრიტანელის წინააღმდეგ, რომელიც არ გამოირჩეოდა სისწრაფითა და დარტყმის ძალით. მიუხედავად ამისა, მარეი მაინც ღირსეულად გამოიყურებოდა და ბრძოლის შუაში გაათანაბრა სიტუაცია, მერვე რაუნდში კი მარჯვენა დარტყმით ნოკდაუნშიც კი გაუშვა მეტოქე.

თუმცა ამას მარტინესისთვის სერიოზული ზიანი არ მოუტანია. მას არ დაუწყია მოვლენათა ფორსირება, გააგრძელა დისტანციიდან დარტყმები, რომელიც, ძირითადად ბრიტანელს კორპუსში ხვდებოდა. მარეიმ, თავის მხრივ, საკუთარი შესაძლებლობები ირწმუნა და წინ წავიდა, მაგრამ აქტიურობამ განსაკუთრებული დივიდენდები არ მოუტანა.

ბრძოლის დასკვნით ნაწილში მარტინესი გააქტიურდა და რამდენიმე ძლიერი და ზუსტი დარტყმა შეასრულა, მაგრამ ბრძოლის ვადაზე ადრე დასრულება ვერ შეძლო. პირიქით, ბრიტანელს ყოველთვის ჰქონდა პასუხი არგენტინელის დარტყმებზე. საბოლოოდ, სამივე მსაჯმა ერთნაირი ანგარიშით - 115:112 უპირატესობა სერხიო მარტინესს მიანიჭა.

■ ■ ■

ამასობაში, გაირკვა სუპერმძიმე წონაში WBC-ის ტიტულის აუცილებელი პრეტენდენტი. ამ ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონთან, უკრაინელ **ვიტალი კლიჩკოსთან** ბრძოლის უფლება მოიპოვა 34 წლის კანადელმა **ბერმეინ სტივერნმა**, რომელმაც ქულებით დაამარცხა 32 წლის ამერიკელი **კრის არეოლა**.

სტივერნმა მესამე რაუნდში გაგზავნა ნოკდაუნში არეოლა და შემდეგაც აკონტროლებდა ბრძოლის მსვლელობას, რითაც სამმა მსაჯმა მას უპირატესობა მიანიჭა - 118:109, 117:110 და 117:110.

■ ■ ■

კიდევ ერთი ცენტრალური ბრძოლა ბრუკლინში გაიმართა. პირველ ნახევრადსაშუალო წონაში WBA-სა და WBC-ის ვერსიებით მსოფლიოს ჩემპიონი, 24 წლის ამერიკელი **დენი გარსია** თავის საჩემპიონო ქამრებს იცავდა ორ წონით კატეგორიაში მსოფლიოს ყოფილ ჩემპიონთან, 35 წლის ცნობილ ამერიკელ **ზაბ ჯუდასთან**.

პირველი ხუთი რაუნდი შედარებით თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა, მაგრამ მეექვსე რაუნდიდან სცენარი მკვეთრად შეიცვალა. გარსიას ძლიერი დარტყმები მიზანს აღწევდა და ამის შედეგი იყო მერვე რაუნდში ჯუდას ნოკდაუნში გაგზავნა. თუმცა ვეტერანმა შეძლო გამოფხიზლება და უკვე თავად განახორციელა რამდენიმე ძლიერი დარტყმა. საბოლოოდ, სამმა მსაჯმა გარსიას მცირე უპირატესობა დააფიქსირა: 116:111, 115:112, 114:112.

■ ■ ■

ქალაქ შეფილდში ჩხუბობდა პირველ ნახევრადსაშუალო წონაში მსოფლიოს ექს-ჩემპიონი, 26 წლის ბრიტანელი **ამირ ხანი**. ძალიან სანახაობრივ ბრძოლაში მან გაჭირვებით დაამარცხა მჩატე წონაში მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი, 33 წლის მექსიკელი **ხულიო დიასი**.

მეოთხე რაუნდში ხანი ნოკდაუნში აღმოჩნდა და მომდევნო რაუნდებშიც მიიღო რამდენიმე მძიმე დარტყმა, მაგრამ ყოველ ჯერზე ახერხებდა გამოფხიზლებას და ბრძოლის გაგრძელებას. შეხვედრა, რომელიც აუცილებლად განაცხადებს პრეტენზიას „წლის ბრძოლაზე", ხანმა ქულებით მოიგო: 115:112, 115:113, 114:113.

■ ■ ■

კიდევ ერთი ბრძოლა გაიმართა ინგლისში, რომელშიც მორიგ გამარჯვებას მიაღწია 27 წლის ამერიკელმა სუპერმძიმეწონოსანმა **დეონტეი უაილდერმა**. მან უკვე პირველ რაუნდში გაგზავნა ნოკაუტში 41 წლის ბრიტანელი **ოდლი ჰარისონი**. შეხვედრა მხოლოდ წუთი და 10 წამი გაგრძელდა.

უაილდერი ჯერჯერობით დაუმარცხებლად გამოდის პროფესიულ რინგზე.

ველოსპორტი

# კონტადორი ჯიროზე არ მიდის

ცნობილი ესპანელი ველომრბოლი **ალბერტო კონტადორი** 2013 წელს გამოტოვებს სამიდან ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ ველომრბოლას - ჯირო დ'იტალიას.

გუშინ, კონტადორის გუნდმა - Saxo-Tinkoff-მა გამოაქვეყნა იტალიური ველომარათონისთვის ცხრაკაციანი შემადგენობა. საჯინიბოს ლიდერი იქნება პოლონელი **რაფაელ მაიკა**. კონტადორი ოფიციალურ შემადგენლობაში არ არის.

წელს, ჯირო დ'იტალია 4 მაისს ნეაპოლში დაიწყება და 26 მაისს, ბრეშაში დასრულდება. კონტადორის უარი იმით არის გამოწვეული, რომ ესპანელს ამ სეზონში აქცენტი ტურ დე ფრანსზე აქვს გადატანილი.

ალბერტო ერთ-ერთია იმ ხუთ ველომრბოლს შორის, რომელსაც კარიერაში ყველა გრანდტური (ტურ დე ფრანსი, ჯირო დ'იტალია და ვუელტა) აქვს მოგებული. ამ ელიტურ კლუბში შედიან: ფრანგები **ჟაკ ანკეტილი** და **ბერნარ ინო**, იტალიელი **ფელიჩე ჯომინდი**, ბელგიელი **ედი მერქსი**.

■ ■ ■

ამასობაში, ტურ დე ფრანსის ორგანიზატორებმა ე. წ. უაილდ-ქარდი მიანიჭეს სამ ფრანგულ გუნდს, რომლებსაც შეეძლებათ წელს ყველაზე პრესტიჟულ ველომარათონში მონაწილეობის მიღება. შეგახსენებთ, რომ 2013 წელს ტურ დე ფრანსი მეასედ ჩატარდება.

უაილდ-ქარდი მიიღეს Cofidis-Solutions Credits-მა, Sojasun-მა და Team Europcar-მა. ასე რომ, ტურ დე ფრანსზე, რომელიც 29 ივნისს დაიწყება, 22 გუნდი და 198 ველომრბოლი მიიღებს მონაწილეობას.



ალბერტო კონტადორი




# კუბა პროფესიული გახდა


სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი თეოფილო სტივენსონი

კუბის მთავრობამ გააუქმა აკრძალვა პროფესიულ კრივზე, რომელიც კუნძულზე 51 წლის განმავლობაში მოქმედებდა. ამის შესახებ იტყობინება სააგენტო AP.

2013 წლის ნოემბრიდან მოყოლებული, კუბელ მოკრივეებს საშუალება ექნებათ მონაწილეობა მიიღონ კრივის ნახევრადპროფესიულ ლიგის (WSB) ბრძოლებში. სააგენტოს ინფორმაციით, მოკრივეთა შემოსავალი თვეში 500-დან სამი ათასამდე დოლარი იქნება, იმ დროს, როცა კუბაზე ჩვეულებრივი მუშის ჯამაგირი 20 დოლარს შეადგენს.

კუნძულზე პროფესიული კრივი 1962 წელს აიკრძალა. მაშინ, სახელმწიფოს ლიდერმა **ფიდელ კასტრომ** პროფესიულ კრივს კორუმპირებული და გარყვნილი უწოდა. ამასთან, კუბაზე სამოყვარულო კრივი უმაღლეს დონეზე იყო აყვანილი და ამ ქვეყნის მებრძოლები დომინირებდნენ ოლიმპიადებსა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე.

WSB-ის ლიგა აერთიანებს 12 გუნდს, რომლებიც სხვადასხვა ქვეყანას წარმოადგენენ. პროფესიული კრივის მსგავსად, აქაც თითოეული ბრძოლის ბედს განსაზღვრავს სამი მსაჯი. WSB-ში ხუთი წონითი კატეგორია არსებობს.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი;** მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი;** მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **თამუნა ყულუმბეგაშვილი.** ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: **ირაკლი თვაძე**
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).
პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com (რედაქცია); lelo@palitra.ge ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:40
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608